შემოკლებული

საქართველოს ისტორია

შედგენილი

რომან დ. ცამციეგისაგან.

თფილისი.
ეკვთიმე სულხანის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882

37563

ᲨᲔᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ

საქართველოს ისტორია

ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ

ᲠᲝᲛᲐᲜ Დ. ᲪᲐᲛᲪᲘᲔᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲐᲮᲐᲠᲯ. Ი. ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲝᲑᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ
Библиотека-Музей
имени
Акад. Н. Марра

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ.
ᲔᲥᲗᲘᲛᲔ ᲮᲚᲐᲫᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ.
1882

Дозволено Цензурою, Тифлисъ 21-го Января 1882 г.

პარა- გრაფი.	ზ ა ნ დ უ ჯ ი.	გვერ- დ.
1	სამზღვრები საქართველოსი	5
2	მდებიარება საქართველოსი	5
3	საქართველოს შესანიშნავნი მდინარენი . .	7
4	ქართველების სიძველე და შთამომავლობა . .	8
5	საქართველოს უძველესნი ქალაქნი . . .	11
6	მაძ: საზღლისობითი მმართველობა და მისი წესები	12
7	შინაური ცხოვრება ძველის ქართველებისა . .	1[illegible]
8	ქართველების ძველი სარწმუნოება წმ ნინომდინ	19
9	უცხო ტომთ შემოსვლა საქართველოში და მა- თი გავლენა ქართველებზე	22
10	ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში . .	27
11	საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზ . . .	31
12	გვარები საქართველოს მეფეთა	32
13	საქართველოს მდგომარეობა ფარნავაზის მემკვი- დრეების დროს	33
14	საქართველო არშაკუნიანების დროს . . .	35
15	უფლის კვართის მოტანა მცხეთაში და წმ. ანდრია მოციქული საქართველოში . . .	37
16	ქართველთა მზადება ქრისტიანობის მისაღებად .	40
17	ორთ-მეფობა საქართველოში	41
18	ორთ-მეფობის გათავების შემდეგ	45
19	მეფე ამაზასპ II	46
20	მეფე რევი—მართალი	49
21	რევის მემკვიდრენი	50
22	მეფე მირიან	51
23	წმ. ნინო	54
24	წმ. ნინო და ქართველთაგან ქრისტიანობის მიღება	57
25	შედეგი ქართველთაგან ქრისტიანობის მიღე- ბისა და მირიანის შემდეგნი მეფენი .	64
26	ვახტანგ I გორგ-ასლანი	67
27	ათ-ცამეტ წმ. მამათ მოსვლა საქართველოში .	75
28	საქართველო ვახტანგ I მემკვიდრეების დროს .	78
29	ბაგრატიონები; გურამ I და ეკლესიის საქმეები ადარნასეს დროს	80
30	არაბთა შემოსევა საქართველოში . . .	82

პარა-გრაფი.	ზანდუკი.	გვერდი.
31	ივერიის მონასტრის აღშენება ათონის მთაზედ	86
32	არაბთაგან გაწთ ვისუფლება; მეფე ბაგრატ III	88
33-35	მეფე ბაგრატ IV	91 99
36	მეფე გიორგი II	102
37	მეფე დავით III აღმაშენებელი . . .	10
38	საქართ. მეფენი: დიმიტრი I დავით IV, გიორგი III	110
39	თამარ მეფე	112
40	მონგოლთა შემოსევა საქართველოში . . .	120
41	გიორგი V ბრწყინვალე	122
42	ბაგრატ V დიდი	125
43	მეფენი: გიორგი VII, კონსტანტინე, ალექსანდრე I	127
44	საქართველოს გაყოფა სამს სამეფოდ . .	129
45	საქართველოს მდგომარეობა სამს სამეფოდ გაყოფის შემდეგ	131
46	საქართველო სპარსთა და ოსმალთა მფლობელობის ქვეშ	137
47	თეიმურაზ I მეფე ქართლ-კახეთისა . . .	141
48	საქართველოს მდგომარეობა 1605—1703 წ. .	144
49	საქართველო სპარსთა და ოსთალთა სრულს მფლობელობის დროს	149
50	საქართველო 1703—1733 წ.	151
51	თეიმურაზ II, მეფე ქართლისა დ. კახეთისა .	155
52	თეიმურაზ II, მეფე ქართლისა და ირაკლი II—კახეთისა	157
53	ირაკლი II ქართლ-კახეთის მეფე და სოლომონ I იმერეთისა	159
54	ანტონ I საქართველოს ქათალიკოზი . . .	169
55	ქართული საერო და სასულიერო მწერლობა XVII—XVIII საუკ.	173
56	გიორგი XIII, უკანასკნელი მეფე ქართლ-კახეთისა სოლომ. II, იმერთა მეფე; საქართველოს შეერთება რუსეთთან	176
57	დამატებანი: მოკლე მოთხრობა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებზე.	179

წინასიტყვაობა.

როდესაც ჩვენ კადგენდით ამ შრომასა სასეში არა გვქონდა მეცნიერების თვალით შეგვესწავლნა საგანზედ; ჩვენ სასეში არა გვქონდა რაიმე ახალი ჭეშმარიტება აღმოგვეჩინა საქართველოს ისტორიაში. ჩვენ გვქონდა სასეში შეგვედგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო მოსწავლე ქართველ ახალ-გაზდობისათვის. ამისათვის ჩვენ შევკრიბეთ და მიკეცით წესი და რიგი იმ საქართველოს ისტორიის მასალასა, რომელიც გაფანტულია სხვა-და-სხვა თხზულებაში ამ საგნის შესახებ, ანუ, უკეთ ვსთქვათ: ჩვენ მოკიეკანეთ რიგზე ის მასალა, რომელიც ჩვენ ხელთა გვქონდა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ შრომას მრავალი ნაკლულევანება ექმნება. მაგრამ თუ სასეში მიკიღებთ იმ გარემოებასა, რომ ჩვენის სამშობლოს ისტორია ჯერ ისევ შეუმუშავებელია და ისე ცოტაა ნაწერი მის შესახებ, რომ ისტორიის სახელმძღვანელოს შემდგენელმა არ იცის რომელს გზას დაადგეს, ერომელს ამბავს დაუჯერონ სიმართლის აღსადგენად,—მაშინ ცხადი იქ-

მნება, რომ ამ გვარს შრომას „ჯერ“ ბევრი არ უნდა მოეთხოვებოდეს... ან რა მასალები გვქონდა ჩვენ. 1) „ქართლის ცხოვრება“ 2) ს. ბარათაშვილის ისტორია 1, 2 ⁊ 3 რვეულები; 3) თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორია; 4) ბ. დ. ბაქრაძის ბროშურები და მისგანვე ნაწერები ძველ საქართველოზე 1878 წ. „ივერიის“ №№ ბში. 5) ბატონიშვილის ვახუშტის გეოგრაფია; 6) «Историческое изображеніе Грузіи»—Головина 1864 г.; 7) «Историческое изображеніе Грузіи» соч. Александро-Невской Академіей 1802 г. და 8) Краткая Исторія Грузинской Церкви» П. Іоселіани. აი ეს წიგნები გვქონდა ჩვენ მხოლოდ ჩვენის შრომის შესადგენათ და მხოლოდ ამ მასალებით ვსარგებლობდით.

ხსენებულ თხზულებათაგან ამოვიღეთ ყოველი ის (ზოგი სიტყვა-სიტყვით), რაც უფრო უკეთესად მიგვაჩნდა; ამისათვის, ვიმედოვნებთ, ჩვენს შრომაში თვაქტების შესახებ არ მოიპოვებიან ყველა ის შეცდომები, რომელნიც ხშირად მოიპოვებიან თვითეულს ჩვენგან ნახმარს თხზულებაში...

ჩვენი „ისტორია საქართველოსი“ მიემსგავსება უფრო «მოთხრობასა ქართველის ხალხის ცხოვრებაზედ, ვიდრე „ისტორიასა“, როგორც საზოგადოდ ესმისთ...

საზოგადოდ ჩვენს ისტორიულს თხზულებებში (თვით «ქართლის-ცხოვრებაშიაც») ფრიად მცირე ადგილი უჭირავს «ხალხის» შინაურის ცხოვრების განხილვასა; ამისათვის ნურავის გაუკვირდება, თუ ჩვენი შრომაც მოკლებულია ამ მხრით ღირსებასა...

რაიცა შეეხება ენასა,—ვცდილობდით უველა ფაქტები ცოცხალის, ხალხურის და ადვილათ გასაგების ენით წარმოგვედგინა მკითხველთათვის და, ამ მხრით, იმედი გვაქვს, ჩვენი შრომა უ[illegible]ულო თუ არა—უვარგისი მაინც არ იქმნება.

რადგანაც ჩვენი «ისტორია» ცოტა ვრცელია, ამისათვის უმაწვილებს პირველადვე არ უნდა მიეცეს სელში საკითხავათ: ჯერ თვით მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს და კარგათ შეითვისოს ეპოქები და ფაქტები და ზეპირად გარდასცეს მოსწავლეებსა ჯერ უფრო შესანიშნავი ეპოქები ჩვენის ისტორიიდამ. წიგნის მიცემა მოსწავლეთათვის შეიძლება არა ადრე მეოთხე წლისა სასოფლო სკოლებში.

ცოტა ვრცელი გამოვიდა ჩვენი ისტორია; მაგრამ, რა მივიღეთ მსედველობაში უმაწვილებისათვის საკითხავის წიგნების სიღარიბე ჩვენს მწერლობაში, ადარ შეგვამოკლეთ; რადგანაც, ჩვენის ფიქრით, სამშობლო ისტორიის შესწავლის გარდა, ჩვენს წიგნს სხვა დანიშნულებაც ექმნება: იგი იქმნება კიდევ საკითხავ წიგნადაც სკოლებში.

ზოგიერთი სტატიები ჩვენის ისტორიისა ცოტა ვრცელები გამოვიდა. ეს გარემოება ადვილი ასახსნელია, ვინც-კი ცოტად მაინც იცის საქართველოს მდგომარეობა მე-XV საუკუნიდამ მე-XVIII საუკუნის გასვლამდინ: მე-XV საუკუნეში საქართველო გაიყო სამს სამეფოდ და ამ სამის სამეფოს საქმეები ისე ნაირად არიან ერთი-მეორისაგან დამოკიდებულნი; ისე ნაირად არიან ერთი-ერთ-მანერთში გადარეულნი, რომ შეუძლებელი რომ არა [illegible]ქვათ,

ერიად ძნელია მათი განცალკევება ერთი-მეორისაგან. ამას გვიმტკიცებს თვით ჩვენის ისტორიის ძვა-კუთხედი —«ქართლის-ცხოვრებაც»

გულითადს მადლობას გუძღვნით იმ პირთ, რომელთაც სული მოგვიმართეს ფულით და მით ღონის-ძიება მოგვცეს ამ წიგნის გამოცემისა. განსაკუთრებით მადლობას გუძღვნით: თ. დავით ვახტანგის-ძე ჯორჯაძეს, რომელმაც ამ საქმისათვის არ დაიშურა სუთი თუმანი (50 მ.), ნ. ზ. ჩოლაყაშვილს, მ ბ. ანდრონიკაშვილს, ა. დ. კიკნაძეს, ს. ლ. მელვინეთ-სუცესოვს, ი. გ. სატიევს, მ. ი. შიუკოვს და ი. ბ. როსტომაშვილს, რომელმაც იმის კარგა, რომ 40 მ. დასდო ამ საქმისათვის,—შრომა მიიღო და ხელის-მოწერა გამართა ამ წიგნის გამოსაცემად ფულის შესაკრებათ.....

რ. ძამსაშვილი-ცამციევი.

1881 წ. ქრისტესშობისთვის 16 ს.
ქ. თელავი.

1. სამზღვრები საქართველოსი.

საქართველოს სამზღვრებს შეადგენდნენ: აღმოსავლეთით — კასპიის ზღვა, დასავლეთით — შავი ზღვა, სამხრეთით — მთა, დაწყებული შავის ზღვიდამ, ტრაპიზონის მასლობლად, საიდამაც მიემართება ჭ. აზრუმისაკენ, მდ. არეზამდე, რომელიც შემდეგ შეადგენს სამხრეთის სამზღვარს კასპიის ზღვამდე. ჩრდილოეთით ჩასაზღვრავს საქართველოს კავკასიის უმთავრესი მთა გრესილი.

2. მდებარეობა საქართველოსი.

საქართველო საზოგადოდ წარმოადგენს გასაოცარს სხვა-და სხვაობასა თავის თვისებითა. მის ზევითა პირს ამშვენიერებენ სხვა-და-სხვა ნაირი ლამაზი მწვანე მინდვრები, ტყიანი, ან თოვლით დაგვირგვინებული მაღალი მთები, ვიწრო სეობები და ღელეები, რომლებშიაც ჩამოჩხრიალებენ წვრილი ანკარა წყლები და გრგვინავენ სწრაფად მორბედნი მდინარენი. თვით კავკასიის მთა-გრეხილი, რომელიც ძველადვე შეადგენდა ევროპისა და აზიის სამზღვარსა, მიემართება შავის ზღვის პირით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ კასპიის ზღვის პირამდე. იმისი სიგრძე არის 1420 ვერსტი. კავკასიის მთა-გრეხილი წარ-

მოადგენს ორ-გვარს წყობასა: ერთია უმთავრესი კავკასი, მეორე-მცირე კავკასი, რომელიც უმთავრესთან შეკავშირებულია მესხეთისა და სურამის ქედებით. ამ მთების გარდა საქართველოში კიდევ ორი მთა-გრესილია შესანიშნავი: ერთი მისდევს ფასის მთიდამ და შეადგენს სვანეთის სამხრეთის სამზღვარსა და მეორე, რომელიც იწოდება ცივ-გომბორის მთად,—ბორბალოს მთიდამ იწყობა, ჭყოფს ალაზნისა ⁄ ირის აუზებსა და ჭასზღვრავს შიგნით კახეთს გარეო კახეთისგან. საზოგადოდ კავკასი მდიდარია მდინარე წყლებითა. უმთავრესი კავკასიაში ტბა არის გოჭა ანუ სევანგა, ერევნის მასლობლად, 80 ვერსტი სიგრძით; შემდეგ: ხოზაპინი, თოფარავანი და ტბის-ყური, ასალტიხის მაზრაში. კავკასი უსვად არის დაჯილდოებული ყოველ-გვარის სიმდიდრითა: ცხელისა და ცივის ჭავითა ერთსა და იმავე დროს, ყოველ-გვარის მცენარეებითა; აქ-იქ ხუთი-ექვსის საათის მანძილზედ ბარიდამ დაწყობილი მთის ქედამდე, ვპოულობთ ყველა ბუნების ნაწარმოებსა: შენობისათვის საჭირო ხე-ტყესა, ხეხილსა; გარდა ამისა კავკასი მდიდარია ცხოვრებისათვის საჭირო მრავალ-გვარის ქვებითა: მარმარილოთი, გიშრითა, მარილითა, სამკურნალო წყლებითა, შაბითა, გვარჯილითა, ნავთითა, თეისითა; მადნეულობით: ოქროთი, ვერცხლით, სპილენძით, რკინით, და სხვებით... უეჭველია, რომ ამ გვარი ბუნებით მდიდარი ქვეყანა ადრევე მიიქცევდა უცხო ხალხების ყურადღებასა და კიდევ-ც მიიქცია ყველა იმ ხალხებისა, რომელნიც-კი ოდესმე გამოსულან ისტორიულს ასპარეზზედ.

3. საქართველოს მდინარეთა შორის უფრო გამოჩენილნი არიან:

ა, მტკვარი. ამ მდინარის სათავე არის სოლანლუღის მთებში. მტკვარი ჯერ მომდინარეობს ჩრდილოეთისაკენ, ვიწრო ხეობაში, ქ. ახალციხემდინ; აქედგან ტფილისამდე მომდინარეობს აღმოსავლეთისაკენ მშვილდსავით მოხრილად; ტფილისიდგან კასპიის ზღვამდე მიმდინარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. საქართველოში მტკვარს ერთვიან შემდეგნი მდინარენი: ფოცხოვი, ლიახვი, ქსანი, არაგვი, ალაზანი თავის შემომდინარე იორის წულით. ეს მდინარენი გამომდინარებენ უმთავრესის კავკასიის მთა-გრეხილის სამხრეთის ფერდობებიდამ. მდინარე ალგეთი და ხრამი თავის შემომდინარე წულებით გამომდინარეობენ მტირე კავკასიის მთა-გრეხილიდგან და ერთვიან მტკვარსა. მტკვარი გემთ—სავალია კასპიის ზღვიდგან სოლიანამდინ.

ბ, რიონი. ამ მდინარის სათავე არის უმთავრესის კავკასიის მთა-გრეხილში, სონგუთი-ხოხის მთის ძირში. მომდინარეობს პირველად დასავლეთისაკენ, შემდეგ სამხრეთისაკენ, ბოლოს ისევ დასავლეთისაკენ და ერთვის შავს ზღვასა.

რიონს ერთვის შემდეგი მდინარენი: ყვირილა, რომელიც კამოდის სურამის მთის ჩრდილოეთის მხრიდგან; ცხენის-წყალი (ჭიშპოს) გამოდის ფასის მთიდამ და სამხრეთ დასავლეთისაკენ დენის შემდეგ ერთვის რი-

ონსა; ტეხური (გლაგკოს), რიონი და მტკვარი ძველს დროში ნავთ-სასვლელ მდინარეებად ითვლებოდნენ. პირველი შავის ზღვიდამ ყვირილის შესართავამდე; მეორე კასპის ზღვიდამ სურამამდე. რიონში ჩვენს დროში მხოლოდ ორპირამდე დაცურავენ ნავები.

გ, ხოფი გამოდის სვანეთის ქედებიდგან და სამხრეთ-დასავლეთისაკენ დენის შემდეგ ერთვის შავს ზღვასა.

დ, ენგური გამომდინარეობს ფასი-მთიდამ და მიმდინარეობს ჯერ დასავლეთისაკენ, შემდეგ, როდესაც გამოსცილდება სვანეთის სეობასა, გაბრუნდება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და შაერთვის შავს ზღვასა.

ე, ჭოროხი თავის შემომდინარე წყლებით ჭრწყავს სამხრეთ-დასავლეთის საქართველოსა და შაერთვის შავს ზღვასა ბათომიდგან დასავლეთისაკენ სამს ვერსტზედ. ამ ხუთ უმთავრეს მდინარეთ გარდა საქართველოში მომდინარეობენ მრავალი წვრილი მდინარენი, რომელნიც გამოდიან კავკასიის სხვა-და-სხვა ქედებიდგან. ყველა ამ მდინარეთა ნაპირები ძველს დროში მოფენილნი იყვნენ ქალაქ-სოფლებითა და ციხე-სიმაგრეებითა; ამ მდინარეთა ნაპირებზედ დუღდა სიცოცხლე ჩვენთა წინაპართა!..

4. ქართველების ხიძველე და შთამომავლობა.

ბერძნები და თვით ქართველნიც მთელს საქართველოს ორს ნაწილად ჰყოფენ: ზემო-საქართველოდ, ანუ

ამიერად: ქართლი, კასეთი ⁄ სასთაბაგოს ერთი ნაწილი, ⁄ ქვემო საქართველოდ, ანუ იმიერად: იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, აბხაზეთი, სვანეთი ⁄ დანაშთენი სასთაბაგო ჭოროსის სეობითურთ.—ივერიის (საქართველოს) მცხოვრებნი ძველადგანვე ცნობილნი არიან მამაცი ხალხად: ქართველნი გაჟ-გატობაში არ ჩამორჩებოდნენ იმისთანა მამაც ხალხს, როგორნიც იყვნენ მიდიელნი ⁄ სპარსნი. ივერიელნი (ქართველნი), წითელის ქულაკებით შემოსილნი, საშინელნი იყვნენ მტერთათვის. ქართველთ შთამომავლობაზედ «ქართლის ცხოვრება» ამ გვარად მოგვითხრობს: ქართველთ ⁄ სომეხთ ნათესავთ მთავარი იყო თარგამოსი, შვილის-შვილის-შვილი ნოეს ძის იათვეთისა. თარგამოსი სცხოვრებდა ბაბილონის გოდოლის შენების დროს ⁄ შემდეგ ხალხის განნევისა დაეხსნა არარატის მთის მახლობლად. ტოტას ხანში ისე-ნაირად გამრავლდა თარგამოსის შთამომავლობა, რომ არარატის მახლობლად ველარ დაეტია. ამისათვის თარგამოსმა გაუნაწილა თვისი სამეფლობელო თავის რვა შვილს. პირველს შვილს—ჭოტს მისცა ახლანდელი სომხითი, ჭოტისაგან წარმოსდგნენ სომხები. მეორეს შვილს—ქართლოსს მისცა ახლანდელი საქართველო. ქართლოსისაგან წარმოსდგნენ ქართველნი. ქართლოსი სცხოვრებდა 2200 წლის წინად ქრისტეს მოსვლამდინ.

ქართლოსი და მის შემდეგნი უფროსი მემკვიდრენი იწოდებოდნენ მამასახლისებად. ქართლოსმა აღაშენა ქალაქი ქართლი მტკვრისა და არაგვის ერთად შესართავთან, გორაზედ. ქართლოსის სამეფლობელო იწყობო-

და გატეხილ სიდიდგან (წითელი ხიდი) ვიდრე შავს ზღვამდინ. შემდეგ სიკვდილისა ქართლოსი დასაფლავებულ-იქმნა ქ. ქართლშა. მისი საფლავი დიდხანს იყო თაყვანის საცემი ადგილი ქართველებისა ს, შემდეგ, თვით მეფენიც-კი, ტახტზედ ასვლის დროს, ქართლოსის საფლავზედ აძლევდნენ ხოლმე ფიცსა.

ქართლოსის ცოლმა აღაშენა ქალაქები—დედა-ციხე ს ბოსტან-ქალაქი ს გაუყო თვისი სამფლობელო თავის ხუთს ვაჟსა: მცხეთოსს, გარდაბანოსს, კახოსს, ეუხოსს ს გაჩინოსს. მცხეთოსი, როგორადაც უფროსი შვილი, იწოდა მამასახლისად. ამან აღაშენა ქალაქი მცხეთა. მცხეთის მამასახლისი უნდა ყოფილიყო უფროსი მთავარი, განმგე ს მსაჯული ქართლოსიანებისა და, მართლაც დანაშთენნი მამასახლისები ჭმორჩილებდნენ მცხეთოსა და ეგელა ქართველები სცხოვრებდნენ თანხმობით და სიყვარულით ურთიერთ შორის. მაგრამ მცხეთოსის სიკვდილის შემდეგ, მის უფროს შვილს უფლოსს წინა-აღუდგნენ დანაშთენი მამასახლისები და აღარ დაემორჩილნენ მას.—ეგელა ეერძო თემის უფროსმა დაიჩემა განუსაზღვრელი ს დამოუკიდებელი უფროსობა თავის თემში ს ამ ნაირად ერთ უფლების ქვეშ შაერთებული საქართველო დაიყო რამდენსამე წვრილ სამფლობელოდ. ამ გარემოებას ფრიად ცუდი შედეგი ჭქონდა ქართველთ ძლიერებისათვის, რადგანაც დაიწყეს ურთიერთ შორის ბრძოლა და ბოლოს, ისე ნაირად დაუძლურდნენ, რომ დაჭკარგეს თავისუფლება ს შთაცვინდნენ უცხო ხალხის ხელში.. უფლოსმა აღაშენა ქ. უფლის-ციხე. რამდენიმე ერთიერთ-

რისაგან დამოუკიდებელი მამასახლისი განაგებდნენ საქართველოს საქმეებს იმ დროამდინ, ვიდრე გამოჩნდებოდა გონიერი თვარნავაზი, რომელმაც შეაერთა საქართველო ერთს სამეფოებელოდ და დაუწესა მეფობა...

5. საქართველოს ქალაქები, რომელნიც მოიხსენებიან თვარნავაზის გამეფებამდე.

ა) ქართლი—უძველესი ქალაქი საქართველოში. იგი აღაშენა ქართლოსმა მთაზედ, რომელიც წამომდგარია მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ, არაგვისა და მტკვრის შესართავთან. თვარნავაზის შემდეგ ამ ქალაქს ეწოდა არმაზი, რადგანაც ამ მეფემ აღმართა აქ კერპი არმაზისა (სპარსული ორმუზდი).

ბ) ორბისი (სამშვილდე) იყო ციხე-ქალაქი, აღშენებული ქართლოსისაგან მდ. ხრამის (ქცია) მარცხენა ნაპირზედ.

გ) მტკვრის-ციხე ანუ ხუნანი იყო ციხე-ქალაქი ქართლოსისაგან აღშენებული იქ, სადაც მდ. დებედა ერთვის მტკვარსა.

დ) დედა-ციხე აღაშენა ქართლოსის ცოლმა მდ. თეძამზედ, რომელიც ერთვის მტკვარს მარჯვენა მხრიდგან.

ე) ბოსტან-ქალაქი აღაშენა ქართლოსის ცოლმა მაღლობზედ, რომელსაც ახლა უწოდებენ იაღლუჯას და იმეორებენ ტფილისიდამ თხუთმეტ ვერსტზედ...

ვ) გაჩიანი, ანუ სანადირო ქალაქი, აღაშენა ქართლოსის შვილმა გაჩიანოსმა მდ. ხრამის მარცხენა ნაპირ-

ზედ, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ხრამს ერთვის-
მდ. მაშეკარი.

ზ, ჩელეთი, ანუ სანადირო ქალაქი, მდებარებდა
იმ ადგილას, სადაც ამ ჟამად მდებარეობს ვრცელი სო-
ფელი შილდა, კახეთში, ალაზნის მარცხენა ნაპირზედ,
მდ. ჩელზედ.

მცხეთოსის შვილებს აღუშენებიათ ქალაქები: ა)
ოძრხე, მდ. ფოცხოვის მტკვართან შესართავთან; ბ)
თუხარისი—ოძრხეს მახლობლად, მდ. ჭოროხის აუზში;
გ) წუნდა—მტკვრის სათავესთან; დ) არტანისი—წუნდას
მახლობლად, მდ. მტკვრის პირზედ, ე) ურბნისი, ვ)
კასპი, ზ) უფლის-ციხე—ამ ჟამად პატარა სოფლები
არიან ქართლში, ბორის მაზრაში, მდ. მტკვრის მარცხე-
ნა ნაპირზედ, ქ. სურამი (სირიუმი) არის აღშენებული
მამასახლისების დროს ლიხის ქედის ძირში. რიონის
აუზში იყვნენ ქალაქები: ია—რიონის სათავესთან; ფაზი-
სი—ეხლანდელი ფოთი; ქითა—ეხლანდელი ქუთაისი; შო-
რაპანი—მდ. ყვირილაზედ; არქეოპოლისი-ეხლანდელი ნაქა-
ლაქევი; ციხე გოჯი,—აღშენებული მდ. ტეხურის მარ-
ჯვენა ნაპირზედ ფარნავაზის პირველ თანამოდგაწის—
ერისთვის ქუჯისაგან.

6. მამასახლისობითი მმართველობა და მისი წესები საქართველოში.

როდესაც განმრავლდა ქართლოსის შთამომავლო-
ბა,-ქართველობის სხვა-და-სხვა გვარეულობამ აღმო-

ირჩევა თვის შორის უფროსი კაცი-მამასახლისი. რამ-
დენიც უფრო ბევრი იყო სხვა-და-სხვა გვარეულობა და,
რამდენადაც ბევრ კერძო ნაწილებად იყო დაყოფილი
საქართველო, იმდენად უფრო ბევრი მამასახლისები იყვ-
ნენ. თუმცა მამასახლისები იყვნენ უფროსნი თავ-თავის
გვარეულობაში, მაგრამ მათ მაინც არა ჰქონდათ მინი-
ჭებული განუსაზღვრელი უფლებანი ხალხზედ. თვით სა-
ზოგადოება განაგებდა თავისას და თავის ქვეყნის საქ-
მეებს მამასახლისების წინამძღოლობით და ხელ მძღვა-
ნელობით. უფროს მამასახლისად ითვლებოდა — მცხეთის
მამასახლისი, რომლის სამეფოდ ქალაქშიაც შეიკრიბებო-
დნენ-ხოლმე დანაშთენი მამასახლისები იმ გვარ საქმეთა
გასარჩევად, რომელნიც შეეხებოდნენ მთელს საქართვე-
ლოსა. ამ გვარ ურიერობაში მამასახლისების გარდა, და-
ესწრობოდნენ ხოლმე სხვა პირნიც, რომელნიც გამო-
იგზავნებოდნენ თვით ხალხისაგან თავის წარმომადგენე-
ლად. რომლისამე საქმის ანუ გვამის შესახებ საქმის
განსასჯელად, მამასახლისები მოიწვევდნენ ხოლმე მთე-
ლის საზოგადოებისაგან აღმორჩეულს უხუცესთ და პა-
ტიეცემულთ ქართველთ, რომელნიც განსჯიდნენ საქმესა..
საზოგადოების ქონების დასარჯვა მამასახლისს შეეძლო
მდოლოდ საზოგადოების ნებართვით. როდესაც მტერი
შემოესეოდა რომელსამე სამამასახლოში, მაშინ მცხე-
თის მამასახლისი თავის მხედრობით მიეიდოდა სხვა
რომელსამე მამასახლისთან, სადაც შეიკრიბებოდნენ და-
ნაშთენი მამასახლისებიც თავ—თავის ჯარებით და აქედ-
გან ერთად განეშზადებოდნენ მტრის წინააღმდეგ საბრ-

ძოლგელად... სამ რთლის გასარჩევად მამასახლისები მოიწვევდნენ «მოხუცებულთ, ჭკვიანთა, გამოცდილთა და ბერ-უთვნელთ კაცთა», და მომხიბვართაგან აღმორჩეულის კაცების ერთად გარდასწყვეტდნენ სამართალსა. მამასახლისებისა და საზოგადოებათა ერთი-ერთ-შორის არ იყო შური და უკმაყოფილება; არამედ ყველანი იგინი იყვნენ «ერთ-სულ და ერთ-განზრახვა და აქვნდათ ფრიადი მშვიდობა თვის შორის»...

როდესაც განძღიერდნენ ქართველნი მამასახლისებიან ჭვეშე და აღარ ეშინოდათ გარეშე მტერთაგან,-სალხის განსამრავლებლად მამასახლისები მოიწვევდნენ ხოლმე დაჩაგრულთ უცხო ტომთ, აძლევდნენ მათ ადგილებსა და ასახლებდნენ საქართველოში. ამ გვარმა უცხო ხალხის გარდმოსახლებამ ფრიად განამრავლა საქართველოში მცხოვრებთა რიცხვი. თუმცა ქართველნი მშვიდობიანად და მეუდრეობით სცხოვრებდნენ მამასახლისების დროს, მაგრამ გარეშე მტრები მაინც შეარყევდნენ ხოლმე დრო-გამოშვებით ქართველთ მეუდრეობასა. თუმც საქართველოს მრავალი და ძლიერი მტერი ეხვია, მაგრამ ქართველთ სამშობლოს ადგილ-მდებარების სიმაგრემ და თვით ქართველთ ვაჟკაცობამ და თავგანწირულმა სიყვარულმა მამულისადმი დასძლევეს ყველა ის ძველი უცხო ტომი, რომელიც კი განიზრახავდა ქართველების დამორჩილებასა...

---

7) შინაური ცხოვრება და ჩვეულებანი ძველის ქართველებისა.

უწინდელს დროში ქართველთ სოფლები შენდებოდნენ მაღალს, მოფარებულს და უშიშარს ადგილებზედ; რადგანაც გარეშე მტრების შემოსვა ხშირად ემუქრებოდა ქართველებს მათის ცოლ-შვილის დაწიოკებით და, ხშირად, ტყვედ წაყვანითაც. უწინდელნი ქართველნი, როგორადაც ახლანდელნიც, დიდად სტუმრის მოყვარენი ყოფილან: ამისათვის ყოველის ქართველის სახლი ყოველთვის და ყველასათვის ღია იყო, კინც-კი ეწვეოდა ქართველსა; გინდ მტერიც რომ ყოფილ იყო. სტუმრის მოყვარეობა იყო მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ქართველნი მოიწვევდნენ და დასახლებდნენ ხოლმე თავის ქვეყანაში უმამულო უცხო ტომთ: ებერაელთა, ხაზართა, თურქმენოა, ებრაელთა და სხვათა... უწინდელის ქართველების ჩვეულებათა შორის ღირს საცნობნი არიან შემდეგნი: ქართველებში მრავალ-ცოლობა აღკრძალული იყო: ქართველი ერთს დროს იყო ქმარი მხოლოდ ერთის ცოლისა და არა რამდენისამე, როგორც ვხედავთ სხვა აღმოსავლეთის (აზიის) ხალხებში, ყველა შვილები ქართველისა თანასწორ იყოფდნენ მამის საცხოვრებელსა: დასა ჭქონდა იგივე მონაწილეობა, რაც ძმასა. როდესაც ოჯახის მამა კვდებოდა, ცოლი მისი რჩებოდა სახლის უფროსად და განმგედ, მაგრამ ქმრის სარეხს-კი ვერ შეეხებოდა, რადგანაც იგი (სარეხი) შვილებისა იყო. თუ

ქვრივი მოინდომებდა გათხოვებასა, იგი მიიღებდა შვილთაგან რამდენსამე ნაწილს ქმრის ქონებიდგან... დიდად პატივ-ცემულნი იყვნენ მამასახლისები და ოჯახის უფროსები ერისაგან... როდესაც ქართველს მოუკვდებოდა ვინმე სახლში,—იგი ნიშნად გლოკვისა, დაიყენებდა წვერსა. მიცვალებულთა დასაფლავება დიდის პატივით და ამბით იტოდნენ... თუ მტერი შემოესეოდა საქართველოსა,—მამასახლისები შეიკრიბებოდნენ ერთად ერითურთ და ერთობით მისცემდნენ მტერს პასუხს. საზოგადო საქმეების განხილვაში მთელი ერი იღებდა მონაწილეობასა. მთელი ერიკე ასამართლებდა დამნაშავეთ: ჭსჯიდა მათ, ანუ ამართლებდა. ძველის მწერლების მოწმობით საქართველოში ძველადვე ფრიად გავრცელებული ყოფილა მეურნეობა: მაწის შემუშავება და ღვინის დაყენება კარგად ჭსცოდნიათ უწინდელს ქართველებსა. ოქროს გამოდნობა, სელის ქსოვილის ქსოვნა, რკინა-თოლადეულობის ნივთების შემუშავება, ქვით-კირის შენება, კრამიტისა და აგურის მოჭრა,—ყველა ეს ხელობანი კარგად ჭსცოდნიათ. უწინდელთ ქართველთ არც გაჭრობა დაუტოვებიათ ქართველთ უყურადღებოდ: უწინდელს დროში საქართველოს თითქმის ყველა მოვაჭრე ძველს ხალხებთანა ჭქონია ვაჭრობა: ფინიკელებთან ინდოელებთან, ბერძნებთან, ბაბილონელებთან, პარსელებთან, ეგვიპტელებთან და სხვებთანა... მთელი საქართველო უწინ საგაჭრო მოედნად იყო გარდაქცეული; ასე რომ ყველა ქვეყნების საგაჭრო საქონელს უძველად საქართველოზედ უნდა

გაკარს: ერთის მხრით—ალმოსავლეთიდგან—ინდოეთ—სპარსეთიდგან კასპიის ზღვით, შემდეგ მდ. მტკვარზედ, რომელზედაც მაშინ სავაჭრო გემები დაცურავდნენ საქართველომდინ, ქარელიდამ შორაპნამდინ ხმელეთით და აქედგან ისევე წყლით მდ. უკირიდაზედ, რიონზედ, შემდეგ შავის ზღვით ევროპაში. მეორეს მხრით ევროპიდგან ინდოეთში ამავე გზით ატარებდნენ საქონელსა... მდინარეების გარდა საქართველოში მრავალი სავაჭრო გზები იყო გაკეთებული. ამ გზებს თვით უცხო მოვაჭრე ხალხები აკეთებდნენ თავის სარგებლით... ქართველი ხალხი ბერიად გულ-კეთილი და ამასთანავე საშინელნი

�ბრძოლაშიო... ჩვენს თავისუფლებას ერა ვის დავუ-
თმობთო: სისხლით დავგიცვავს, ვიცვავთ და მარადის
დამცველნიც ვიქმნებით თავისუფლებისა და მამულისა
ჩვენისაო.» ბრძოლის დროს ქართველნი წითელის ქუ-
ლაჯებით იუვნენ შემოსილნი და შეჯურვილნი იარაღში.
ქართველობის იარაღს შეადგენდნენ: რკინის (ზოგს ხისა)
ჩაბსუტი (მუზარადი, ჩაბალახი), თავსასურად, რკინის პა-
ჭიჭები, გულზედ სელის ქსოვილის დოშლული; სარტ-
ყელზედ ეკიდათ მოკლე ტულები (ზოგს); ხელში ეჭი-
რათ შუბები, სიგრძით 7-8 ადლამდინ, მაჯაზედ გაკვ-
თებული ჰქონდათ ფარები, ეკიდათ ხმლები. ხმარობდნენ
აგრეთვე შვილდ-ისარსა, როგორც ამ ჟამად თოფსა.
ქართველების გაუკაცობას ამტკიცებს ის გარემობა, რომ
სშირად უცხო ხალხები დიდის სასუიდლით ქირაობდნენ
ქართველებს თავის მტერებთან საბრძოლველად. რომელი
მეფეც ქვეყნების დასაპურობად წავიდოდა,—იგი უეჭველ-
ად იქირავებდა ქართველის მხედრობასა...

რაიცა შეეხება ძველის ქართველების სიმდიდრესა,
—არც ამ მხრით იუვნენ უკანასკვნელნი. საქართველოს
პირველ დროის მეფენი ხომ ფრიად მდიდარნი ეოფილნ
რადესაც ფარნავაზ მეფე (144—135 ქრ. წინ), განდეგ-
ილი ქართველთაგან, გაიქცა პონტოში,—საქართველო-
დგან იმდენი სიმდიდრე გაიტანა, რომ, იმ სიმდიდრის
წყალობით, ათი წელიწადი ებრძოდა არშაკ მეფესა(135
—123 ქრ. წინ) ნაქირავების ჯარითა...

თუმცა საქართველოს ნიადაგის ნაყოფიერებაც სა-
კმაო იყო ქართველების გამოსაკვებად და საცხოვრებლად,

მაგრამ ქართველთა შრომის მოყვარება რომ გიქონიოთ სახეში, ცხადი იქმნება, რომ ძველს ქართველებს სხვა წყაროებიც ექმნებოდათ სიმდიდრის მოსაპოვებელად და შესაძენად. მარტო საკაჭრო საქონლის ბაჟი 10—15 მილლიონ მანეთამდინ შემოსდიოდა საქართველოსა; და 10—15 მილლიონი მანეთი რომ დიდ-ძალი თეული იყო ამ დროს,—ამაში ეჭვი არ უნდა გიქონიოთ...

8. ქართველების სარწმუნოება წმ. ნინოს მოსვლამდინ საქართველოში.

ქართველებს პირველად ეჭირათ ზოროასტრის სარწმუნოება, რომლის სწავლაც დაფუძნებული იყო ბუნების განმლვთიერებაზედ. *) ზოროასტრის სარწმუნოება თავდა-პირველად საჭიროდ არ რაცხდა ღმერთების საღოცავად ტაძრებისა და კერპების აღმართვასა: ამ საჯულის მორწმუნენი სარწმუნოების წესებს აღსრულებდნენ მთების მშვენიერ კალთებზედ, ანკარა წყლის ნაპირებზედ და დიდის ხეების ქვეშ. შემდეგ, როდესაც ირანელებმა და დასავლეთის ხალხებმა გაახშირეს ერთი-ერთ-შორის მიმოსვლა, მაშინ სხვათა შორის სარწმუნოებისა და მღვთის მსახურების წესებიც შეიცვალა. აგი შეიქმნა უფრო დიდებული და სადღესასწაულო ეოგელგან, სადაც-კი უფლებდა ზოროასტრის სარწმუნოება: აშენდა ტაძრები (ბომონები), აღიმართა კერპები (ბუთები). ამ გვარიგე ცვლი-

*) იხილე სტატია: «ზოროასტრის სჯული» ბილიაში.

ლება შემოვიდა საქართველოშიაც და, როგორცა სჩანს, მოსწონდათ ქართველებსა. ეს მტკიცდება იმ გარემოებით, რომ, როდესაც მეფეს თვრნაჯამს უნდოდა აღდგენა სარწმუნოებისა ისევ ძველის წესებით, სალხი აუჯანუდა მას და განდევნა იგი საქართველოდგან... თვით წმ. ნინოს ქადაგების შემდეგაც მრავალი სალხი დარჩა ძველს სარწმუნოებაზედ—ცეცხლის-თაყვანის-მცემლობაზედ... გარე-მოცულის დიდებულის ბუნების ზედ-მოქმედებამ სალხზედ, საქართველოში დაბადა მრავალი ცრუ-მორწმუნებანი, რომელთაც მოაღწიეს ჩვენს დროამდინ. ეხლაც კი არის ჩვენს სალხში გავრცელებული თაყვანისცემა, მაგალითად: დიდის ხეებისადმი, ქვებისადმი, ნასგრევთადმი და სხვა... თვით პირველმა საქართველოს მეფემ თვრნა ვაზმა აღმართა ქართლოსის მთაზედ კერპი არმაზი, რომელიც ითვლებოდა ქართველთა უაღრეს ღმერთად. ქართველებს არმაზის გარდა, სხვა ღმერთებიც ჰსწამდათ, მაგ: ბოზი, რომლის კერპსაც ამ გვარად ჰსწერენ: ჰქონდა შვიდი ხელი, რომელნიც ჰნიშნავდნენ ქართლოსისა ს მისის ძმების გვარეულობასა. თვითეულის ხელით ბოზი უჩვენებდა თვითეულის გვარეულობის მოწყალებასა ან რისხასა... კიდევ შემდეგი კერპები იყვნენ აღმართულნი საქართველოში: გაა, გაცი, ანიანი, დანიანი ს სხვანი... არმაზის კერპს შემდეგი სურათი ჰქონდა: იყო მდგომარე კაცი სპილენძისა, რომელსაც ტანზედ ოქრონს ჯაჭვი ეცვა, თავზედ ეხურა ოქროსიანი ჩაბხუტი, მხრები ს თვალები ჰქონდა ზურმუხტისა; ხელში ეჭირა ელვარე და ბრწყინვალე ხმალი, მოღერებული სალხისაკენ. ამისათვის

არმაზის კერპს ფრიად საშიშარი შეხედულობა ჰქონდა. დღესასწაულებში არმაზის სახელობაზედ ჯერ მეფენი და მისი სახლობა მიგიდოდნენ დიდის კრძალვით თაყვანის სცემლად, შემდეგ ხალხი და ბოლოს დაიწყობოდა მსხვერპლთ შეწირვა. ბატონის-შვილი კახუშტი სწერს, რომ არმაზის კერპი იყოფო უშველებელი დიდი, ოქრო-თი შემოსილი; თვალები ჰქონდა მოჭედილი ძვირფასის ქვებითა და ბრწყინვალე გვირგვინი ძვირფასისავე ქვებით მოჭედილი ედვა თავზედ.. არმაზას გულისათვის და-წესებული იყო დღეობა, რომელსაც გადიხდიდნენ ხოლ-მე მთის ძირში, სადაც შეიყრებოდა მრავალი ხალხი; აქვე მოვიდოდა მეფე დიდებულებითა და საკრავებითა და ბუკის კვრით შესწირავდნენ ზორვასა (მსხვერპლსა); ზოგი ჩხოტავდა ცხვრებსა, ზოგნი ძროხასა, გარეულს თხებსა და ზოგნი იმ საზარელს დავიწყებამდე მიაღწევ-დნენ ხოლმე, რომ მსხვერპლად თავის საკუთარს შვილებს შესწირვიდნენ. მსხვერპლის შეწირვის შემდეგ დაიწყებ-დნენ ლხინსა, სიმღერასა, ცეკვასა და სხვა თამაშობასა, რომელიც გაგრძელდებოდა სამი დღე. ეს გვარიგე დღე-ობა იყო დანიშნული სხვა კერპისათვისაც...

ოთხელი ხალხისაგან კერპისადმი შეწირული ხორაგეულობა განიყოფებოდა სამს ნაწილ-ად.

ა) პირველი ნაწილი ეკუთვნოდა ქურუმებსა (კერპის მსახურთ-მღვდელთ), ბოძოანის მსახურთ და ხეკის-ბერთ, რომელნიც სხვა-და-სხვა ქართველთ თემებს თავისათვი ჰყავდათ მოქადაგედ და სჯულის მასწავლებლად.

ბ) მეორე ნაწილს შეიტანდნენ ერთს ტალკვ დიდს

დარბაზში, სადაც შეიპატიჟებდნენ ლარიბთ მლოცავთ, გაუნაწილებდნენ მათ და აჭმევდნენ.

გ) მესამე ნაწილი გადადებული იყო გლახაკთა, პატიმართა და სნეულთათვის.

რაიცა შეეხება ოქრო-გერცხლეულს, სპილენძეულს და სხვა ნივთეულობასა, რომელნიც შემოიწირვებოდნენ კერპთადმი მლოცავთაგან, — ყველა ესენი შედგენდნენ მხოლოდ კერპის განუსაზღვრელს საკუთრებასა... ამ გვარი წესები ჩვენს დროამდინ შენახულან თუშ-ფშავ-ხევსურებში.

9 უცხო ტომთ შემოსევა საქართველოში და მათი გავლენა ქართველებზე.

ა) ყველაზედ უწინ, მე-XVIII საუკ. ქრ. შობამდინ, საქართველოში შემოვიდნენ ასურისტანელნი*) სემირამიდას წინამძღოლობით; თუმცა ასურისტანელთ საქართველო არ დაუპყრიათ, მაგრამ კალდებულად კი გახადეს ქართველნი, რომ უკანასკნელთ ათასი (1000) მხედარი მიეცათ ოთველ-წლივ თვით სემირამიდას სასახლის მცველებად. ასურისტანი კი ითვლებოდა საქართველოს მფარველად. ამ გვარი დამოკიდებულება ქართველებისა ასურისტანელებთან გაგრძელდა სემირამიდის სიკვდილამდე...

ბ) შემდეგ მე-XV საუკ. ქრ. მოსვლამდინ, საქართვე-

*) იხილე სტატია «ასურელნი».

ლოში შემოვიდნენ ეგვიპტელნი *) მეფის რამზესის წინა მძღოლობით, რამზესმა არც დაიშურა საქართველო და არც სარკი დასდვა; მხოლოდ სთხოვა ქართველებს რომ მათ შეენახათ და გამოეკვებათ რამდენიმე დროის განმავლობაში ეგვიპტელთ ჯარი თავის ქვეყანაში. ქართველთ მიიღეს თხოვნა რამზესისა და დაუბანავეს მისი ჯარი სამეგრელოში (ეგრისში). თუმცა ეგვიპტელთ ჯარი დაბრუნდა თავის სამშობლოში, მაგრამ სრულიად კი არა: საქართველოში დარჩნენ კიდევ 4000 ეგვიპტელნი, რომელთაც შეირთეს ქართველი ქალები, მიიღეს ქართველთ სარწმუნოება და ჩვეულებანი და სამუდამოდ დარჩნენ საქართველოში. ეგვიპტელთა ყოფნას და დარჩენას საქართველოში უნაყოფოდ არ ჩაუვლია ქართველთათვის: უკანასკნელთ მიუღიათ ეგვიპტელთაგან ზოგი-ერთი ჩვეულებანი და სახელწოდებანი, რომელნიც ჩვენს დროამდე შენახულან ქართველებში; მაგალითად: მზისა, მთვარისა და ხუთის ვარსკვლავისადმი თაყვანისცემა ქართველთაგან ეგვიპტელებისაგან არის მიღებული. სახელ-წოდებანი: „ხვარამზე“, «რამაზ», „მზე“ —არიან გადმოკეთებული ეგვიპტური სახელ-წოდებისაგან «რამზეს“; ქართველების ჩვეულებანი: მგლოვიარეების დროს კაცთაგან წვერის დაუნება, კაცის მოკვლის სასტიკად აღკრძალვა,—ქართველებს ეგვიპტელთაგანვ გვაქვს გადმოღებული და შეთვისებული. შეიძლება დარწმუნებით გსთქვათ, რომ ვარძიისა და თმოგვის გამოქვაბილები ისეთივე ეგვიპტელთა აკლდამები არიან, როგორნიც

*) იხილე სტატია «ეგვიპტელნი».

ხშირად და ბლომად მოიპოვებიან მდ. ნილის ნაპირებზედ, ეგვიტეში...

გ) მე-XII საუკ. ქრ. შობამდინ საქართველოში მოვიდნენ საბერძნეთიდამ არგონავტები—ბერძენთ გმირები. *) ესენი სამჯერ ეოფილან საქართველოში კაჭრობისა და მადნეულობისათვის (ოქროს მატყლოსანი ცხვარი). ამათ უნასავთ კოლხიდაში (სამეგრელო) მდიდარი ქალაქი ეა (რიონის სათავესთან) და მეტად ბრწყინვალე და მდიდრად მოწყობილი სასახლე კოლხიდის მეფლობელისა. ამ დროს ქართველთ სტოდნიათ ხალის ქსოვილის კეთება, ოქროს გამოდნობა, ღვინის დაყენება და სხვა ხელობანი. რადგანაც ბერძენთ ფრიად სასარგებლოდ დაინახეს ქართველებთან ვაჭრობა,—ამისათვის, ვაჭრობის შეუწყვეტლობისათვის, ბერძენთ გაუშენეს რამდენიმე ახალ-შენი (კოლონია) შავის ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაპირზედ. ამ ახალ-შენებში უფრო შესანიშნავი იყვნენ: პიტიუსი და დიოსკურია.

დ) მე-IX საუკ. ქრ. შობამდინ განძლიერდნენ ხოზარნი, **) მცხოვრებნი კავკასიის მთა-გრესილის ჩრდილოეთ მხარეს, და დაიწყეს საქართველოში შემოსევა კავკასიის კარით (დარუბანდით). მამასახლისები შაერთდნენ ერთად და თვითონ გაილაშქრეს ხოზარეთში (სკვითების ქვეყანაში) და დაამარცხეს იგინი, მაგრამ ხოზარნი შემდეგ ისევ მალე განძლიერდნენ, აღმოიჩინეს თვის შორის

*) იხილე სტატია-«საბერძნეთი».

**) იხილე სტატია «ხოზარნი».

მეფემ და ხელახლად გამოიღაშქრეს საქართველოზედ, რომელიც სრულიად აღარ ხრეს... ხოზარებმა იპოვეს ახალი გზა კავკასიის მთებში, დარიალის ხეობისა, რომლითაც იგინი ხშირად ახარებდნენ საქართველოსა. ხოზარების მფლობელობა კავკასიაში გაგრძელდა იმ დროამდინ, ვიდრე სპარსეთის მეფე ათრიდონ განდევნიდა მათ მე-VII საუკ. ქრ. შობ.-მდე.

ე) სპარსელების *) გავლენა უფრო ძლიერი იყო ძველადვე საქართველოში, ვიდრე სხვა ხალხებისა. ბევრჯელ დაუპყრიათ სპარსთ საქართველო —«განძლიერდეს სპარსნი... და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთიანთა კაცი ერთი გმირი ათრიდონ, რომელმაც... წარმოგზავნა ქართლისა ერისთავი თვისი, სპითა დიდითა, სასელად არდამ... მან აღაშენა ქალაქი ზღვის კარს და უწოდა სახელი დარუბანდი, ქართულად «დახშა-კარნი»..., „და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვით-კირით,—და აქამომდე არ იყო ქართლისა შინა საქმე ქვით-კირისა,-ამის გამო დაისწავლეს ქვით-კირი»... შემდეგ სპარსეთის განძლიერებისა, უკანასკნელთ წინააღუდგნენ ქართველ-სომეხნი. სპარსეთის მეფემ გამოგზავნა ჯარით ძე თვისი ქაიხოსრო, რომელსაც ვერა წინააღუდგეს სომეხნი და ქართველნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი. მოვლო ყოველი სომხითი და ქართლი, და დაუტევნა ერისთავნი და აღაშენა ადარბადაგანს (ადერბეჯანი) სახლი სალოცავი სჯულისა მათისა და წარვიდა» (ქართ. ცხოვრ., ნაწ. I)

*) იხილე სტატია «სპარსეთი»

გვ. 22-25). ტეტხლ-თ:ეგვანის-მტკმლობა საქართველოში სპარსთაგან იყო გავრცელებული; წარჩინებულთ ქართველთ სახელ-წოდებანი: როსტომ, მანუჩარ, ქაიხოსრო, ზურაბ, ბარამ და სხვა ძველადვე აქვთ შეთვისებული ქართველთ სპასთაგან. ქართველთ ჩეულებანი: შვილების აღზრდა სხვის სახლში; ტანთ-სამოსელი, მოკეცით ჯდომა და სხვანი სპარსთაგან არიან გადაღებულნი.

სპარსეთის ქართველების სწავლა-განათლებაზედაც ჭქონდა გავლენა შემდეგს საუკუნოებში... მე—VII საუკუნიდამ დაწყობილი, ვიდრე მე-V საუკუნემდინ ქრისტეს შობამდის სპარსნი ებრძოდნენ ქართველთა და სცდილობდნენ მათს დამორჩილებასა. ამ დიდის ხნის ბრძოლაში გამარჯვება დრო-გამოშვებით ხან სპარსებსა რჩებოდათ, ხან ქართველებსა. ქართველნი ხშირად მიიღებდნენ ხოლმე უმამულო უცხო ტომთ და ასახლებდნენ საქართველოში; მე IV საუკ. ქრ. შობამდინ ქართველებმა შეიხიზნეს ებრაელნი. ამ გვარის უცხო ტომთ შემატებით საქართველოს ერი მრავლდებოდა და ძლიერდებოდა; მაგრამ მეორეს მხრით, უცხო ხალხების შემოსვლას ცუდი შედეგი ჭქონდა ქართველთა ზნეობისათვის: გამოიცვალა და გაირუკნა ქართველთა სარწმუნოება; ნათესაობა აღარა ჭსწამდათ ერთმანეთში; მიცვალებულთა დასთვლაცა გადავარდა ჩვეულებიდგან; ადამიანის სხეულის ჭამა და მსხვერპლად შეწირვა შემოიღეს ქართველთ და სხვა ამ გვარი უმსგავსი ჩვეულებანი. მე-V საუკ. ქრ. შ-დინ—სპარსთა მეფემ არდაშირმა სხვა ჭკუნებთა შორის დაიპყრა საქართველო-

ცა და დასდვა მძიმე ხარკი. ამ გვარად საქართველო ეჭ-
ვემდებარებოდა სპარსეთს იმ დროამდინ, ვიდრე ალექ-
სანდრე მაკედონელი დაიპყრობდა სპარსეთსა და მის
ხელქვეით ქვეყნებსა 330 წ. ქრისტეს შობამდინ.

10. ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში და საქართველოს ჰირვული მეფე ფარნავაზ.

ამ დროს, როდესაც სპარსეთის გავლენა ებრძოდა
საქართველოში საბერძნეთის გავლენასა, როდესაც ქარ-
თველნი ეჭვემდებარებოდნენ სპარსთა, საქართველოში
მოხდა ერთი შემთხვევა, რომელმაც ხელი მოუმართა
ქართველთ მეფობის დასადგენად. მე-IV საუკ. ქრ. შობ.
საბერძნეთში გამოჩნდა გმირი მეფე მაკედონიისა *) ალექ-
სანდრე, ძე ფილიპესი, რომელმაც სხვა ქვეყნებთა შო-
რის დაიპყრა სპარსეთიც, „ქართლის-ცხოვრების“ თქმუ-
ლებით, ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრა „ოთხენი ვი-
ენი ქვეყანისანი“, შემოვიდა საქართველოში, სადაც „ჴპო-
ვნა ციხე-ქალაქნი შუა-ქართლ,—ჴპოვნა კაცნი სასტიკად
მბრძოლნი“.. იმან (ალექსანდრემ) განუყო ლაშქარი თვი-
სი და ოთხენთა ციხე-ქალაქთა მოადგინნა; თვით დასდგა
მცხეთად და დაუდგინნა ლაშქარნი ზემოდ და ქვემოდ,
ამიერ და იმიერ... დაიპყრა ეჭვსი თვე. ალექსანდრემ
მოსრნა ოთხენი უცხო ტომთაგანნი და დაუტევნა ნა-
თესავნი ქართლოსიანნი და დაუტევა მათ-ზედა ჰატრიკად

*) იხილე სტატია «მაკედონელნი».

მმართველად სახელით ვზონ“... ვზონმა დაანგრია ქართლში უველა ციხეები, გარდა ოთხისა, რომლებშიაც დაუნა მაკედონელების (ბერძნების) ჯარი; დაიპყრა მთელი საქართველო და ლეკნი, ოსნი და ხოზარნი მოსარეკად ჰუკნა... როდესაც მაკედონელები ამ გვარად დამკვიდრდნენ საქართველოში და ვზონი მოშეტებულის გარდასახადით აწუხებდა ქართველებსა და თვით თავის ჯარსაც სასტიკად ეპყრობოდა, საქართველოში გამოჩნდა გონიერი ჭაბუკი,—სახელით თარნავაზი, რომელმაც განთავისუფლა საქართველო ვზონისაგან, დაწესა საქართველოში მეფობა და თვით შეიქმნა მეფედ.—

თარნავაზი იყო ძმისწული უკანასკნელის მცხეთის მამასახლისისა; ხოლო დედა მისი იყო ისპაჰანელის სპარსის ქალი. თარნავაზის მამის მოკვლის შემდეგ ალექსანდრესაგან, დედამ სამის წლისა თარნავაზი ორის დითურთ წაიყვანა მთებში, სადაც მოთარეობით ზრდიდა. როდესაც თარნავაზი გაიზარდა,—დედა მისი ჩამოვიდა მცხეთაში, სადაც დათვრულად და გვარის გამოუჩენლად ჭსცხოვრებდნენ, რადგანაც ეშინოდათ ვზონისაგან. თარნავაზი იყო თრიად გონიერი, კარგი მხედარი და დახელოვნებული მონადირე. დედა ურჩევდა თარნავაზს ისპაჰანში წასვლასა და ამით ვზონისაგან მორიდებასა. თარნავაზს თრიად ეძნელებოდა სამშობლოს დატოვება, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სრულიად დაავიწყებინა თარნავაზს ეს სიძნელე და იგი სპარსეთის მაგივრად ეგრისში წავიდა დროებით. ეი ეს შემთხვევაც: ერთხელ თარნავაზი წავიდა სანადოროდ. დიღმის მინდორზედ იგი გა-

მოეკიდა ირმებსა და დასჯრა ერთი ირემი, რომელიც, შეირეკის სირბილის შემდეგ, დაეცა ერთის ველის ძირში. როდესაც თვრნავაზი მიეიდა ირემთან,—კარგად შებინდებული იყო; ამისათვის გადასწყვიტა იქ დაბინავება. თვრნავაზმა უეცრად თვალი შესწრო ველდეში გამოქვაბულსა, რომლის ამოშენებული კარები დროთა ვითარებისაგან ადგილ-ადგილ გამოხეულიყო. ამ დროს დაიწყო წვიმაც და თვრნავაზმა, შოინდოშა რა გამოქვაბულში შეეკარება, გამოანგრია კარები და, რა შეეიდა შიგ,—დაინახა მრავალი სიმდიდრე ოქროსი და ვერცხლისა... თვრნავაზმა გამოაშენა გამოქვაბულის კარები და, რა მიეიდა სახლში,—უამბო ოეველი ნახული თავის დედასა. მეორეს დღეს დაიწყეს იმ სიმდიდრის გამოზიდვა; გამოზიდეს ხუთის ღამის განმავლობაში და დამალეს მოხერხებულს ალაგს. შემდეგ თვრნავაზმა გაუგზავნა მოციქული ეგრისის (სამეგრელოს) მეფეობელს ქუჯის, რომ „ეე მსურს ჩემის დიდის სიმდიდრით მოსვლა შენთანო, მიმიღე, ძმები ვიყვნეთ და ერთად ვეწინააღმდეგოთ ზეონსაო“... ქუჯისაგან მიწვეული, თვრნავაზი თვრეულად გაემგზავრა ეგრისში თავის დედა-დებით და სიმდიდრითურთ. რჩევის შემდეგ, თვრნავაზმა მოიწვია შემწედ ოს-ლეკნი, რომელნიც მტრობით უყურებდნენ ზეონს ხარკის დადებისათვის, შეაგროვა ეგრისში ჯარი და გაემართა ზეონის წინააღმდეგ. ზეონმაც აღარჩია რჩეული ჯარი და მოემზადა. მაგრამ ეს ჯარი განუდგა ზეონსა, რადგანაც სასტიკად ეპყრობოდა მათ ზეონი, და მიემხრენ თვრნავაზსა. ზეონი გაი-

ქტ და გამაგრდა კლარჯეთში და ფარნავაზმა უბრძოლველად დაიპყრო საქართველო, გარდა კლარჯეთისა. მეორე წელიწადსა აზონმა მოიწვია საბერძნეთიდგან ჯარი ფარნავაზის წინააღმდეგ. ფარნავაზი თავის ჯარით დაუხვდა აზონს ქ. არტაანთან (ქაჯთა ციხე, გურია); დაამარცხა აზონის ჯარი, მოკლა თვით აზონი და მრავლის სიმდიდრით (დაგლა და ტყვეები) გამოიარა კლარჯეთზედ, მოვიდა მცხეთაში და იწოდა „საქართველოს მეფედ". ამავე დროს ფარნავაზმა გაუგზავნა დიდი და მდიდარი ძღვენი სირიის მეფეს ანტიოქოსს და სთხოვა მას მფარველობა. ანტიოქოსსმა მიიღო ძღვენი, უწოდა ფარნავაზს თვის ძედ და გაუგზავნა სამეფო გვირგვინი...

ამ გვარად დაიწყო მეფობა საქართველოში. დიდსანს ემზადებოდა საქართველო ამ საქმისათვის და ბოლოს მიაღწია კიდეც. მეფობის დაარსების საფუძველი იყო: ა) ქართველთა ერთ-ნათესაობა; ბ) სპარსეთის ზედმოქმედება, რომლითაც ქართველთ განბნეულნი ტაოელ-ტაოელ ტომები შაერთებულნი იყვნენ სპარსეთის მმართველობის ქვეშე; გ) განვითარება თვით ქართველის სულხისა: იგინი შეეჩვიენენ მიწის შემუშავებას და ვაჭრობასა; აგრეთვე სტნეს და იგრძნეს აუცილებელი საჭიროება ერთობისა თავისავე სასარგებლოდ.

11 საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზ 302—237 წ. ქრ. შობამდინ.

«შენ ჰე ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობასა—წესი და ძალი!»

«და ივერიის აღჩნდა მეფობა
და განძლიერდა შენისა სიბრძნით;
შორსა განითქვა მისი გმირობა
და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!»

ო. გრ. ორბელიანი.

გამეფებისათანავე ფარნავაზმა განჭყო თვისი სამეფო ცხრა საერსთავოდ და შემოიღო ის სამეფო წესები, რომელნიც არსებობდნენ სპარსეთში. მეფესთან განუშორებლივ იმყოფებოდა სპასალარი—სპასპეტი, რომელიც უფროსობდა დანაშთენ ერისთავებზედ. ერისთავების მოვალეობა იყო სახელმწიფო ხარჯის შეკრება და, საჭიროების დროს ჯარის მოგროვება. ფარნავაზმა შეირთო ცოლად ძურძუკების ქალი, კავკასიის გვარეულობისა. განაახლა ეგელა ალექსანდრესაგან დანგრეული ციხე-ქალაქები; შემოზღუდა ქვით-კირით მცხეთა; ასე რომ ალარა კითარი შიში არა ჭქონდა საქართველოს გარეშე მტერ-

თავან. ფარნავაზმა აღმართა უშველებელი კერპი თავის სახელზედ—არმაზი იმ ადგილზედ, სადაც იყო ქართლოსის სოფლავი. როგორც გონიერმა და ნასწავლმა კაცმა, ფარნავაზმა მოიგონა და შეადგინა ქართული „მხედრული“ ანბანი.

ფარნავაზი გამეფდა ოც-და-შვიდის (27) წლისა და იმეფა სამოც-და-ხუთი (65) წელიწადი. იგი იყო შესრული სიბრძის მეფის ანტიოქოსის მფარველობის ქვეშე. ფარნავაზის მეფობამ მშვიდობიანად გაიარა: იგი დროგამოშვებით იმყოფებოდა ხან ერთს, ხან მეორე, ხან მესამე თავის სამეფოს ნაწილებში... ეს ათასი მხედარი, რომელნიც აზონისაგან ფარნავაზს მიემხრენ, განიუვნენ რამდენსამე ნაწილად და დასასლებულ-იქმნენ სხვა-და-სხვა საქართველოს ნაწილებში. „იშურნა (ფარნავაზმა) იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისა მხნედ იუვნეს“.

11 გვარი საქართველოს მეფეთა.

ფარნავაზის შთამძმავლობის გარდა, საქართველოში მეფობდნენ სხვა გვარის მეფენიც. 302 წ-დამ ქრ. წინ —1801 წ-დინ ქრ. შემდეგ საქართველოში მეფობდნენ ოთხის გვარის მეფენი: ა) ბირვალის გვარის მეფენი იწოდებიან „ფარნავაზიან-ნებრონიანებად“. ეს გვარი იწყობა მეფის ფარნავაზით—302წ. ქ. წ. და თავდება მეფის ფარნაჯამით—135 წ. ქრ. წინ.

ბ) მეორე გვარის მეფენი იწოდებიან „არშაკუნია-

ნებად". ეს გვარი იწყობს მეფის ვრშუ I-ისგან 135 წ. ქრ. წ. და თავდება მეფის ასთაგურის სიკვდილით 265 წ. ქრ. შემდეგ.

გ) მესამე გვარის მეფენი იწოდებიან „ხოსროიანებად" ანუ „სასანიდებად." ეს გვარი იწყობა მეფის მირიანისაგან 265 წ. ქრ. შემდეგ და თავდება მეფის ბაკურ III-ით 575 წ. ქ. შ. დ) მეოთხე და უკანასკნელის გვარის მეფენი იწოდებიან „ბაგრატიონებად". ეს გვარი იწყობა გურამ I კურატპალატით 575 წლიდგან და თავდება უკანასკნელის საქართველოს (ქართლ-კახეთის) მეფის გიორგი XIII-ის სიკვდილით 1801 წელს*) (და იმერეთის მეფის სოლომონ II-ით).

---

13. საქართველოს მდგომარეობა ფარნავაზის მემკვიდრეების დროს.

(საურმაგ—237—162; მირვან I, სიძე საურმაგისა 162—142; ფარნაჯამ 112—93.)

საურმაგის დროს საქართველოში მოხდა თვის-შორისი ბრძოლა მეფისა და ერისთავთა შორის. მიზეზი ამ ბრძოლისა ის გარემოება იყო, რომ ტახტ-მემკვიდრეობის საძართალი ჯერ არ იყო კიდევ სრულიად აღიარებული ხალხისაგან. ამასთან ქართლის ერისთავმა მო-

*) ბაგრატიონთ გვარი შეუწყდა 625 წელს და გამეფდნენ ბერძენ ხოსროიანები. მაგრამ 787 წლიდამ ხელ-ახლად გამეფდა.

იმსრო თავისკენ დანაშთენი ერისთავები და შეადგინა შეთქმულება, რომლის მიზანი ის იყო, რომ დაემხო მეფის უფლება და კვალად აღედგინა ერისთავების დამოუკიდებლობა. თვით ხალხმაც თანა-უგრძნო ამ გვარს განზრახვასა და მიემხრო ერისთავებსა. მეფე საურმაგი წავიდა მთის ხალხებში და ამათ სთხოვა შემწეობა, რომელიც მიიღო კიდეც. ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მეფეს დარჩა... ამ შემთხვევაში მეფის გამარჯვებას ის საკეთე მოჰყვა ქართველთათვის, რომ უკანასკნელთ ჩაუნერგა გულში რწმენება მთავრობის ერთობის საჭიროებაზედ. საურმაგ მა იმეფა მშვიდობიანად და აღაშენა ქალაქი ნელაკრისი (ახლანდელი ნაქალაქევი ნეკრესი) კახეთში, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს, სოფ. შილდის მახლობლად.

საურმაგის მემკვიდრის—მირვან I-ის დროსაც მოხდა საქართველოში თვის-შორისი ბრძოლა მირვანისა და საურმაგის მეორე სიძის—ეგრისის ერისთავის ქუჯისშვილის შორის მემკვიდრეობაზედ; მაგრამ გამარჯვება მირვანს დარჩა სპარსთა შემწეობით. მირვანის მემკვიდრე იყო ძე მისი ფარნაჯომი. ამ შეფემ მოიძულა კერძთ-თაუვანის-მცემლობა, მოიწვია სპარსეთიდამ ცეცხლის მსახურნი და დაიწყო ცეცხლ-თაყვანის-მცემლობის გავრცელება. ქართველთ, რომელთაც ფრიად მოსწონდათ თვისი კერპები,—აეძულვრათ გული; მოიძულეს თვისი მეფე და განდევნეს. ფარნაჯომის მაგივრად მოიწვიეს მეფედ მირვანის სიძე არშაკ არშაკუნიანი. თუმცა ფარნაჯომი ათის წლის განმავლობაში ებრძოდა არშაკს ნაქირავების ჯარით და კიდევაც დაიპყრო საქართველოს ერთი მაზრა—

ტაშირი; მაგრამ ერთს ბრძოლაში იგი მოკლულ-იქმნა და ქართველთ მეფობა არშაკს დარჩა.—

---

14. საქართველო არშაკუნიანების დროს —93 ქრ. წ.—265 წ. ქრ. შემდეგ. არშაკ I-იდგან—ადერკ მეფემდინ—93 ქრ. წ.—55 წ. ქრ. შემდეგ.

(არშაკ I 93—81; არტაგ I—81—66; ბარტომ I—66—33; მირვან II—33—23; არშაკ II—23—3; ადერკი I—3—55 ქრ. შემდეგ).

93-ს წლიდგან ქრისტეს შობამდინ საქართველოს ჭეონდა ბრძოლა სპარსებთან, შინაურს მტრებთანა და ორკერ რომაელებთანა. არტაგ I-ის მეფობაში სპარსთ განიზრახეს საქართველოს დაპყრობა, ეს ამბავი არტაგმა თვით სპარსთაგან შეიტყო და ამისათვის ზემო იკერიის (ქართლ-კახეთის) ხალხი შეხიზნა ციხე-სიმაგრეებში და სპარსთა შემოსასვლელი გზები კი ჯარით შეკრა. თუმცა სპარსნი შემოვიდნენ საქართველოში, მაგრამ მათ ქალაქ სოფლებში ერთი ქართველიც ვერა ჰპოვეს. როდესაც სპარსნი უნაყოფოდ დაიარებოდნენ საქართველოს დაცალიერებულს ადგილებზედ, —ქართლის ჯარები უეცრად გამოდიოდნენ ციხეებიდგან, დაეცემოდნენ სპარსთა ჯარებს და დიდს ზარალს აძლევდნენ მათ. როდესაც სპარსნი დარწმუნდნენ თავის გამოლაშქრების უნაყოფობაზედ,

—იგინი ისევ თავის სამშობლოშივე დაბრუნდნენ დიდად დაზარალებულნი... ბარტომ I-ის დროს საქართველოში შემოვიდა რომაელთ ჩინებული და სახელ-განთქმული მხედართ-მთავარი პომპეი დიდი, რომელიც ებრძოდა პონტოის მეფეს მიტრიდატ დიდსა. ბარტომი მიეშველა მიტრიდატსა, მაგრამ პირველს ბრძოლაში ქართველნი დამარცხებულ-იქმნენ რომაელთაგან. თუმცა ქართველნი ხშირად ებრძოდნენ ს დიდს ზარალსაც აძლევდნენ რომაელებს, მაგრამ საზოგადოდ თვით მეფე ბარტომი და პომპეი ურთი-ერთ-შორის კეთილგანწყობილებით იყვნენ...

მეფე ბარტომ მოკლულ-იქმნა განდევნილის თვრნაკამის შვილის მირვანისაგან. მირვანის მეფობაში არათერი თვალ-საჩინო არა მოხდარა რა. შემდეგმა მეფემ—არშაკ II-ემ, თვისი მეცადინეობა სრულიად საქართველოს ბედნიერებისა და აღმაყვავებისათვის მიაქცია. გაამშვენა ქ. ნეკრესი; გაფართოვა ხელოვნება, ოთვალ გვარი წარმოება ქართველთ-შორის; შეამკო ქალაქები მრავალის ჩინებულის შენობებითა. არშაკ II მოკლულ-იქმნა ბარტომ მეფის შვილის-შვილის ადერკისაგან 3 წ. ქრ. შობამდინ. ადერკის მეფობის მესამე წელს იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, ძე მღვთისა; ჯვარს ეცვა, აღსდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეცად. ადერკისავე დროს მოიტანა მცხეთაში ურიამ ელიოზმა კვართი უფლისა; ადერკის მეფობაშივე მოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის გასაკრცელებლად წმ. ანდრია მოციქული—პირველ-წოდებული და სიმონ კანანელი.

15. უფლის კვართის მოტანა მცხეთაში ელიოზისაგან და წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულისა და სიმონ კანანელის ქადაგება საქართველოში.

როდესაც იესო ქრისტე ჯვარს აცვეს და მის ტანთ საგმელზედ წიგნი იყარეს, — კვართი უფლისა წილად ერგო ერთს მცხეთელს ურიას — ელიოზსა, რომელმაც მცხეთაში წამოსვლის დროს, წამოიღო თან კვართიცა. როდესაც ელიოზმა მოაღწია მცხეთამდინ და მოვიდა მეფის ბაღთან, — იერუსალიმიდამ დაბრუნებულს ელიოზს მიეგება დაი მისი სიდონია, რომელმაც გამოართვა კვართი და, რა ჭსცნა ქრისტეს ამბავი — ზაიარნა კვ-რთი გულში და ტირილით და ვედრებით შეიბრალა ქრისტე. გაათავა თუ არა მსურველმა ლოცვა, — სიდონია მკვდარი დაეცა მიწაზედ. თუმცა ელიოზმა მრავალი სალსი შეკრიბა სიდონიას გამოსა ამ ადგილიდამ წასასვენებლად, მაგრამ იგი ადგილიდამ ვერ დასძრეს და ვერც კვართი გამოაცალეს ხელებიდგან. ოვით მეფე ადერგმაც-კი შეიტყო ეს ამბავი და მცველები დაუყენა გვამსა. როდესაც გვამთან დარჩნენ მხოლოდ მცველები, — უეცრად განიბა მიწა და შთანთქა გვამი სიდონიასი. იმ ადგილზედ, რომელმაც სიდო-

ნიას გვამი შთანთქა,—იმ ადგილზედ აძოვიდა სასწაულთ მოქმედი კვიპაროზის ხე...

იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ მოციქულნი და მღვთის-მშობელი შეიკრიბნენ იერუსალიმში და იუარეს წილი, თუ ვის რომელი ქვეყანა ერგებოდა საქადაგებლად ქრისტიანობისა.—ყოველად-წმიდა ღვთის მშობელს წილში ერგო ივერია. როდესაც ღვთის-მშობელი გამოვიდა იერუსალიმიდგან და დაანბირა ივერიისაკენ გამგზავრება,—გამოეცხადა მას იესო ქრისტე და უთხრა, რომ იგი დარჩომილიყო იერუსალიმშივე, ვიდრე მიწოდებულიქმნებოდა საუკუნო სასუფეველში და თავის მაგიერად გაეგზავნა ივერიაში საქადაგებლად ანდრია მოციქული და სიმონ კანანელი. ღვთის-მშობელი დაბრუნდა იერუსალიმში. იმავე ღამეს მაცხოვარი გამოეცხადა ანდრია მოციქულსა და სიმონ კანანელსა და უთხრა, რომ ისინი მეორეს დღესვე მისულ- იყვნენ ღვთის-მშობელთანა და, რასაც იგი ეტყოდა,—აღესრულებინათ...

მოციქულნი სიხარულით მივიდნენ ღვთის-მშობელთანა, რომელმაც უამბო ყოველივე, მისცა მათ თვისი ხატი და უბრძანა წასვლა ივერიად და ქადაგება აქ ქრისტეს სარწმუნოებისა თავის მაგიერად. რადგანაც საქართველო წილში ყოველად-წმიდას ერგო, ამიტომ ივერია იწოდება „წილ-ხდომილ ქვეყნად ღვთის-მშობლისა.“ ანდრია მოციქული და სიმონ კანანელი ბერძნულადვე მოვიდნენ სამეგრელო აბხაზეთში. აქ მოციქული ანდრია ღვთის-მშობლის ხატის ძალით მრავალს სასწაულს შოიქმედებდა და მოაქცევდა მრავალს ხალხსა.

ერთხელ როდესაც ანდრია მოციქული მოვიდა ქ. ბიჯვინტას და სიტყვის ძალით მოაქცია ქრისტეს სჯულზედ სალხი,—მოვიდნენ კერპთ-მსახურნი და უთხრეს ანდრიასა: „მოგვეცი ჩვენ შენი ღმერთი (სიტი), რათა შევიტანოთ ჩვენის ღმერთების ტაძარში და დავსდვათ ჩვენის ღმერთების წინაშე. ღამე შეიბრძოლებიან ღმერთები და რომელიც გამარჯვებული დარჩება,—იგი ვსცნათ ჭეშმარიტ ღმერთად“. ანდრია მოციქული დაჰსთანხმდა ამ პირობაზედ. ღამით დაბეჭდეს კერპთა ტაძრის კარები და დაუყენეს მცველები. მეორეს დღეს გაღეს კარები და ნახეს, რომ კერპები სრულიად დამსხვრეულნი ეყარნენ ძირს და ღვთის-მშობლის სიტი-კი განბრწყინებული ესვენა უმთავრესის კერპის ადგილზედ... ამ სასწაულისათვის თაყვანი-ჰსცა სიტსა და ამ დღესვე მოიქცა 1400 (ათას ოთხასი) კაცი. ამ სიტისავე ძალით ანდრია მოციქულმა განჰკურნა ყანისაგან მსოლოდ-შობილი ძე ერთის მდიდარის კაცისა, რომელმაც სასოლობითურთ ირწმუნა ქრისტე. სამეგრელო-აბსაზეთის გარდა ანდრია მოციქულმა იქადაგა სასალიხის მაზრაში, ქ. აწყვერში; ჩამოვიდა მცხეთაში, გავიდა არაგვის გაღმა და მთაზედ აღმართა ჯვარი. შემდეგ წავიდა კახეთში და ქ. გრემში, სადაც ესლა წმ. მთავარ-ანგელოზის ეკლესიაა—აღმართა ჯვარი. აქედგან გაიარა დიდოეთი და სხვა ლეკების თემები, რომელთაც უქადაგა ქრისტეს სარწმუნოება და შემდეგ ქისტეთის გზით მივიდა მდ. თერგის სოფლებში და ყაზბეგის მთის ერთს კალთაზედ აღმართა ჯვარი. მოვლო მრავალი ადგი-

ლები: მესხეთი, ჯავახეთი და ცალკად დაბრუნდა სამეგრელოში და აბხაზეთში, სადაც ქადაგებდა წმ. სიმონ კანანელი...

---

16. ქართველთა მომზადება ქრისტიანობის მისაღებად.

ანდრია მოციქულის შემდეგ ქართველთ ხშირი და მრავალი ღონისძიება და საშუალება ჰქონდათ ქრისტეს სარწმუნოების გასაცნობად. ა) საქართველოს გარს ეხვია ის ქვეყნები, რომლებშიაც პირველ საუკუნეშიგე აღიარებული და გავრცელებული იყო ქრისტიანობა; საქართველოს საზღვრებზედ მდებიარებდნენ იმისთანა ქალაქები, რომლებშიაც ქრისტიანობა გავრცელებული იყო თვით მოციქულთაგანვე, დაარსებულ-იქმნენ საეპისკოპოსონი და დადგენილ ეპისკოპოზნი; მაგალითად: ქ. ტარსი, სადაც დაიბადა მოციქული პავლე; ქ. ეფესი, რომელშიაც სამოცის (60) წლის განმავლობაში განუშორებლივ ცხოვრებდა თავგანწირულად იბრძოდა წარმართების წინააღმდეგ მოციქული იოანნე... ბ) რომის იმპერატორთაგან დევნული ქრისტიანები იკრიბებოდნენ პონტოში, სადაც ცხოვრებდნენ ქართველნი; შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზედ იყო სასახლე, რომელშიაც რომიდგან იგზავნებოდნენ დევნულნი ქრისტიანენი. თვით მთავარ-ეპისკოპოზი იოანნე ოქროპირი განდევნულ-იქმნა სებერძნეთიდამ ბიზანტიაში, „მიკარდნილს მხარეს, ზღვის პი-

რად, ბარბაროსების საზღვრად“. რომის ეპისკოპოზი კლიმენტი 100 წ. ქრ. შემდეგ სერსონესში იქმნა განდეგილი და აქედგან მოქმედებდა ივერიელებზედ და კოლხიდელებზედ „რომელნიც მრავალს ადგილას ადიარებდნენ საუფრების სწავლასა“... ამ გვარად შეძლებენ უნაყოფოდ არ ჩაუვლიათ ქრისტეველთათვის: მოციქულების დროსვე ჩვენის ქვეყნის საზღვრებზედ მოღვაწეობდნენ ეპისკოპოზნი ანდრია მოციქულის დროს — სიმონის ეპისკოპოზი ფილოლოგი, ტრაპეზონისა — ფოტი, მელეტი, პონტოის ეპისკოპოზნი, შთამომავლობით ქართველნი — პაპმი და მისი შვილი მარკიონი... ამ გვარად ქართველნი გზკეთდნენ და იცნობდნენ ქრისტიანულს სარწმუნოებას მეოთხე საუკუნემდინ... თუ ასე არ ყოფილიყო, ქართველნი ისე ადვილადაც არ მიიღებდნენ ქრისტიანობას წმიდა ნინოსაგან.

---

17. ორთ-მეფობა საქართველოში 55—130 წ.

მეფე ადარკმა თავის სიკვდილის წინად თვისი სამეფო მიჰსცა თავის ორს შვილს, რომელთაც ერთად უნდა ემეფნენ საქართველოზედ. ორთ-მეფობის დროის მეფეთ ურთი-ერთ-შორისი და საზოგადო მოგვალეობა და უფლება დამყარებული იყო შემდეგ საფუძველზედ: ა) ერთს მეფეთაგანს უნდა ეცხოვრა მცხეთაში და სჯერდა მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარე საქართველოს ნა-

წილები და ჭოროხისა და რიონის აუზების მაზრები, ხოლო მეორეს უნდა ეცხოვრა არმაზში და ემეფნა მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ქვეყნებში, ვიდრე საქართველოს სამხრეთის საზღვრებამდე. ბ) თუ ერთი მათგანი მოკვდებოდა,— მაშინ შვილი დაიჭერდა მამის ადგილსა. გ) ორთავე მეფეთ ჭქონდათ დამოუკიდებლობა ერთმანეთისაგან თავ-თავის სამფლობელოში. დ) საერო ანუ საქვეყნო საქმეთა განსახილველად და გარდასაწყვეტად, მშვიდობიანობის დროს, ორივე მეფე ერთად შეიყრებოდნენ და ერთად, თანხმობით გარდასწყვეტდნენ საქმესა. ე) ომიანობის დროს ერთი მეფე იყო მხედართ-მთავარი და წინ უძღოდა ქართველის ჯარსა; ხოლო მეორე განაგებდა შინაურს საქმეებსა და ზრუნავდა ჯარის სურსათისა და იარაღისათვის. მეფენი, რომელნიც ეკუთვნიან ორთ-მეფობის დროს, არიან შემდეგნი: ქართამ და ბარტომ 55—92, ძენი ადარგისა; თარსმან I-ი, ძე ქართამისა; კოს, ძე ბარტომისა (72—87); აზორქ და არმაზელ, ძენი წინა-მოადგილეთა (87—103); დეოკ I-ი და ამზასპ I-ი (103—113); თარსმან მე-II ქველი და მირდატ I-ი (113—129), რომელთა შორის მირდატ I-ლი განდევნილი იქმნა საქართველოდგან და მეფედ სრულიად საქართველოისა დარჩა თარსმან II-ე.

ორთ-მეფობის მმართველობის დროს უფრო ეუფრადლებაა ღირსნი არიან შემდეგნი ამბავნი.

ა) ზანგრძლივი ბრძოლა ქართველთა და ხომეთ*)

*) იხილე სტატია «სომეხნი».

შორის, რომელიც დაიწყო „ბერძენ I-ის დროს. ამ ბრძოლის მიზეზი იყო შემდეგი:

სომხეთი უკანონოდ დაიპყრეს ვიღაც იარეანდმა იმ დროს, როდესაც სომხეთის ტახტის მემკვიდრე მცირეწლოვანი იყო. როდესაც სომხეთის ტახტის მემკვიდრე სრულიწლოვანი შეიქმნა და დაუწყო იარეანდს ბრძოლა, ქართველნი უკანასკნელს მიეშველნენ; მაგრამ მაინც კანონიერმა მემკვიდრემ დაიპყრო სომხეთი. გამეფებისათანავე, სომხეთის მეფემ შეკრიბა ჯარი და გამოგზავნა საქართველოში ქართველთა შორის საგებლად. სომხის ჯარმა მოტეუებით დაიწვა ქალაქები წუნდა და არტანი. ამით დაიწყო ქართველთა და სომეხთა შორის ბრძოლა, რომლის შედეგი იყო ორჯერ საქართველოს ალხრება სომხებთაგან და ერთხელ სომხეთის საზღვრებისა ქართველთაგან. უკანასკნელს ბრძოლაში ქართველთ დაატეეეეს სომხეთ მეფის შვილი და დაატუსაღეს დარიალის ციხეში. ბოლოს ბრძოლა გათავდა მოხსენებართა შერიგებით, რომლის პირობითაც ქართველებმა დაუბრუნეს დატეეეებული სომხის მეფის შვილი, ხოლო სომეხთ დაუბრუნეს ყველა თვისგან დაჭერილი საქართველოს ნაწილები...

ბ) ამავე დროს განმავლობაში ძლიერი რომის საჯელმწიფო ყოველს ღონისძიებასა ხმარობდა მცირე აზიაში მდებარე სახელმწიფოთა დამორჩილებისათვის. საქართველოც ამ სახელმწიფოთა შორის ითვლებოდა. და თუმცა რომაელებმა თითქმის მთელი მცირე აზია დაიმორჩილეს, მაგრამ საქართველო-კი ვერა. საქართველოს

მეფლობელნი მხოლოდ მაშინ იყვნენ რომის იმპერატორების მორჩილებაში, როდესაც რომის ჯარი საქართველოს საზღვრებზედ იდგა ..

გ) მესამე საყურადღებო საქმე, რომელიც მოხდა ორთ-მეფობის დროს, — არის ურთი-ერთ-შორისი ბრძოლა საქართველოს თანამედროვე ორთ მეფეთა შორის: მირდატ II-სა და თვრსმან II ძეთა. ეს ორი მეფე ხასიათებით და მიმართულებით ერთმანერთს ეწინააღმდეგებოდნენ: თვრსმანი იყო მშვენიერის სახისა და წამოსადეგობისა და ვაჟ-კაცურის, მაგრამ კეთილის ხასიათისა; ამისათვის იგი თვრიად უყვარდათ ქართველთ. მირდატი-კი, თავის უხასიათობისა და უსამართლობისათვის ხალხმა მეტად შეიძულა. მირდატს თვრიად შურდა ხალხის სიყვარული თვრსმანისადმი; ამისათვის მან განიზრახა უკანასკნელის მოკვლა, ნადირობის მიზეზით მირდატმა გაიწვია თვრსმანი მინდვრად, მაგრამ, რადგანაც თვრსმანმა შეიტყო მირდატის ბოროტი განზრახვა, — არ წავიდა და ეს ამბავი შეატყობინა ხალხსა. ხალხმა მირდატი განდევნა საქართველოდგან. მირდატი გაიქცა სპარსეთში და აქედამ ორჯერ მოუხდა სპარსთა ჯარებით თვრსმანსა, მაგრამ ორჯერ-კე დიდის ზიანით უკუ-აქციეს ქართველებმა. შემდეგ თვით ქართველთ გაილაშქრეს სპარსეთზედ და დაიპყრეს მრავალი ადგილები. ყოველგან და ყოველთვის დამარცხებულმა სპარსელებმა, ლანიერ რომ ვერა გაუწყვეს ომი, — ბოროტება მოიხმარეს: მათ შეისყიდეს მზარეული, რომელმაც მოსწამლა და მოჰკლა მეფე თვრსმან-ძეი. ქართველნი დაბრუნდნენ საქართველოში.

მაშინ სპარსთ შეერიენ ჯარები. წამოიყვანეს მირდატი საქართველოში და დასვეს მეფედ. ცოტას ხნის შემდეგ ფარსმანის შვილი ადამი წამოვიდა რომაელების, ხომხების, და საბერძნეთის საქართველოს ჯარებით მირდატის წინააღმდეგ, დაამარცხა, მოკვლა იგი და თვით გამეფდა 129 წ. ქრ. შემდეგ.

ფარსმან II ქველი რომის იმპერატორის ადრიანეს დროს სამგზავრად ეოფალა რომში, სადაც იმისთვის უჩვენებიათ სხვათა შორის კერპთა ბრძანი, რომელშიაც ფარსმანს ენახვა თვისი სურათი, რომელიც იმპერატორის ბრძანებით იყო აღმართული... ე�ველია, რომ ამ გვარი პატივი რომაელებისა ქართველის მეფისადმი წარმოსდგებოდა იქიდგან, რომ ქართველ ხალხს დიდი ღვაწლი და სარგებლობა მიეძღოდა რომაელების წინაშე. აქედგანვე ჩანს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონია საქართველოს იმ ძველის და თითქმის მთელის ქვეყნის მეფობელის იმპერიისათვის...

---

18. ორთ-მეფობის გათავებიდამ მირიანის გამეფებამდინ 129—265.

(ადამ I-ი 129—132; დედოფალი გადგან 132—146; ფარსმან III 146—182; ამაზასპ II 182—186; რევი-მართალი 186—213; ვაჩე I-ი 213—231; ბაკურ I-ი 231—246; მირდატ II 246—262; ასფაგურ 262—265).

სამის პირველის მეფის დროს საქართველო სრულის მშვიდობიანობითა ჩსტებებოდა: ანც შინაური, ანც

გარეშე მტრები საქართველოს არ აწუხებდნენ. ეს გარემოება აიხსნება მით, რომ ხსენებული სამი მეფე ფრიად კეთილნი, გონიერნი და მოწყალენი იყვნენ. ამიტომ ქართველთ, თვითონაც კეთილთ, ფრიად უყვარდათ იგინი. ამ სამის მეფის მმართველობაში მდიდრიდამ და დიდებულიდამ დაწყობილი,—უკანასკნელ ღარიბამდინ და მონამდინ კმაყოფილნი იყვნენ თავის ყოფა-ცხოვრებითა და, რასაკვირველია, სადაც მეფისა და ხალხის ძვეშე-ვრდომთა შორის მაძა-შვილური სიყვარული სუფევს და ორივე მხარე თავის თავს ბედნიერად ჭვრიდის,—იქ ყოველ-გვარი ბოროტება და სიძულვილი შეუძლებელია. ასე კარგია ყოველთვის და ყოველგან ერისა და მეფეთ შორის მამა-შვილური და და-ძმობრივი სიყვარული და ერთობა...

---

19. მეფე ამზასპ II-ე 182—186.

ზემოხსენებული მეუდრობა საქართველოსი დარღვეული იყო მეფის ამზასპ II-ის დროს ოსთაგან, რომელნიც შემოესივნენ საქართველოში. ოსები შეერთდნენ სხვა მთის ხალხებთანა, შემოესივნენ ჯავის ხეობაში (ლიახვის ხეობა), ქართლში შეკრბნენ ერთად და გამოემართნენ ქ. მცხეთისაკენ. როდესაც ეს ამბავი ჭსცნა მეფემ ამზასპმა,—გაგზავნა მაშინათვე შიკრიკები (იფრინდა) ერისთავებთან ბრძანებით, რომ უკანასკნელთ თავ-თავის საერისთაოში საჩქაროთ მოეკრიფვთ ჯარები მტრის წინააღმდეგ და, კიდრემდინ ერისთავთაგან შეკრებული ჯარ-

ბები მოგიდოდნენ,—მეფემ განჭეო მცხეთაში მეოთხე მოდარაჯე კარი ორს ნაწილად: ერთი კარი დაუყენა მცხეთის ჩრდილოეთის ნაწილის დასაცველად; ხოლო თვითონ ცხენოსანის კარით გაეგება მტერსა.

თუმცა მტერი მრავალი და ძლიერი იყო, მაგრამ ქართველთ ვაჟ-კაცობისა და ბრძოლაში შეუბოვრობის წყალობით ყოველი მტრის იერიშით მისვლა უფუფცელი იქმნა. ღამემ შეწყვიტა საშინელი ბრძოლა. მეორეს დღეს ერისთავებიც მოგიდნენ თვისის კარებითა. დაიწყო საშინელი ბრძოლა და სისხლის ღვრა ოსთა და ქართველთ შორის, რომელიც ორის დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ბოლოს ქართველთა გმირობამ და მამულის სიყვარულმა თავისი ჭეშნეს: საშინლად დამარცხდა ოსთა ლაშქარი და გაიფანტა დიდად დაზარალებული...

ღირს-საცნობია ძველის ქართველების და საზოგადოდ კავკასიის ხალხის ჩვეულება ომის დროს: მოწინააღმდეგე კარების საზოგადო ურთიერთ შორის ბრძოლის გარდა,—ჩვეულებად ჰქონიათ კერძო ბრძოლაცა; ე. ი. ბრძოლა მოწინააღმდეგე კარების თავადაზნაურთა შორის. ხშირად თავადაზნაურთა ურთი-ერთ შორის ბრძოლით გარდაწყდებოდა საქმე მოწინააღმდეგე კარების შორის. თვით მეფე ამზასპმა ოსებთან ბრძოლის დროს, როგორადაც გამოჩენილმა თავადაზნაურმა, მოჭედა თურამეტი ოსი ბუმბერაზი (თავადაზნაური). ერთი თავადაზნაურისაგანი, სახელად ხვანზაპ, ოსების უძლეველი ბუმბერაზიც-კი მოუკლავს ამზასპსა... მეორე წელიწადს თვით ამზასპმა გაილაშქრა მთის ხალხებზედ და სრულიად დაიმორჩილა ეგინი ალა-

ნეთიდან (ქისტებიდან) დაწყობილი ვიდრე ახლაზეთამდის. ამ ასპაშა დიდად დაასაჩუქრა თვისი ჯარი ვაჟკაცობისათვის და მიჰმცა მათ სრული თავისუფლება... ამ უკანასკნელმა გარემოებამ ფრიად ცუდათ იმოქმედა ჯარისა და თვით სალხის ზნეობაზედ და გეთილ-ცხოვრებაზედ: განუსაზღვრელმა თავისუფლებით აღტყინებულმა ჯარმა დაიწყო ღარიბის სალხის წეწვა-გლეჯვა, გაფრცელდა ცუდი ზნეობა და თითქმის აშკარა ავაზაკობაც. დაჩაგრული სალხი საბართალს ეძებდა, მაგრამ ვერსადა ჰპოულობდა და რადგანაც თვით მეფესაც ერისთავების მხარე ეჭირა, — სალხმა შემწეობისათვის მიჰმართა ერისთავებსა. ერისთავებმა შეიწყნარეს და მიიღეს სალხის თხოვნა; რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ თუ სალხის თხოვნას არ შეიწყნარებდნენ, თვითონაც დაჰკარგავდნენ მათს ნდობასა და მათზედ გავლენასა: ამისათვის ერისთავებმა შეჰკრეს ბიერბან ამაზასპის წინააღმდეგ და ჰსთხოვეს შემწეობა სომხეთის მეფეს ვალარშას (178—198), რომ უკანასკნელს თვისი შვილი რევი მიეცა ქართველთათვის მეფედ ამაზასპის მაგიერად, რევი იყო დისწული ამაზასპისა. რევის მხარე დაიჭირეს სომეხი, მომეტებულთ ქართველთ, მთის სალხთ და რომაელთ.

ამაზასპმა თვის შემწედ სპარსნი მოიწვია. ბრძოლა დიდ-ხანს არ გაგრძელებულა: პირველს ბრძოლაშივე დამარცხდნენ სპარსნი და თვით ამაზასპიც სასიკვდილოდ დაიჭრა. მომაკვდავმა ამაზასპმა მოიწვია თვისთან ყველა წარჩინებული ქართველები, მხედართ-მთავარნი, დიდებულნი, ერისთავნი და თავად-ცრემლიანნმა მოითხოვა მათგან

შენდობა და მოტევება ყველა თავის დანაშაულობისა და ესთხოვა მათ, ქართველთ, რომ თავის მაგიერად გაემეფებინათ მისი დის წული რევი. ქართველთა თხოვნით სომხითის მეფემ გამოგზავნა თვისი შვილი რევი, რომელმაც ჩვეულებისა-მებრ იგლოვა ამზასპი, დიდის დიდებით დაასაფლავა იგი არმაზში და გამეფდა მცხეთაში...

20. რევი-მართალი 186—213.

თუმცა რევი წარმართი იყო, მაგრამ იგი აღსავსე იყო ქრისტიანობრივის სიყვარულითა და სათნოებითა. იგი იყო ფრიად გულ-კეთილი, მართალი, უხვი, მოწყალე, შემწყნარებელი, მართლ-მსაჯული და ყოველის უბედურის დავრდომილის ნუგეშის-მცემელი. რევის დროს ჯარის თვის-ნებითი ძცევა სრულიად მოსპობილი იყო. რევისაგან გამოტემული წესდებულება, რომელიც უკრძალავდა ქართველებს ღმერთებისადმი ადამიანის მსხვერპლად შეწირვასა,—ცხადად ამტკიცებს მის ამაღლებულს ზნეობასა. რევის დაქორწინება ბერძნის ქალზედ და მისგანვე აღშენება ტოლისათვის ათროდიტის კერპისა (ბუთისა),—ცხადად ამტკიცებენ რევის განათლებასა და მაღალს ხელოვნების გემოვნებასა; რომ რევი რომაელებთან და ბერძნებთან უფრო დაახლოვებული იყო, ვიდრე აზიის ხალხებთანა, რომელნიც განათლებით გატიალებით უფრო დაბალს საფისხზედ იდგნენ, ვიდრე პირველები. რევმა-კი გამოიჩინა წარმართთა შორის პირველად სჯულთ-მოთმი-

ნება ქრისტიანების შესახებ. იმ დროს, როდესაც განთ-ლებული რომის მმართებლობა საშინლად ჩსდევნიდა და ათასობით ჩსტანჯავდა ქრისტიანებსა,—იმავე დროს საქართველოს მეფე რევი დიდის მოწყალებით ეპყრობოდა უველასაგან მოძულებულს ქრიქტიანებსა.. რევმა ძშვიდობიანად გაატარა თვისი მეფობა. რევისა და მის შემდეგის მემკვიდრეების კეთილ-გონიერმა ყოფა ქცევამ და მმართველობამ ქართველები მოამზადა იმ დიდის ზნეობითის ცვლილებისათვის, რომელიც მოხდა მეოთხე საუკუნეში ქრ. შემდეგ მეფის მირიანის დროს...

---

21. რევის მემკვიდრენი 213—265.

რევისაგან აღუვაგებული საქართველო მუდრობით ჩსტაბებოდა აგრეთვე რევის მემკვიდრეების დროს ტ. შემდეგი მეფენი მიდიოდნენ რევისაგან გაკვალულს გზაზედ და რის გაკეთებაც რევს ვერ მოესწრო,—მისი მემკვიდრენი სცდილობდნენ შესრულებასა. მეფემ ბაკურმა (231—246) მაგ. აღაშენა ქალაქი ბაკურ-ციხე (შიგნით კახეთში), რომელიც დიდ ხანს იყო ქალაქად; იგივე მეფე იყო მფარველი საქმის მცოდნე კაცებისა და სწავლის მოუვარე. შემდეგმა მეფემ მირდატ III-მ გაიალაშქრა სპარსეთში და დიდად დაამარცხა სპარსნი მრავალს ადგილას. არშაკუნიანთ გვარის უკანასკნელმა მეფემ ასფაგურმა (262—265) აღაშენა ქალაქი უკვარმა მდ. იერის პირზედ. ასფაგურის დროს სპარსეთის მეფემ ხოსრო-ს-

ბურმა (სუბორმა) მოინდომა საქართველოს დაპყრობა სუბურმა შემოუთვალა ქართველებსა, რომ იგინი ნება ეოთლობით დამორჩილებოდნენ სპარსეთსა. ასეთგურმა შეუთვალა ქართველების მაგივრად: «ჩვენ, იველიანი, დაჩვეულნი არა ვართ სხვის მორჩილებასა; ჩვენის მამულისა და თავისუფლების დასაცველად სისხლი დაგვიღვრია, ღვრით და ბოლოვამდე დავღვრით უკანასკნელამდე.» ასეთგურმა კარგად გაამაგრა ციხეები, რომლებშიაც დააყენა მეტი ჯარი. რადგანაც თვითონ აპირებდა გალაშქრებას სპარსეთში, — თვითონ ოსეთში წავიდა ჯარის მოსაგროვებლად. ოსებმა დიდის კმაყოფილებით მიიღეს ასეთგურის თხოვნა. შეიკრიბა მრავალი ჯარი და, როდესაც ასეთგური აპირებდა საქართველოში დაბრუნებას, ავად გახდა და გარდაიცვალა 265-სა წ. ასეთგურს დარჩა მხოლოდ ერთი მცირე წლოვანი ქალი. ამ გვარს მდგომარეობაში იყო საქართველო, ვიდრე მირიანი გამეფდებოდა.

სასანიდების გვარის დაჯდომა საქართველოს სამეფო ტახტზედ.

22. მეფე მირიანი (265—342)

„ქრისტეს ნათელით განათლებული,
მეფე მირიან ბრწყინავს გვირგვინით,
ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
შემუსრავს კერპთა მათის ბოძოანით!

და გარჭრა ახლის ალთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმენება;
ქართველი მიხედეს ცას სიხარულით
და საუკუნო სცნეს მუნ ცხოვრება.“

265 წელში გარდაიცვალა მეფე ასოვაგური, რომელსაც დარჩა მემკვიდრედ მხოლოდ ერთი მცირე წლოვანი (ქალი) ასული. რადგანაც ამას არ შეეძლო საქართველოს წინამძღოლობა და საქართველოსაც სპარსნი უქადდენ დაპყრობასა, ამისათვის შეიყარნენ საქართველოს ერისთავნი, დიდებულნი, საზოგადოდ ერი და დაიწყეს ბჭობა-რჩევა, თუ ვინ აღმოირჩიონ მეფედ. მაშინ ერთმა თავადმა ქართველის ჯარის სპასალარმა, სახელად მაყანმა ურჩია შეკრებულ ხალხსა, რომ, რადგანაც სპარსეთი ამ ჟამად ფრიად ძლიერია, თავის ახლო-მახლო ქვეყნები დაიპყრა და საქართველოსაც ეს ბედი მოელისო, ამისათვის ჩვენ ვსთხოვთ სპარსეთის მეფესა, რომ ერთი თავის ძეთაგანი მოგვცეს მეფეთა და შერთოს ცოლად ასოვაგურის ქალი. ეს აზრი უველას მოეწონა და ერთ ხმად მიიღო. მაშინვე დანიშნეს ელჩები (მოციქულები) და გაგზავნეს სპარსეთის მეფე სათხოვრთან. როდესაც ელჩები მივიდნენ სპარსეთში და უამბეს სათხოვრს ყოველივე, სპარსეთის მბრძანებელმა ის ჰკითხა: „სად არის მცხეთა, დიდია თუ პატარა, რამდენს მანძილზედ სცხოვრებენ იქიდგან საზარები და ოსები, რომელი გვარის შთამამავალია თქვენის მეფის ქალი“?!! რადესაც ყველა ამ კითხვების პასუხი მიიღო, სათხრი მოემზადა და თვი-

თან წამოვიდა საქართველოში და მოვიდა მცხეთაში და, რადგანაც ქართველებმა ეკლესიის ცემით და დიდებით მიიღეს, ამისთვის სოფორი დათანხმდა ყველა ქართველების თხოვნაზედ და წინადადებაზედ—მიტევებაზედ მეფედ თვისის უკანონო ცოლისაგან ნაყოლის შვილის მირიანისა. მირიანს მისცა უფრობობა და ზედა მხედველობა სომხეთზედ და მფლობელობა მთელს კავკასიის ხალხზედ. შემდეგ სოფორმა მოახდინა ზოგიერთი გასაკრგულებანი: დანიშნა კაცი, რომელიც მირიანის მზრუნველი და ხელ-მძღვანელი უნდა ყოფილიყო და აღეზარდა მირიანი იმ დროის ქართველთა სარწმუნოებაში; დაუნა საქართველოს სამზღვრების დასაცველად რამდენიმე ათასი კარი და უბრძანა მირიანის მზრუნველს მხედართმთავარს მაყვანს, რომ იმის ზედა მხედველობით გაემგრებინათ და განესხლეტინათ საქართველოს ციხე ქალაქნი, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული უნდა ყოფილიყო ნეკრესის ქალაქზედ (კახეთში). მირიანი შვიდის წლისა იყო, როდესაც გამეფდა. ცოლი შეირთო (ასფაგურის ქალი 265 წ.). ეტარებითვე ეტყობოდა მირიანს კაჟ-კაცობა და კეთილ-გონიერება. იგი თუმცა კარ ეტარა იყო, მაგრამ ცხენზედ კარგად ჯდებოდა და სომარ იარაღსაც (კარგად) ხმარობდა წესიერად. როდესაც მირიანი შესრულდა თხუთმეტი წლისა, მოუვიდა ცოლი. ქართველთ ფერიად შეუყვარდათ მირიანი, რადგანაც მან დაიცვა ყველა სპარსული და შეითვისა ყოველისფერი ქართული: სარწმუნოება, ენა, ჩვეულებანი და საზოგადოდ ყოველს ღონის ძიებას ხმარობ-

და. რომ რაც შეიძლება მომეტებული სიკეთე და ბედნიერება მიეხვეწებინა თვის ქალიშვილ-დამთათვის. თვის მეფობის პირველ სანში მირიანს განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდა მთის ხალხებთანა, შეტადრე საზარებთანა, რომელთაც მომეტებულ საწილად ამარცხებდნენ ქართველნი. ამ ნაირად განაგებდა მირიანი საქართველოს სამეფოსა. ვიდრე იგი და ქართველნი ქრისტიანობას მიიღებდნენ.

---

23 მირდა ნინო.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ვიდრე წმინდა ნინო მოვიდოდა საქართველოში და ქრისტიანობას დაამყარებდა. ქართველნი ცოტ-ცოტათი, მაგრამ უეუწყვეტლად, იცნობდნენ და ეზვეოდნენ ქრისტეს სარწმუნოებასა და ამ სიარად ემზადებოდნენ ამ დიდის ზნეობითის ცვლილებისათვის—ე. ი. ქრისტიანობის მისაღებად.

წმ. მოციქულთა სწორის ქართველთ-განმანათლებელის ნინოს ცხოვრება აღწერილია მირიანის შვილის რევის ცოლის, უჯარმის დედოფლის სალომესაგან. დედოფალი სალომე შემდეგის სიტყვებით იწყობს თავის მოთხრობას წმ. ნინოზედ. „ოდეს წმ. გიორგი კაბადოკელი აწამა ქრისტესათვის, იყო კინმე მთავარი, სახელით ზაბულონ," რომელსაც ცოლად ეყანდა იერუსალიმის პატრიარქის დაი, სახელ დ სოსანა. იმათ ეყოლათ მხოლოდ ერთი ასული ნინო. „ნინო აღზარდა დედამან მისმან მსახურებასა შინა ღმერთსა." ჩვენ ნინო ძლიერ ეა-

ლე დაობლდა. ამისათვის მისი აღზრდა იკისრა მისმა ბიძამ იერუსალიმ, ეს მის პატრიარქმა წაიყვანა იერუსალიმში და მისცა აღსაზრდელად ეკლესიის მსახურს სარრა ბეთლემელსა, რომელთანაც ნინომ მიიღო საუკეთესოდ ქრისტიანობრივი სწავლა. ნინო კარგა გაზრდილი იყო, როდესაც იერუსალიმში მიავიდა სეფე ქალი (დედოფლის სასახლის ქალი) და გაავრცელა ხმა, რომ დედოფალს ელენეს (კონსტანტინე იმპერატორის დედა) დიდად სურს ქრისტიანობის მიღება, მაგრამ მას ზოგიერთი გარემოება აბრკოლებსო. ამ ამბით აღტაცებულმა ნინომ მოინდომა რომში წასვლა ქრისტიანობის საქადაგებლად და, რა მიიღო თავის ბიძის პატრიარქისაგან ნება-რთვა და ლოცვა-კურთხევა, გაემგზავრა რომისაკენ. მისვლისათანავე რომში, ნინო შეავიდა დედათა მონასტერში, სადაც ორმოცდა-ათს ქალწულთა შორის იზრდებოდა ქრისტიანულს სწავლაში მშვენიერი რიგსიმეტ. როდესაც შეიტყო რომის იმპერატორმა დეოკლიტიანემ მშვენიერება რიგსიმესი, მოინდომა მისი ცოლად შერთვა. ამ ამბავმა დიდად შეაწუხა მონასტერში მყოფი ქალწულნი და, რადგანაც იცოდნენ დეოკლიტიანეს შეუწყნარებლობა, არჩიეს გაქცევა. მართლაც დასტოვეს ეს მონასტერი და ეს ორმოცდა-ათი ქალწული ქალი და მათ შორის ნინოც, მოვიდნენ სომხეთში და აქ შეეფარნენ. გაანძგონებულმა დეოკლიტიანემ მიწერა სომხეთის მეფეს ტრდატსა, რომ მას ეპოვნა რიგსიმე და გაეგზავნა რომში. საუბედუროდ რიგსიმე და რამდენიმე სხვა ქალწულნიც იპოვეს და, რადგანაც აქ დათანხმდნენ სომეხთ მეფის

მოთხოვნილებაზედ, წამებულ იქმნენ ქრისტესთვის მტარვალებთაგან. ნინო დაიმალა ერთს ვარდის ბუჩქში, სადაც დაიწყო მხურვალე ლოცვა და ღაღადება: «უფალო, უფალო! რად დამიტოვებ მე შორის ასპიტთა და იქედნეთა.» მაშინ ნინოს მოესმა ხმა ზეგარდმო: „აღზდეგ და ვიდოდე ჩრდილოდ კერძო, სადა იგი ფერიად არს სამკალი და მუშაკი ოდენად არა.“ ამის შემდეგ ნინო წამოვიდა და მოვიდა ორბეთში, სადაც გაატარა ზამთარი. მაისში ნინომ მოაწია კავკასეთის მთებამდე, სადაც მოადგა ტბას—„თარაგანს“ და როდესაც გაიხედა ჩრდილოეთისაკენ და დაინახა მაღალი თოვლით შემოსილი მთები, დიდად შეძრწუნდა და სთქვა: «უფალო, უფალო! მიიღე სული ჩემი ჩემგან.» დარჩა აქ ორი დღე და სთხოვა აქ მეოთვთ მეთევზეთ საზრდელი. აქვე მეოთი მწყემსებისაგან შეიტყო ნინომ მცხეთის გზა და გამოემართა ქართლისაკენ მდ. მტკვრის პირ-პირ. გზაზედ მრავალი ჭირი გამოიარა ნადირთაგან და როგორც იყო მოაღწია ქ. ურბნისამდინ, სადაც ნახა მრავალი ხალხი უცხოთა ღმერთთა მსახურნი: რამეთუ თავვანს სცემდეს იგინი ღმერთად მათდა ცეცხლსა, ქვასა და ძელთა, რომლისათვის შეეურგა სულსა ამის წმინდისასა და შეკიდა უბანსა ჭურიათასა, რათამცა ზრახვიდა მათ თანა ეხითა ებრაულითა, რომლისა იგიც მეცნიერ იყო.» დარჩა ურბნისში ერთი თვე, სწავლობდა ქართველთ ჩვეულებათა და ხასიათსა, ერთს დღეს მთელი ქ. ურბნისის ხალხი გაემგზავრა ღმერთსავლეთისკენ. რა შეიტყო რომ ხალხი მცხეთაში მიდიოდა არმაზის დღესასწაულზედ, ნინოც გაჰყვა მათ.

როდესაც წმ. ნინო მიეიდა მცხეთაში და ნახა ხალხისაგან თაყვანისცემა ცეცხლისა და კერპთადმი, თვით მეფის სახლობითურთ დიდის დ-დებით მისვლა არმაზისადმი თაყვანისცემელად, წმ. ნინომ დაიწყო ტირილით ლ გოდებით მხურვალე ლოცვა ქრისტეს იესოსადმი, რომ მას ედიდებინა თვისი სახელი და შეემუსრა მსწრაფლად კერპები. გაათავა თუ არა წმ. ნინომ თვისი ვედრება, აღოვარდა უცრათ დასავლეთიდგ-ნ საშინელი ქარიშხალი, ასტეხდა საზარელი ჭექა-ქუხილი და დაიწყო მსხვილი სეტყვა. ხალხი შეშინებული ამ გვარის ბუნების მოვლენით, ერთბაშათ გაიფანტა და წავიდ-წამოვიდა თავ-თავის ქალაქ-სოფელში. სეტყვამ სრულიად შემუსრა კერპები, ხოლო ძლიერმა ქარიშხალმა მდ. არაგვში გადაყარა. ამ კაი ვაგლახში წმ. ნინო ერთს ადგილზედ უკნებელად დარჩა და შუხლთ-მოდრეკით მადლობას შესწირავდა ჭეშმარიტს ღმერთსა. ეს ამბავი მოხდა 314 წელს ქრ. შემდეგ.

---

24. წმ. ნინო და ქართველთაგან ქრისტიანობის მიღება მეფე მირიანის დროს.

I

თვისის ლოცვის ძალით კერპების შემუსვრამ დაარწმუნა წმ. ნინო, რომ იგი მოწოდებულია მღვთისაგან დიდის საქმისთვის—ქართველთა განათლებისათვის ქრის-

ტეს სარწმუნოებით. წმ ნინო ცხრა თვის განმავლობაში სცხოვრებდა მეფის მებაღის სახლში. შემდეგ იმოგზაურა მცხეთის გარედან მაყვალის ბუჩქი, სადაც დაისადგურა. აქ აღმართა ჯვარი ვაზის რქისაგან გაკეთებული, რომლის წინაშე მუხლთ-მოდრეკით ათენებდა მღვთის ვედრებაში და ლოცვაში. საჭირდეის უზიდავდა წმ. ნინოს მეფის მებაღის სახლობა, რომელიც დაემოწაფნენ კიდეც წმ ნინოსა. ამავე დროს დაემოწაფნეს ურიათა მღვდელი აბიათარ, მისი ასული სიდონია და სხვა დედანი. რაც-სვეთ ეძვსნი. თუმცა სასენებულთ გაეთ ირწმუნეს ქრისტე, მაგრამ რადგანაც მღვდელი არ იყო მაშინ მცხეთაში, ქრისტეს ნათელი არ ეღირთ ჯერეთ. ესენი და სხვ-ნი საიდუმლოთ აღიარებდნენ ქრისტესა და წმ. ნინოსგან შემზადებულ წამლებთ ჭეურნავდნენ სნეულთა. ამ გვარს ცხოვრებაში დაჭყო წმ ნინომ სამი წელიწადი და დაიმოწმა ერთ ოდენ ამ დროსვე გაგეგურნა მოგეთა მთავარი სპარსი და ედოფალი ნასა ხელისაგან თეცხელისა, დიდ სა და მწარისა, რომელისა კურნება ვერ ეინ შეეძლო» ამ დროდგან დაიარლოვ ედოფალმ წმ. ნინო, რომელიც ასწავებდა მას ქრისტეს სარწმუნოებასა მოგეთა მთავარი სახლობიეურთ და ედოფალი ნ ნა შეიქმნენ მორწმუნენი ქრისტესი და სცნეს ჭეშმარიტი ღმერთი. ამ ნაირად წმ ნინო დაუცხრომლად იღვწოდა მოციქულთა ასპარეზზედ და არ ეჩქარა თავს. ვინ იყო და საიდან იყო მოსული. შემდეგ მირიანმაც შეიტყო და გამოჭეიანა ქრისტეს სარწმუნოებაზედ, რომელის ვითარება აბიათარმა აუწყა. მირიანმა მოიწოდა ახალი სა-

რწმუნოება და არ ეწინააღმდეგებოდა წმ ნინოს ქადაგებასა. იქნება მირიანს სრულიადაც არ მიეღო ქრისტიანობა, რომ ერთი გარემოება არ შემთხვეოდა მას, აი ის გარემოება: ერთხელ მირიანი მრავალის მსახურებით წავიდა სანადირად თხოთის მთისაკენ (მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ, მცხეთის პირ-და-პირ). ნადირობის დროს მეფე მოსხლტა თავის მსლებელთ და ამ დროს დაიწყო საშინელი ჭექა-ქუხილი და უეცრად დაბნელდა. დიდად შეშინებული მირიანი ჩამოხდა ცხენიდგან, დაეცა მუხლზედ, აღიპერა ხელები ზეკას და დაიძახა: „ო რომელსა ქადაგებს ნინო ჯვარსა და ჯვარ-ცმულსა და ჭეშმარიტსა გურნებასა მათისა სასოებითა არაძცა ძალედვა სხნა ჩემი ჭირისა ამისაგან... ღმერთო ნინოსო, განმინათლე ღამესე და მიჩვენე საფოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯვარისა, და თაყვანი ვსცე მას და აღვაშენო სასლი სალოცავად ჩემად, და ვიყო მორჩილი ნინოსსა სჯულსა ზედა რომთასა". ვაითავ: თუ არა ეს ლოცვა მირიანმა, ჭექა-ქუხილი უეცრად შესწყდა და მზე, რა უწინდებურად გამობრწყინდა, გახარებულმა და აღტაცებულმა მირიანმა დაიძახა: „შენ სარ ღმერთი ყოველთა ღმერთთა ზედა, ღმერთო, რომელსა ნინო იტყვის... ამა ადგილსა აღვმართო ძელი ჯვარისა (ამბობენ რომ ეს პატარა ეკეკლესია, რომელიც თხოთის მთაზედ არის და მტკვარს დასცქერის, ამ შემთხვევის სახსოვრად არის მირიანისაგან აშენებული, დ. ზ. ბ). გათანტული ხალხი ისევ შეიკრიბა მეფის წინა შე, რომელიც ღაღადებდა: „მიეცით ღმერთსა ნინოსსა დი-

ლება ოთველმან ერმან". და როდესაც მირიანი მცხეთაში შეკიდა, დედოფალი და მთელი ხალხი გამოეგება მეფესა; ხოლო წმ. ნინო-კი ჩვეულებისა-მებრ ლოცულობდა ხალამოს ყამისას თავის მაყვლოვანში. მირიანი ჴკითხულობდა წმ. ნინოსა და ამბობდა: «სად არის დედაკაცი იგი უცხო, რომელ არს დედაი ჩემი და ღმერთი მისი მხსნელი ჩემი». მაშინ მეფე და მთელი მისი მხედრობა მივიდნენ წმ. ნინოსთან და სთხოვეს ესწავლებინა მათთვის ქრისტეს სჯული. წმ. ნინოც ფრიადის გულსმოდგინებით დაუცხრომელად ასწავებდა ხალხსა და უჩვენებდა მას ჭეშმარიტს გზას ხასუფეველისასა. ამ ამბის შემდეგ, მეორეს დღესვე გარდასწყვიტეს ერთხმად: ა) გაეგზავნათ დესპანები მირიანისაგან კონსტანტინე იმპერატორთან და ნინოსაგან ელენე დედოფალთან, რომელთაც უნდა გამოეგზავნათ კონსტანტინეპოლიდგან ეპისკოპოზი, მღვდელნი, დიაკონნი და ოთველი ეკკლესიისათვის საჭირო ნივთები ქართველის ერის მოსანათლავად; ბ) ნება მისცეს წმ. ნინოს და მის მოწაფეებს თავისუფლად ქადაგებისა და ხალხის მომზადებისა ნათლის მისაღებად; გ) შეუდგნენ ეკკლესიის აშენებას, რომელიც საბერძნეთიდგან საძღვდელოების მოსვლისათვის მზად უნდა ყოფილიყო. როდესაც წმ. ნინომ თავის მოწაფეებითურთ დაიწყო ხახალხოდ ხახარების ქადაგება, მოიოხოვა კერპების შემუსვრა, მცხეთის მცხოვრებთ უკმაყოფილება გამოაცხადეს და ჴკითხულობდნენ: ვის-და უნდა ვსცეთ თაყვანი ნაცვლად კერპებისა? მაშინ წმ. ნინომ მიუთითა და უჩვენა ადმართულ ჯვარზედ, არაგვის გა-

ღმა მთაზედ, მცხეთის პირდაპირ, სადაც ახლა «ჯაჭვის» ეკლესიაა. რამდენსამე დღის შემდეგ ხალხი დამშვიდდა და ყოველ დილით კერპის ნაცვლად აღმართულს ჯვარსა სცემდნენ თაყვანსა. ამ დროსვე მირიანმა გადააკეთინა თვისი ბანი და დაიწყო ფიცრის ეკლესიის შენება იმ ადგილას, სადაც მაცხოვრის კვართი იყო დაფლული. ეს იყო პირველი ქრისტიანული ტაძარი საქართველოში.

II

იმპერატორმა კონსტანტინემ და დედოფალმა ელენემ, რა შეიტყეს ქართველის ერის სურვილი ქრისტიანობის მიღებისა, დიდად განიხარეს, რადგანაც ეს გარემოება საქართველოს აშორებდა სპარსეთს, დაუცხრომელს სამეფოთის მტერს, და აახლოებდა საბერძნეთთან, რომელსაც ამის შემდეგ დიდი გავლენა ექნებოდა საქართველოზედ. ამისათვის კონსტანტინემ დაუყონებლივ განთავისუფლა ამანათობიდგან მირიანის შვილი ბაქარი, რომელიც წაუვანია იყო ნიშნად კეთილ-განწყობილებისა საქართველოსი საბერძნეთთან და გამოატანა საქართველოში ერთი ეპისკოპოზი—ე ს ტ ა ტ ე, ორი მღვდელი, სამი მთავარ-დიაკონი, რომელთაც გამოატანა მაცხოვრის სატი, ძელის ჯვარის ნაწილი, წმ. ნაწილები და ყოველივე ეკლესიური ნივთები. სამღვდელოების მცხეთაში მოსვლის შემდეგ პირველად თვით მირიანმა მიიღო ნათლისღება «ხელსა ქვეშე წმ. ნინოსა», შემდეგ დედოფალმა და მეფის შვილებმა ნათელ იღეს «ხელთა

ვეშე მათ მღვდელთა და დიაკონთასა». შემდეგ ამისა აგურთხეს მღ. მტკვარი და ეპისკოპოზმა სიდის მახლობლად, სადაც იყო სახლი ელიოზისა, ნათელ სცა საქართველოს წარჩინებულთა და ამ ადგილს ეწოდა სახელი „მთავართა სანათლავი„. ცოტა ქვემოთ მტკვარშივე ორის მღვდლისაგან და სამის დიაკონისაგან ინათლებოდა ერი ქართველისა, რომელიც ისე მოწადინებული იყო ნათლისღებისათვის, რომ ერთი ერთმანეთს არ აცლიდნენ მისვლასა მღვდელთან: ყველას უნდოდა უწინ მიეღო ნათელი, რადგანაც მათ გაგონილი ჰქონდათ წმ. ნინოსაგან: „ყოველმან, რომელმან არა ნათელ იღოს, არა ჰხედოს მან ნათელი საუკუნო“. ამ ნაირად ნათელ იღო თითქმის მთელმა ქართველის ერმა და ურიათაგან ორმოცდა-ათმა ოჯახმა. მთიულების მოსაქცევად კონსტანტინე იმპერატორმა კიდევ გამოუგზავნა მირიანს მრავალი სამღვდელონი და ეკლესიური ნივთები. ეპისკოპოზის ზედამხედველობით და მირიანის სარჯით აშენებდნენ ეკლესიებსა, სადაც კი საჭიროება მოითხოვდა. ამავე დროს წმ. ნინომ აღნიშნა ადგილი, სადაც იყო დაფლული კვართი უფლისა. წმ. ნინოსავე რჩეით აღმართეს ორი ჯვარი: ერთი თორსთის მთაზედ, მეორე უჯარმაში. შემდეგ წმ. ნინო, ეპისკოპოზი ესტატე სამღვდელოებით წავიდნენ საქადაგებლად სხვა საქართველოს ნაწილებში: მივიდნენ მთიულებში, თუშავლებში, გუდამაყრებში, მაგრამ ამათ არ მიიღეს ქრისტიანობა. შემდეგ მივიდნენ ერწო-თიანეთში, სადაც საკმაოთ მოაქციეს სალსი. შემდეგ წმ. ნინომ გაიარა ქადაგებით გარეთ კახეთი, მოვიდა ს-

ბოდბეში და იქ დაისადგურა ეს მოდიოდა კახეთის სა-
ლხი, ითმენდა წმ. ნინოსაგან ქადაგებასა და ისათლებო-
და. ბოდბეში წმ. ნინომ დაჭეო თეოფილეტი წელიწადი;
შემდეგ დასნეულდა მოსტეფანოზელას შრომისაგან და გარ-
დაიცვალა 328 წელსა ქრ. შემდეგ. მაშინ შეინძრა ორი
ქალაქი მცხეთა და უჯარმა და მთელი საქართველოს ერი;
მოვიდნენ ბოდბეში მეფე და საქართველოს წარჩინებულნი
და შემდეგ დიდის გლოვისა დასთელეს ბოდბე-
შივე სურვილისაებრ წმ. ნინოსი. წმ. ნინო მოვიდა ს-
ქართველოს 314 წელსა, ქართველებმა მიიღეს ქრისტია-
ნობა 318 წ. და გარდაიცვალა მოციქულთა-სწორი ქა-
რთველთ-განმანათლებელი წმ. ნინო 328 წ. ქრ. შემდეგ.

ამ გვარად ქართველებმა მიიღეს ქრისტიანობა იმ
დროს, როდესაც ქრისტეს სარწმუნოებრივი დოლმატები
და ეკლესიური წესები ჯერ სრულ წესზედ არ იყვნენ
მოყვანილნი და მხოლოდ შვიდის წლის შემდეგ ქართვე-
ლებისაგან ქრისტიანობის მიღებისა, ე. ი. 325 წ., რო-
დესაც საქართველოს ეკლესიამ მიიღო ნიკეის მსოფ-
ლიო კრების გარდაწყვეტილება, მაშინ თვით ამ კრები-
სვე გარდაწყვეტილებით საქართველოს ეკლესია მი-
წერილი იქმნა ანტიოქიის საპატრიარქოზედ. შემდეგ ქრი-
სტიანობის დამკვიდრებისა საქართველოში, მირიანი და-
დის შესაწირვით გაემგზავრა იერუსალიმისაკენ. აქ თა-
ვანი სცა ქრისტეს საფლავსა და აქვე თავის ხარჯით და-
იწყო შენობა მონასტრისა ზატიოსანის ჯვარის სახელ-
ზედ. მირიანი გარდაიცვალა 342 წ. და თავის მემკვიდ-
რედ დანიშნა შვილი თვისი ბაქარი.

25 შედეგი ქართველთაგან ქრისტიანობის მიღებისა და მირიანის შემდეგ მეფენი.

როგორც უკვლგან, საქართველოშიაც დიდი ზედმოქმედება იქონია სულხის ზნეობაზედ ქრისტეს სარწმუნოებამ. სასარებამ ქართველებს ასწავლა ერთობა და სიყვარული ურთიერთს შორის; ქართველებმა შეიტყვეს, თუ რა არის ჭეშმარიტი კეთილ-მოფველობა, ცხადად დაინახეს, თუ რა ცუდი შედეგი აქვს ზნეობით დაცემასა. სამღვდელოება თავის მხრით ყოველს ღონისძიებას ხმარობდა საფუძვლიანთ ჩაენერგა წმ. სარწმუნოება სულხისათვის და სასტიკ უურადღებას აქცევდა ყოფა-ცხოვრებაზედ სახლში თუ გარედ. ქრისტიანულის ტაძრების სიმშვენიერე და ეკლესიების წესების დიდებულად აღსრულება კიდევ ბადაგდნენ სულხში გემოვნებასა და სიყვარულს მშვენიერებისა და განათლებისადმი. სამღვდელოება მძიმე-მძიმედ ასუსტებდა სულხის ველურს სასიათსა და შეიარაღებული ჯვარ-სასარებით იგი ესარზღებოდა დაჩაგრულთა. ამ ნაირად სამღვდელოებამ მოიპოვა დიდი გავლენა ქართველის მაღალ საზოგადოებაზედ და საზოგადოდ ერზედ. თვით მირიანიც კი გრძნობდა სამღვდელოების თავის თავზედ გავლენასა. აი მაგალითად: როდესაც მირიანმა შეიტყო, რომ მისი სიძე ფვრეზ ერისთავი ეწი-

ნაღმდეგებოდა ქრისტიანობის გავრცელებასა, მან მოინდომა იარაღის შემწეობით მიქცევა მისი, მაგრამ თვით წმ. ნინომ და ეპისკოპოზმა შეაყენეს მისი აგრეთი განრახვის შესრულება და მოაგონეს, რომ ქრისტე უკრძალავს ძალით სასარების გავრცელებასო. ერთი სიტყვით მეფენი არც ერთს საქმეს არ შეასრულებდნენ სამღვდელოების წარმომადგენელთა დაუკითხავათ. სამღვდელოებამ საწმუნოებისაგამო დაახლოვა საქართველო საბერძნეთთან და დაშორა სპარსეთსა, რომელთანაც აქამდის საუკუნოებით იყო დაკავშირებული. სპარსეთისათვის საქართველოს საწმუნოებრივი დაშორება კი არ იყო საშიში, არამედ პოლიტიკური დაშორება იყო საშიში; რადგანაც ქართველნი ყოველთვის იღებდნენ მონაწილეობას იმ ხანგრძლივ ბრძოლაში, რომელიც იყო ბერძნებისა და სპარსების შორის. საბერძნეთთან საქართველოს დაახლოვებით სპარსეთი ჭკარგავდა მძლავრს შემწეს მტრების წინააღმდეგ. ამისთვის სპარსეთის მეფენი შემდეგ ყოველს ღონისძიებას ხმარობდნენ კიდეკ განეგრძელებინათ თვისი გავლენა საქართველოზედ. ეს იყო მიზეზი, რომ სპარსელები ყოველთვის, როდესაც კი შემთხვევა მიეცემოდათ (მეტადრე სუსტი მეფეების დროს) შემოესევოდნენ საქართველოსა და აოხრებდნენ. აგრე მოქმედებდნენ სპარსელები მირიანის სიკვდილიდგან ვიდრე ვახტანგ I გორგასლანამდინ (342—446).

მირიანის შემდეგი მეფენი: ბაქარ I 342—364; მირდატ III 364—379; ვარზ-ბაქარ 379—393; ტირდატი 393—405; ფარსმან IV 405—408. მირდატ IV 408—410; უმეფობა 410—413; არზილი

413—434; მირდატ V 436—446; ამ მეფეების დროს საქართველო ეძვეოდა რეობდა და სარგს აძლევდა სპარსეთსა. ბაქარის დროს მეკრეფეა და ჯიღაძ მოიგონეს და შემოღეს «სუფრა» ანბანი. მირდატ IV სიკვდილის შემდეგ სამის წლის განმავლობაში (410—413) ქართველებს მეფე არ ჰყოლიათ. როდესაც სპარსნი გართულნი იყვნენ მტრებთან ომებში, ქართველთ აღმოირჩიეს საქართველოს მეფედ მირდატ IV შვილი არჩილი I, რომელმაც აღადგინა ეკლესიები. არჩილის წინააღმდეგ სპარსთ არანის მთავარი გამოგზავნეს, მაგრამ ქართველთ დაამარცხეს იგი და აიღეს თვით არანი. მეორედ არჩილმა გაგზავნა არანში თვისი შვილი-მირდატ, რომელმაც გამარჯვების შემდეგ შეირთო არანის მთავრის ასულისუნდუხტა. 434 წ. გარდაიცვალა მეფე არჩილ I და გამეფდა მირდატ V, რომლის მეფობამ მშვიდობიანობაში გაიარა; მაგრამ 445 წ სპარსეთის მეფემ ბრძანა საქართველოსა და სომხითის დაწვა და ჯარების გაუგზავნა აქედგან სპარსთა მტრების ჭეშნების წინააღმდეგ. ამ გვარად იყო საქართველოს საქმე, როდესაც გარდაიცვალა მირდატ V 446 წ

26 ვახტანგ I გორგ-ასლანი 446—499.

«მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული,
ხელსა მახვილით, ვინ მოკვლს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი,
მზად არს სარმრად სახე შერისხვით!

—

ესე არს გმირი, ის გორგ-ასლანი,
რომლის შეხედვით სპარსელნი ჭთრთოდენ,
მისწვდნენ სადაც მის მლიერნი მკლავნი,
მტერთა შელეწდენ და შემუსრიდნენ.

ო. გრ. ორბელიანი.

446 წელს გარდაიცვალა მეფე მირდატ V. დასტოვა ცოლი სუნდუხტა (არანის მმართველის ასული), შვიდის წლის ვაჟი ვახტანგი და სამის წლის ასული. რადგანც ვახტანგი მცირე-წლოვანი იყო, საქართველოს გამგედ დადგა დედოფალი სუნდუხტა. ამ დროს სპარსეთის მეფის ბრძანებით არანის მთავარი უნდა შემოსულიყო საქართველოსა გარეგების გამოსაყვანად. ამ უბედურების ასაცილებლად სუნდუხტა წავიდა არანში და სთხოვა თავის მამასა, რომ საქართველო არ აეოხრებინა, ვირობაც მისცა საქართველოში გარი შეეკრიბნა სპარსეთში გასაგზავნად. ეს თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და სუნდუხტამ ვირობი-

სამებრ დაბრუნების შემდეგ შეკრიბა საქართველოში ჯარი და გაგზავნა სპარსეთში. თუმცა ამ ქართველებმა დიდი სიკეთე და ღვაწლი დასდვეს სპარსებსა, მაგრამ მაინც სრულიად ამოხოცილი იქმნენ სპარსეთის მეფის ბრძანებით ტეტხლთა-თაყვანის-მცემლობის გმობისათვის. ამნაირად საქართველოს უგეთესნი კაცნი ამოწყვეტილნი იყვნენ და არც მძლავრი მეფე ჰყვანდა საქართველოსა. ამ გარემოებით ისარგებლეს ოსებმა 449 წ. შემოესიენ ქართლსა, აღოხრეს საშინლად, დაარბიეს მცხოვრებნი, დაატყვევეს მრავალი და მათ შორის ვახტანგის დაიც და დაბრუნდნენ ისევ მთებში. ვახტანგი სპარსთა ჩვეულებისამებრ იზრდებოდა სხვის სახლში და აღზრდა შესრულა მთავარ-ეპისკოპოზ მიხაილთან. ვახტანგი იყო მშვენიერის სახისა, ტან მაღალი და ჯანმთელი. იგი 456 წ. შესრულდა თხუთმეტის წლისა, გამეფდა და დაიწყო სამეფოის განმგებლობა. მეორეს წელსვე გამეფების შემდეგ იმან შეაგროვა ჯარი და გაილაშქრა ოსების წინააღმდეგ. ორივე ნაპირი მდ. თერგისა მოფენილი იყო ოსების და საზარების ჯარებითა. როგორც წესი იყო ჯერ ფალავნები გამოიყვანეს მოწინააღმდეგე ბანაკებიდან. ვახტანგმა თავის ხელით მოკლა ორი მტრის უმთავრესი ფალავანი: ოსი ბაყათარი და თარხან ხოზარი. ქართველის ჯარმა შეუტია მტერსა, უკუ აქცია და დაამარცხა. ქართველები ვახტანგის წინამძღოლობით შეეიდნენ ოსეთში; აქედგან ვახტანგი გადვიდა ბეჩენეგების ქვეყანაში, დაიპყრა იგი, აიღო დიდი ხარკი და ისევ ოსეთში მოიქცა. ოსები დამორჩილდნენ ვახტანგსა, დაუბრუ-

ნეს დაი, მიართვეს დიდი და შრაგული ძღვენი და აღუ-
ოქვეს ხარკის ძღვა. ვახტანგი გამარჯვებული დაბრუნდა
ქართლში ნოსხაზეთით. ვახტანგმა მადლობა გადუხადა
თავის მხედრობასა და დასაჩუქრა იგინი მეფურად. შემ-
დეგ ვახტანგმა გაუგზავნა სპარსეთის მეფეს მდიდარი
ძღვენი და სთხოვა იმას თვისი ქალი ცოლად. სპარსთა
მეფემ მისცა მას ქალი 448 წ. და უწოდა ვახტანგს
უდიდესი „ათ მეფეთა შორის“. ამ ქორწინებით მოაშო-
რა ვახტანგმა საქართველოს დრეებით სპარსეთის მხრით
შიში. ვახტანგის წინააღმდეგ, როდესაც საქარ-
თველო დაუძლურებული იყო სპარსთაგან, ბერძნებმა
დაიჭირეს რამოდენიმე ნაწილი დასავლეთის საქართველ-
ოისა. ვახტანგმა მოინდომა ამ ადგილების შემოერთე-
ბა, ამისთვის შეკრიბა საჩქაროდ ჯარი და გაემართა
ბერძნების წინააღმდეგ. ბერძნები და ქართველები შეხვ-
დნენ ქ. ტრაპიზონთან. ქართველებმა დაამარცხეს ბერძ-
ნები და ბერძენთ იმპერატორმა ლეონ დიდმა დაუბრუნა
ვახტანგს ყველა ადგილები, რომელნიც კი უწინ სჭერო-
ოდათ ქართველებსა: რაკი ვახტანგმა გაათავა გარეშე საქ-
მეები, ახლა თვისის სამეფოის შინაგანის საქმეების გან-
კარგებას შეუდგა: იგი მართავდა შკოლებსა, აშენებდა
ტაძარ ქალაქებსა. საეკლესიო წიგნები გადათარმნილ და
გასწორებულ იქმნენ. ვახტანგმავე გაამრავლა საეპისკო-
პოზო კათედრები და სხვ. ამ დროსვე დანიშნა თვისი
უფროსი შვილი დაჩი კახეთისა და ჰერეთის ერისთავად.
ვახტანგს მოუკვდა პირველი ცოლი და მეორე ცოლად
შეირთო იმპერატორის ლეონის ასული ელენე, რომელ-

სეტ თან მოჰყვა მსწავლული სამბერძნეთის სამღვდელოება. ბერძნებთან აგრეთი დაკავშირება ვახტანგისა ფრიად ეჯავრათ სპარსთა, რადგანაც საქართველოში დარჩომილი ცეცხლ-თაყვანის-მცემელთ მეფარველი აღარავინ იქმნებოდა ვახტანგის ზირველის ტოლის სიკვდილის შემდეგ. ამ გვარი შიში ქართველებისა განაცხოველეს უფრო საქართველოში მყოფთ მოგვებთა (ცეცხლ-თაყვანის მცემელთ მღვდელნი), რომელნიც სწერდნენ სპარსეთის მეფეს: ქართველო მეფე და თვით სალხი გვდევნის და გვიერძალავს ჩვენის სარწმუნოების აღიარებასა და აღსრულებასა და ურჩევდნენ საქართველოზედ გამოლაშქრებას. ვახტანგმა ეს ამბავი შეიტყო, შეიპყრა ყველა მაგები და მათი სალოცავები სრულიად მიანგრ მოანგრევინა; ამასთანავე დაიწყო ომისათვის მზადება და შემწედ მოიწვია ბერძნები. ვახტანგმა გაამაგრა სპარსეთის მხარე სამზღვრები, ციხე-ქალაქები, რომლებშიაც დააყენა ჯარები, ხოლო სამზღვრებზედ მოსახლე სალხი მთებში შეხიზნა სპარსელები შემოვიდნენ საქართველოში. ჯერ ციხეებში მდგომმა ჯარებმა დიდი ზიანი მისცეს სპარსელებსა სხვა და სხვა მხრიდამ თავს-დატემით. შემდეგ თვით ვახტანგმა 488 წ. საშინლად დაამარცხა სპარსები. ამ ბრძოლაში მამაცობისა და გაჟ-კაცურ მოქმედებისათვის სპარსთ დაარქვეს ვახტანგს „გორგ-ასლანი“ (მგელ-ლომი). სპარსეთის მეფემ მოითხოვა შერიგება და გამოუგზავნა ვახტანგ გორგ-ასლანს ძვირფასი გვირგვინი ნიშნად საქართველოს დამოუკიდებლობისა სპარსთაგან. ვახტანგმა თავის მხრით მეგობრობის დასამტკიცებლად მისცა ფი-

რუზს თვისი დაი ტოლად და დაჭვირდა ინდოეთზედ გალა-
შქრებაში მონაწილეობის მიღებას. კასტანგმა შეკრიბა თო-
რმეტი-ათასი კაცი და კაემგზავრა იერუსალიმისაკენ წმ
დგილების თაყვანის საცემლად სახლობითურთ. აქ გა-
ნამშვენიერა ჯვარის მონასტერი, აშენებუ-
ლი მირიანისაგან, შეწირა მრავალი სიმდიდრე და
დაასახლა იქ რამდენიმე ქართველის ჯვარი, რო-
მელთ შთამომავალნი აქამომდე სცხოვრებენ,
მხოლოდ ლაპარაკობენ არაბულად. იერუსალიმიდამ კა-
ტ ნგმა სახლობა საქართველოშიგე გამოისტუმრა და თვა-
თონ თორმეტი-ათასის კაცით გაემართა სპარსეთისაკენ
და აქედამ სპარსეთის მეფეთან ერთად—ინდოეთისაკენ.
ინდოეთიდგან კასტანგი გამარჯვებული დაბრუნდა თავის
ჯარით და მრავალი სიმდიდრე მოიტანა; სხვათა შო-
რის აბრეშუმის ჭიის თესლიც. საუბედურად ქა-
რთველებმა შეითვისეს მრავალი ინდოელების
ცრუ-მორწმუნოებაც, რომლის გავლენა ჩვენს დრომდე
მოსდინარეობს სალხზედ. კასტანგი დარწმუნდა, რომ საქ-
ართველოს ეკკლესიური საქმეები ფრიად უთავბოლოდ
მიმდინარეობდნენ, რადგანაც იგი (ეკკლესია) ეძვემდება-
ოდა ანტიოქიის პატრიარქსა. ამ უთავ-ბოლობის ასა-
ცილებლად კასტანგმა მოინდომა საქართველოში საკუთა-
რის ქათალიკოზ—პატრიარქის ყოლა. ამ მიზნით კონს-
ტანტინეპოლის პატრიარქის შემწეობით დაიყოლია ანტიო
ქიის პატრიარქი, რომ ამ უკანასკნელს მიეცა ქართველები-
სათვის საკუთარი ქათალიკოზი ანტიოქელთაგან 475 წ.
ამირგვლი საქართველოს ქათალიკოზი იყო პეტრე, ქათალი-

კოზს ეძვემდებარებოდნენ: თორმეტი ეპარქია ქართლში, თორმეტი—კახეთში; ცხრა სომხეთში და ორი იმერეთში. ქათალიკოზი იწოდებოდა სულიერ მეფედ და თუ ვითარი ლირსება და შატივის ცემა ჰქონდა ქათალიკოზსა საქართველოში ვახტანგ VI ხელმწიფის ერთი მუხლთაგანიდგან სჩანს. ეი რას ვკითხულობთ ვახტ ნგ VI სჯულის მე 25 (ოცდა-ხუთ) მუხლში: მეფისა და ქათალიკოზისა საქმე: „უკანდრისი რაც რამ ორისა სწორი არის, ამიტომ რომ ერთი კაცისა ხელმწიფე არის და მეორე სულისა. კურთხევა და შატიკი ღვთისაგან და კაცისაგან სწორადა აქვსთ. დასტურ მეფეს უფრო შატიკს ცემენ, მაგრამ ხორციელის შიშით იქმოდნენ. ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწორედ დაგვიწერია. თუ არა სჯობდეს ვინც უკეთ იცოდეს, ჩვენ ნუ რას გვაბრალებს, იმან დასწერეს“... ქათალიკოზი სხვა ეპისკოპოზთაგან განირჩეოდა შემდეგის ნიშნებით: ბარტყულის კალთებზედ ჰქონდა ორი სერაფიმი მარგალიტით ასხმული; კუნკულაზედ ჯვარი (წინ-შუბლზედ); ხაგერდის მაზარა (მანტია) გერცხლის წყარეებით (არშიებით); მიტრა გვირგვინით და ზემოდ ჯვარითა და ორი შანაგია—სამღვდელ-მთავრო გულ-საკიდი ხატი. ვახტანგ გორ-ასლანმა აღაშენა ქალაქი თბილისი. ხალხის გარდაოტემა თეიმურაზის შენებას ვახტანგისაგან მიაწერს შემდეგს გარემოებას: ერთხელ, როდესაც ვახტანგი დადიოდა სანადირად, დაინახა ხოხობი, რომელსაც მიუსია მიმინო. როდესაც მიმინო და ხოხობი ორივე ღელეში დაიმალნენ, ვახტანგი თავის ამალით გამოეკიდა და ნახა, რომ მიმინო და ხოხობი მოხარშულან იქვე ღელეში მომდინარე ცხელ-წყალში.

ვახტანგს მოეწონა ეს წყლები და დაიწყო აქ ქალაქის შენება, რომელსაც ადგილისა და წყლის თვისებისა გვარად დაარქვა „თბილისი“. ტფილისში ვახტანგმა აღაშენა შემდეგი ეკეკლესიები: სიონისა, მეტეხის, ჯვარის-მამისა და ბეთლემისა და დაიწყო შენება აგრეთვე მცხეთის ტაძრისა. როდესაც ვახტანგი ამ გვარს შინაურს საქმეებში იყო გართული, გარდაიცვალა სპარსეთთა მეფე ფიროზ. ვახტანგის სიძე (485 წ.) 491 წ. შემდეგმა მეფემ მოიმსრო არაბნი და ჰუნნი და შემოუთვალა ვახტანგს, რომ ეს დახმარებოდა სპარსებს ბერძნების წინააღმდეგ. გამჭრიახმა და ფრთხილმა ვახტანგმა უპასუხა სპარსთა დესპანს: «თქვენის მეფის განზრახვა მე კარგა მესმის; მას უნდა რომ მე გაულესო მას ის მახვილი, რომელიც ჩემს წინააღმდეგ უნდა იხმაროს. წადით და უთხარით თქვენს მეფეს: ჯერ ჩემს წინააღმდეგ წამოვიდეს და შემდეგ საბერძნეთზედ». ვახტანგმა კარგად იცოდა სპარსთა სიძლიერე, ამისთვის მან ხალხი გაჭიზნა მთა-ტყეში. მცხეთა ერისთავებს ჩაბარა და თვითონ ორის ერისთავით გამაგრდა უჯარმაში. 499 წ. საქართველოში შემოვიდა მრავალი სპარსთა ჯარი მათის მეფის წინამწყობლობით. სპარსებმა დაიჭირეს ქიზიყი, ჭერმის-ციხე, ველის-ციხე (სიღნაღის მაზრაში) და უმთავრესი წყობა სპარსთა ჯარისა მდ. ორისაკენ წამოვიდა. უჯარმასთან შეხვდნენ ქართველები და სპარსელები ერთმანეთსა. შეიბნენ და შეიჭიდნენ ქართველნი და სპარსნი. საშინელი ბრძოლა გაგრძელდა სამი დღე, რომლის განმავლობაში ორთავე მხრიდამ დაიხოცა მრავალი ჯარი. მეოთხე დღეს

ლამაინათ შეუტიეს ქართველებმა სპარსელებსა და თავსზარი დასცეს. ვახტანგმა თვის ხელით მოჭრა სპარსთა მეფის შვილი, მაგრამ ამავე დროს თვით ვახტანგიც განიგმირა გულში მტრის ისრით. სპარსნი იძლიენენ, გაიქცნენ და დაბანაკდნენ რუსთავში. მაგრამ როდესაც ჭსტნეს ვახტანგის მძიმედ დაჭრილობა, სპარსნი გამხნევდნენ, დანგრიეს ახლად აშენებული თბილისი, არმაზ-ციხე და დაიჭირეს ქართლი, გარდა მცხეთისა, რომელიც გამაგრებული იყო ქართველთაგან. ვახტანგის უკანასკნელი თხოვნა ქართველთადმი იყო, რომ იგინი ერთგულნი ყოფილიყვნენ სარწმუნოებისა, სამშობლოისა და მოძმეთადმი. ვახტანგი გარდაიცვალა დაჭრილობისაგან 499 წ-სა. გამეფდა ვახტანგის შვილი დარჩილი (499—514), რომელმანც სამუდამოდ ჭყო თბილისი სატასტო ქალაქად, მხოლო მცხეთა დარჩა ქათალიკოზის სამყოფ ადგილად. სპარსთ დაიპყრეს დარიალის ხეობა და შეიქმნენ საქართველოს მფლობელად ეს ფლობელობა დრო გამოშვებით იყო, რადგანაც საქართველოს დაპყრობაზედ სპარსთ ეცილებოდნენ აგრეთვე ბერძნებიც.

27. ათ-ცამეტი წმ. მამათა მოსვლა სირიიდგან და მათგან საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრება ვასტანგ-გორგ-ასლანის დროს (446—499).

თუმცა საზოგადოდ ქართველებმა მირიანის დროს მიიღეს წმ. ნინოსაგან ქრისტიანობა, მაგრამ ზოგიერთ საქართველოს ადგილებში, ნამეტნავად მთიან ადგილებში კიდევ დარჩნენ უწინდელის ცეცხლის-თაყვანის-მცემელი ქართველნი. ამ წარმართობის დასათრგუნავად და სრულიად მოსასპობლად მოვიდნენ საქართველოში ათ-ცამეტი სირიელნი წმ. მამანი. აი იმათი სახელები: 1) იოანე— მასწავლებელი დანაშთენთა მამათა; 2) აბიბოს; 3) ანტონი; 4) დავითი; 5) ზენონ; 6) თადეოზ; 7) იასე; 8) იოსები; 9) ისიდორე; 10) მიხეილი; 11) პირი; 12) სტეფანე; 13) შიო და 14) განუშორებელი იოანეს თანა-მოგზაური დიაკონი იოსია.

1. იოანემ დაესადგურა დაბურულის ტყით შემოსილს ზედაძენის მთაზედ, სადგანაც იგი დაუღალავად იღვწოდა წარმართების წინააღმდეგ და ქრისტიანობის გასავრცელებლად. იოანემ სრულიად მოსპო თავის სამყოფის ახლო-მახლო ადგილებში წარმართობა და დაამ-

ტკიცა ქრისტიანობა. იოანესგან სასწაულთა მოქმედებას და ხალხის მასწავლებლობას სარწმუნოებაში აქამომდე გაღობს საქართველოს ეკკლესია. იმ ადგილას, სადაც სცხოვრებდა იოანე ზედამნელი, შემდეგ აღშენებულ იქმნა ეკკლესია, რომელიც ამ ჟამად დანგრეულია ამავე წმინდანის სახელობაზედ. საქართველოს ეკკლესია იოანეს მოიხსენებს შვიდს (7) მაისს.

2. აბიბოსმა მეფის და ქათალიკოზის თხოვნით მიიღო ეპისკოპოზობა ნეკრესის (კახეთშია) კათედრაზედ. აბიბოსმა საგრძნობელად შეამცირა აქ ტეტხლისთაყვანის-მცემლობა და მრავალი მთის ხალხი მოაქცია ქრისტიანობაზედ. აბიბოს ნაჭვავებულ იქმნა სპარსთაგან ქრისტეს სჯულისთვის. გვამი ამ წმინდანისა გ-ნისვენებს მცხეთის ტაძარში. აბიბოს საქართველოს ეკკლესია მოიხსენებს 29 ნოემბერს. ნეკრესის კათედრა ასე არსებობდა მე XVIII საუკუნის გასულამდინ. უკანასკნელი ეპისკოპოზი ნეკრესისა იყო ამბროსი, რომელიც ასათლაგია ს. შიდდაში.

3. ანტონი მარტყოფელი იღვწოდა მარტყოფის მთაზედ ხალხისაგან შეუნიშნავად. ბოლოს იგი შენიშნულ იქმნა მონადირეთაგან. იმ ადგილს, სადაც იღვწოდა ანტონი შემდეგ აღმართულ იქმნა ეკკლესია. მარტყოფის უდაბნოში 1760 წ. მრავალნი მეუდაბნოენი სცხოვრებდნენ. დღესასწაული ანტონისა ცხრამეტ (19) ივნვარს და თექვსმეტ აგვისტოს (16) აბის.

4. დავით გარეჯელი იღვწოდა და ქადაგებდა გარეჯის უდაბნოში ს. საგარეჯოს მახლობლად. 1780 წლა-

მდე ეს უდაბნო შესანიშნავი იყო მრავალის მეუდაბნოებით, სიმდიდრით და მრავლის მშვენიერის ეკლესიებში გამოკვეთილ ეკლესიებითა. წმ. დავით გარეჯელს საქართველოს ეკლესია მოიხსენებს ამაღლების სწორზედ, აღდგომის მეშვიდე კვირიაკის ხუთშაბათს.

5. იასე წილკანის ეპიკოპოზი იღვწოდა წილკანში. საქართველოს ეკლესია მდ. ქსნიდგან წილკანის მინდვრებზედ წყლის გაყვანას მიაწერს იასეს სასწაულთა ძალას. იასე წილკანელის გარდაცვლას საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს ორს (2) ქრისტეშობისთვეს.

6. იოსებ ალავერდელი ქადაგებდა შიგნით კახეთში და აგრეთვე მთის ხალხებში, ახლანდელს ლეკებში. წმ. იოსები სცდილობდა მეფისა და ქათალიკოზის შემწეობით გაემრავლებინა ეკლესიები და წმინდად დაეცვა ხალხში ქრისტეს სარწმუნოება. გვამი წმ. იოსებისა განისვენებს ალავერდის ტაძარში—კახეთში. საქართველოს ეკლესია ამ წმ. მამას მოიხსენებს 14 (თოთხმეტს) ენკენისთვეს.

7. შიო მღვიმელი, წოდებული ანახორეტად, სცხოვრებდა და იღვწოდა მცხეთის მახლობლად—მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზედ. წმ. შიო სცხოვრებდა თვისგანვე გამოკვეთილს სენაკში, სადაც მას საზრდოს უზიდავდა მტრედი. შიო მღვიმეს უდაბნო ოდესმე თრიად განთლებული იყო მრავალის მეუდაბნოების ცხოვრებით. წმ. შიოს მკლები დიდხანს იყვნენ თაყვანის საცემნი ქართველთაგან. წმ. შიო მღვიმის უდაბნო აოხრებულ იქმნა სპარსთაგან შაჰ-აბასის დროს. ამ წმ. მამას საქართველოს ეკლესია მოიხსენებს ყვავიერის ხუთშაბათს.

დასაშთენის წმ. მამათა ცხოვრების აღწერა დაკარგულია სპარსთა და თურქთა საქართველოში შემოსევის დროს, სოდენ ამ წმიდათა შესახებითი საგალობელნი შეთხზულნი არსენისა, ნიკოლოზის, ანტონი I-ს, ბესარიონის და თეიმურაზ I-ის დის მაკრინესაგან დღეკანდლამდე იგალობებიან საქართველოს ეკლესიისაგან. ამ წმ. მამათა საოცნებებად შემდეგ აღშენებულნი იქმნენ ეკლესიები, რომელნიც არსებობენ ჩვენს დრომდე. მაგ. ზენონს მოიხსენებენ სოფ. იუალეთოში (კახეთში); თადეოზ-სტეფან-წმინდაში; ისიდორე-სამთავისში; მიხეილი ულუმბიაში; ბირი ბრეთში; სტეფანე—ხარსაზედ. უკვლა ამ ათ-ტამეტთა მამათა საზოგადო დღესასწაული არის შვიდს მაისს.

---

28 საქართველოს მდგომარეობა ვახტანგ გორგ-ასლანის მემკვიდრეების დროს (505—575).

ვახტანგ გორგ-ასლანის შემდეგს საქართველოს მეფეთ არა ჩქონდათ არც იმდენი ნიჭი და არც ძალა, რომ საქართველო ისევ იმ სიმაღლეზედ დაეყენებინათ, რაც ორც იყო ვახტანგ I დროს. თითქმის ნახევარი საქართველო ბერძნების და სპარსელების ხელში იყო. საქართველო იყო გარდაქცეული ამ ორთა სასუფეოთა შორის ბრძოლების ასპარეზად. ამ დროს საქართველოს სამეფოს შეადგენდნენ: ქართლი, კახეთი, იმერეთი და

საქართველოს სომხეთი. შემდგენი საქართველოს მეფეები (ბაკურ II 514—528, ფარსმან VI 528—542; ფარსმან VII 542—557; ბაკურ III 557—570) არ ფერს აქცევდნენ ეერაადღებასა, გარდა ქრისტიანობის წმინდად და შეუცვლელად შენახვისა და ეკლესიების განმრავლებისა. ამ დროს ფრიად განმტკიცდნენ არაგვისა და ქსნის ერისთავები. 570 წელში გარდაიცვალა მეფე ბაკურ III და სპარსელებმა ალარავინ ამოირჩევეს მის მემკვიდრედ, რომ უფრო მტკიცედ დაეპყრათ საქართველო. მაგრამ სპარსელებმა მაინ გაიყვანეს თვისი ჯარები საქართველოდგან თავის მტრების წინააღმდეგ. ქართველებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და სთხოვეს საბერძნეთის იმპერატორს, რომ უკანასკნელს მიეცა ქართველთა-თვის მეფედ ვახტანგ გორგ-ასლანის შთამომავალთაგანი. მაურიკემ შეიწყნარა ეს თხოვნა და მისცა ქართველებს მეფედ კლარჯეთისა და ჯავახეთის მფლობელი კურო-პალატი *) გურამი, ვახტანგის ქალის შვილი მეორე ცოლიდგან.

---

*) კურო პალატი ანუ მაგისტროსი—ხარისხია, რომელსაც საბერძნეთის იმპერატორები აძლევდნენ თავის სამზღვარ-გარეთ ქვეშევრდომსა განსაკუთრებულ ჩინებულის სამსახურისათვის. კურო პალატის ნიშანი იყვნენ: ჰორფირი, გვირგვინი და ბაირალი.

29. ბაგრატიონების შთამომავლობა. გურამ ბაგრატიონი 575—600 წ. და ეკლესიის საქმეები ადარნასეს დროს.

ბაგრატიონები, სომხის ისტორიკოსების თქმულებით, არიან შთამომავალნი უწინდელის ებრაელთა მეფეთა—დავითისა და სოლომონისა. როდესაც ნაბუქოდონოსორმა 600 წ. ქრ. მოსვლის წინ გარდასახლა პალესტინიდამ ებრაელნი, ერთი გვარი მეფის დავითის შთამომავლობისა გარდასახლდა სომხეთში, სადაც შემდეგ, მესამე საუკუნეში ქრ. შემდეგ, მიიღეს ქრისტიანობა. ამ ბაგრატიონებმა თვისის ერთგულის და ჩინებულის სამსახურისათვის სომეხთა მეფეთა წინაშე მიიღეს სომხეთში პირველი ადგილები. მე VI საუკუნეში ერთმა ამ სომხეთის ბაგრატიონთაგანმა შეირთო ცოლად კახტანგ-გორგასლანის ასული მეორე ცოლის ელენესაგან შობილი და ამ გარემოებამ გაჭსადა ეს ბაგრატიონი სამცხე ჯავრეთის მმართველად. შვილი ამ უკანასკნელისა აღმორჩეულ იქმნა საქართველოს მეფედ 575 წ. და ეს გურამი შეიქმნა საქართველოს ბაგრატიონების მამა-მთავარი ანუ წინაპარი.

რა კი გურამი დაემკვიდრა საქართველოს ტახტზედ, პირველი მისი ყურადღება იყო მიქცეული თვისის სამ-

ფოს შესაფერ ნაწილებად დაყოფაზედ და ამ ნაწილებში კარგის,—სასარგებლო მმართველების დაყენებაზედ. ამი-სათვის გურამმა ჯერ კახეთი განჭყო ორ ნაწილად: საკუთარი კახეთი (ახლანდელი თელავის მაზრა), მისცა ბა-კურის III შვილსა; ხოლო ქიზიყი წაართვა სპარსელებსა და მისცა თავის ძმებსა. გურამმა განიზრახა ძველის ერი-სთავების გამოცვლა და ახლების დაყენება, მაგრამ ძველს ერისთავებს ვიზანტიის იმპერატორების და სპარსთა მე-ფეების სიგელები ჰქონდათ, რომლების ძალითაც მათ (ერისთავთ) ისევ დაინარჩუნეს თავ-თავისი საერისთავო-ბი. როდესაც გურამმა დაამყარა თავის სამეფოში სრუ-ლი მშვიდობიანობა, მოვიდა იმპერატორისაგან ჯარი და ფული, რომლის შემწეობითაც გურამს უნდა განედევნა საქართველოდამ სპარსნი. ამისთვის გურამმა მოიწვია მოზავებად ოსნი, ლეკნი, შეკრიბა ქართველნიც. ჯერ გა-ნდევნა სპარსნი თბილისიდგან და შემდეგ გაილაშქრა სპა-რსეთისაკენ. დაიპყრა და აღაოხრა სრულიად ადრიბეჟანი, შევიდა სპარსეთში და რამდენჯერმე დაამარცხა სპარსთა ჯარები. სპარსეთი ფრიად შეშინდა და მოელოდა თავის სამეფოს სრულიად განადგურებასა, მაგრამ სპარსელებს გამოუჩნდათ ამ დროს ჩინებული სპასალარი—სარდალი ბარამ ჩბენი, რომელმაც დაამარცხა ქართველნი და შეგუ-დაახვევინა მათ. ქართველები დაბრუნდნენ საქართველოში და გურამმა იწყო ციხე-ქალაქების შენება და გამაგრება, რომ შემდეგის სპარსების შემოსევისათვის მაგრად დახ-ვედროდნენ ქართველნი. გურამმა აღაშენა თბილის-ში სიონის სობორი, წმ. ჯვრის კვეკლესია

მცხეთაში და მშვენიერი სასახლე თბილისშიც, რომელიც არსებობდა როსტომ ქართველის მეფის დროამდე 1634. გურამის დროს შესამჩნევად იკლო მცხეთაში მცხოვრებთ რიცხვმა და, წინაადმდეგ ამისა, თბილისში იმატა მკვიდრებთ რიცხვმა; გავრცელდა, გაუკეთესდა და აღეკვეა. გურამი გარდაიცვალა 600 წ. გამეფდა ძე მისი სტეფანოზ I.

ვახტანგ გორგ-ასლანმა ეკლესიების შესახებ მოახდინა ის ცვლილება, რომ საკუთარი ქათალიკოზი გამოსთხოვა საქართველოსათვის, მაგრამ ეს ქათალიკოზი ანტიოქიის პატრიარქის ამორჩეული და მისგანვე ქურთხებული უნდა ყოფილიყო. ადარნასეს (619—639) უნდოდა ამ გვარის დამოკიდებულებისაგანაც განეთავისუფლებინა საქართველო. ამისათვის მან სთხოვა ანტიოქიის პატრიარქს თეოფილაქტეს, რომ საქართველოს ქათალიკოზები ანტიოქიაში კურთხევის მაგივრად საქართველოშივე კურთხებულიყვნენ აქაურის წარჩინებულის მღვდელ-მთავრისაგან. ეს ოხოვნა შეწყნარებულ იქმნა თეოფილაქტესაგან და ამით საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა ანტიოქიის პატრიარქისაგან აღიარებულ იქმნა. ამის შემდეგ საქართველოს ეკლესია შეიქმნა ავტოკეფალიად.

---

30. არაბთა შემოსევა საქართველოში. *)

მე-VII საუკუნეში არაბეთში მაჰმადმა შეადგინა ახალი სარწმუნოება მოსლემინისა. ამ სარწმუნოების მცნება

---

*) ინილე სტატია, «მაჰმადის სჯული».

ოუო: „ერთი ღმერთი და მაჭმადი მისი წინასწარმეტყველი“. მაჭმადის სარწმუნოების დროშაზედ ეწერა: „გავრცელება მოსლემინობისა მახვილითა და ცეცხლით!“ ამისათვის მაჭმადის მოადგილეთ მალე გაავრცელეს ახალი სარწმუნოება ძალით. ვინც ახალ სარწმუნოებას უარ-ჰყოფდა იგი გახდებოდა ცეცხლისა და მახვილის მსხვერპლად. შემდეგმა მოსლემინების მოთავემ ომარმა დაიპყრა ეგვიპტე, სირია და პალესტინა და ყოველგან აქ ქრისტიანები ამოწყვეტილი იქმნენ. ომარმა დაანგრია 40000 ორმოცი ათასი ტაძარი და მათ ნაცვლად აღაშენა 1400 ათას ოთხასი მეჩეთი. დაიმორჩილეს და დაიპყრეს სრულიად სპარსეთი. ომარის სარდალმა ხალიდმა დაიპყრა სომხეთი, შემდეგ აღმოსავლეთი საქართველო, თფილისში დააყენა მოსლემინთა ჯარი და დაადგა ქართველებს მძიმე ხარკი. საქართველოს მეფე სტეფანე II (639—663), უძლური არაბების წინააღმდეგ, აიბარგა თვისის სიმდიდრით და გადაესახლა დასავლეთ საქართველოში. ეკკლესიების სიმდიდრენი და სხვა შენახულ იქმნენ მცხეთისა და სიონის გუმბათებში. ხალხი, დატოვებული მეფისაგან და აწიოკებული მტრისაგან, ეძებდა თავ-შესაფარს მთა-ველ-ღრეებში; ვინც ვერ ასწრობდა გაქცევასა, იგი აქ მაჭმადიანდებოდა, ან არა-და მახვილის მსხვერპლი ხდებოდა. მირისა და არჩილის (663—718) დროს საქართველომ მეორედ გამოჭსცადა საშინელება არაბების შემოსევისა და აოხრებისა. მირვან-ურუმ დაიპყრა დარიალისა და დარუბანდის გასავლები; აღაოხრა საქართველო და ნამეტნავად თბილისი; ცეცხლითა და მახ-

ვილითა მოსრნა ადგილნი ქართლისა და კახეთისანი. ვერ-
ავინ ვერ წინააღუდგა საშინელს მირვანსა; მხოლოდ
არგვეთში (ზემო იმერეთში) დახვდნენ არაბთ ძმანი
თ-ნი დავით და კონსტანტინე 1330 ქართველის ვაჟ-კა-
ცთა, რომელთაც დასთხიეეს თვისი სისხლი მამულის
ასამაღლებლად. მაგრამ ეს ძლიერი მტერი მომეტებულს
მსჯეერპლს ითხოვდა; თვით დავით და კონსტანტინე პა-
ტიმარ ჰყვეს და მაჰმადის გმობისათვის მურვან-ფრეს
ბრძანებით დასოტიღ იქმნენ. მათი წმ. გვამები მოწამე-
თის მონასტერში ასვენიან; დღესასწაული ამათი არის
2-ს ოკტომბერს. საქართველოს მეფეები გამაგრდნენ ნი-
კოფსის ციხეში. არაბებიც აქ დაბანაკდნენ, მაგრამ მო-
მეტებულის სიცხისაგან არაბთ დაერია ჭირი და მრავა-
ლნიც დაიხოცნენ. ქართველები დაეცნენ ღონე მიხდილ-
არაბებს და „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით სამი ათასი
(3000) დახოცეს. შემდეგ საშინლად ოხრებისა ქართ-
ლისა, სამცხესი და რანისა მირვანი მოკვდა. გარდაიცვა-
ლა მირიცა.

718 წ. კიდევ შემოესივნენ მოსლვემინები საქართ-
ველოს ასიმის წინამძღოლობით. ქართველნი დაქანცულ-
ნი და დაუძლურებულნი, შეშინებულნი მიბრუნდნენ ტეე-
მთებში. ამისათვის მეფე არჩილ I მიენდო ღმერთსა,
ჩაბარა ქვეყანა ერისთავებს და წავიდა შესაგვედრებელად
ასიმთან, რომ ამ უკანასკნელს არ აღეოხრებინა საქართ-
ველო. ასიმმა პატიკის-ცემით მიიღო არჩილი, მაგრამ
რა კი ჰგმო მაჰმადი, ვერ ხარობი შეიპყრეს არჩილი
და შემდეგ თავი მოკვეთეს 718 წ. (დღესასწაული 21

ივლისს.) შემდეგ 731 წ. თბილისი ალხრეულ იქმნა სარაცინთაგან. ამის შემდეგ ოთხასი (400) წლის განმავლობაში ბაგრატიდებს მხოლოდ სასელი ჰქონდათ მეფისა და ნამდვილი მეფობელნი საქართველოსი კი სარაცინები იყვნენ. კახეთი სასანიდების ხელში იყო. ამ დროს კახეთის მეფეთ შორის უფრო შესანიშნავია კირიონ, რომელმაც აღაშენა ალავერდის ტაძარი. ამ დროსვე შემოიღეს საქართველოში 532 წლიური ქრონიკონი (წელთ აღრიცხვა). ამავე დროს ათეისტეთის მეფემ ლეონ II აღაშენა ქუთაისი, შემდეგ ამოთ კურო-პალატის გამეფებისა (787—827) არაბები საგრძნობელად აღარ აწუხებდნენ საქართველოსა, რადგანაც არაბნი გარეგნობისა გამო ფრიად დაუძლურდნენ. ამოთ მეფემ ხარეის ძლევა მოუსპო თბილისში მეფეს ემირსა; ამისთვის ამ უკანასკნელმა კახეთის მეფეთ ერთად მოინდომა ამოთის დასჯა, მაგრამ დამარცხებულ იქმნა მდ. ქსანზედ ქართველთაგან. რადგანაც მაინცა-და მაინც ქართლში არა ვითარი წესიერება არა სუფევდა, კახეთის მეფეთ გრიგოლმა მიითვისა კახეთი, ჭერეთი და კუხეთი; იწოდა კახეთის ქორეპოზად და გახდა დამოუკიდებელ მეფეთ. კახეთი შეადგენდა საკუთარ სამეფოს 1105 წლამდე, რადესაც დავით აღმაშენებელმა შეაერთა ეს საქართველოს ნაწილი დანაშთენს თავის სამეფოსთან. ამოთის მემკვიდრეების დროს საქართველოში შემოესივა ემირი-ბუღა; აღაოხრა ქართლი, მრავალი ხალხი დახოცა და მრავალიც ტყვედ წაიყვანა. ხალხი ანებებდა თავსა ქონებასა და სახლ-კარსა და მირბოდა

ტეე-მთებში. ამ დროს ეკუთვნის მაღალს მთებზედ და მიუდგომელს ველებზედ ეკკლესიების აღშენება. ამ დროს აბხაზებმა გაანწესეს თვისი საკუთარი კათალიკოზი, რომლის ადგილ-სამყოფელი იყო ფიცუნდის უდაბნო. საქართველოს საბედნიეროდ არაბთა სამეფო გარეულ-ალ რაშიდის შემდეგ გაიყო რამდენსამე სამეფოდ, რომელნიც ურთი-ერთ შორის განუწყვეტელმა ბრძოლამ ფერიად დაუძლურა. ამასთანავე საქართველო — აბხაზეთში გამეფდა ერთი მეფე.....

---

31. ივერიის მონასტრის აღშენება ათონის მთაზედ.

ღირს-სახსოვარია ფრიად მოსახსენებლად «ივერიის» მონასტრის დაფუძნების ამბავი. მით უმეტეს ძვირფასია ქართველთა თვის „ივერიის“ მონასტერი, რომ მარტო იგი იყო თითქმის ერთად ერთი წყარო, საიდანაც მოიფინებოდა მთელს საქართველოში სწავლა-განათლება.— ივერიის მონასტერი ზრდიდა ქართველთ ახალგაზდობასა; ივერიის მონასტერი გვიგზავნიდა ნასწავლს სულიერ მამებს, ის გვაძლევდა და გვაცნობებდა ევროპიის მეცნიერებასთან; იგი გვაძლევდა მრავალს საერო და სასულიერო წიგნებსა. 831 წ. ათონის მთაზედ განდეგილი მცხოვრები მეუდაბნოე გაბრიელ ეღირსა წმ. მღვთის მშობლის ხატის ზღვიდამ ამოღებასა და ეს ხატი დასვენებულ იქმნა ზღვისავე პირას ათონის მთაზედ აღშენებულ

ეკლესიაში. ივერიის მონასტერში ჯერ სცხოვრებდა მხოლოდ სამი მეუდაბნოეე: იოანე, ეძვთიმე და გიორგი. ამათ აღაშენეს მცირე, მაგრამ ფრიად შემკული და მშვენიერი ტაძარი. შემდეგ თორნიკეს ბერად შესვლისა-კენ მონასტერი ფრიად გავრცელებულ იქმნა. როდესაც საბერძნეთს აუტუდა ომი სპარსეთთან, რომელმაც ფრიად შეავიწროვა საბერძნეთი, უკანასკნელის იმპერატრიცამ ზოიამ მიჭმართა ათონის მთაზედ მცხოვრებს თორნიკეს, რომ იმას მიეღო საბერძნეთის ჯარის სპასალარობა. თორნიკე უწინაც გამოჩენილი სარდლობით, ჯერ უარს-ჰყოფდა მხედართ მთავრობაზედ, მაგრამ მეუდაბნოეთა და ნამეტნავად ივერიის მონასტრის წინამძღვრის არხიმანდრიტის წმ. ათანასე ათონელის თხოვნამ გაბედვინეს თორნიკეს ჯარში წასვლა. თორნიკემ მალე-დაამარცხა და განდევნა სპარსნი საქართველოდამ. სახელმწიფო დიდების მაგივრად თორნიკემ იარჩია მონასტერშივე დაბრუნება. ამ ჩინებულის საქმესახურისათვის თორნიკემ მიიღო იმპერატრიცასაგან ოქროული ის ნიგთიერი თუ სხვა ბევრი შემწეობა, რომლის საშვალობითაც აღაშენა და გაავრცელა ივერიის მონასტერი. თორნიკეს სურვილისამებრ უმთავრესი ტაძარი აღშენებულ იქმნა მღვთის-მშობლის სახელობაზედ. ეს ტაძარი შესანიშნავია თვისის ხელოვნებით და ძვირფასის მასალით, რომლებითაც არის ნაქმი. ამავე მონასტერში ახლაც იხსნება თორნიკეს სამარი იარაღი, რომელიც შესანიშნავია თვისის სიმძიმით და ძვირფასის ხელოვნებითა. როგორც შემდეგ გნახავთ,

ეს მონასტერი შემდეგ უფრო კრცელდება და იძენს დიდს მამულს საქართველოში.

---

32. არაბთაგან განთავისუფლება.

ბაგრატ III კურო-პალატი მეფე აფხაზეთისა და საქართველოისა (980—1014)

ბაგრატმა ასვლისათანავე საქართველოს ტახტზედ ამოწყვიტა დანაშთენი მესხეთის ბაგრატიდებისა, რომ ამით მოეშორებინა თავიდამ მოტიდე საქართველოს ტახტზედ. შემდეგ განჭყო მესხეთი რამდენსამე საერისთავოდ, რომლების მმართველობა—ერისთავობა—მისცა მესხეთისვე მცხოვრებთ. ამ გვარად პოლიტიკურს ასპარეზზედ გამოჩნდნენ დიდებული და დამსახურებული გვამნი: სულა ერისთავი-კალმახელი, გამრეკელი, შემდეგ მეფლობელი თორისა, სარგის-თმოგველი, წინაპარი თამარის დროის ბოლტისა; ჯაყელი—შემდეგ ათაბაგი ზემო-ქართლისა და სხვანი. შავის-ზღვის მთელი აღმოსავლეთით მდებარე მხარე იმ კეთილურთ მეფის მოადგილეთა მმართველობის ქვეშ იყო. მმართველებად ამ ადგილეში ინიშნებოდნენ მეფესთან დაასლოებულ პირთაგანნი, ან თვით მეფის საგვარეულოდგან და იწოდებოდნენ ერისთავთ-ერისთაებად. ამ გვარი წყობილება გაგრძელდა ვიდრე 1259 ათას-ორას-ორმოც-და-ცხრამეტ წლამდე. ბაგრატის გამეფებამდე კახეთსა და ქიზიყს თავის საკუთარი მთავრები ჰყვანდათ. ბაგრატმა შეიპყრა მათი მთავარი კვირიკე

და კახეთში თავისი ეპისთავი დააყენა. თავის სამეფოს შამოუერთა აგრეთვე სამეგრელოცა. სატასტო ქალაქად დრო-გამოშვებით იუენენ: ქუთაისი და უფლის-ციხე. თბილისს ამ დროს დიდი ფასი აღარა ჰქონდა, რადგანაც განათლებული ხალხი უფრო დასავლეთ საქართველოში სცხოვრებდა და თბილისში ჯერ ეიდევ ემირები ჰსცხოვრებდნენ. ბაგრატ III დრო ითვლება საქართველოს განახლების დროდ, რადგანაც ბაგრატი იუო გონიერი, ძლიერი და განათლებული. მეუფნეობა და სხვა და სხვა გვარი წარმოება ამ დროს კარგს მდგომარეობაში იუო საქართველოში; მცხოვრებთ რიცხვმა იმატა. მშვენიერს გეგმაზედ ნაშენი ტაძრები გამრავლდნენ შალალს მთებზედ და მშვენიერს ველებზედ. უჩინებულესი და უუმშვენიერესი ამ დროს საქარ. ტაძრებში —ქუთაისის ტაძარი, რომლის აგებაზედ მუშაობდნენ საბერძნეთის უკეთესი არხიტექტორები და ტაძარი ბედიაში, ოფხაზეთის საზღვარზედ, ცხადად გვიმტკიცებენ ბაგრატ III-ს აღმატებულს გემოვნებას და მის დროის ქართველების სიმდიდრესა. იუსტინიანეს ტაძართან, მარტვილში, ბაგრატმა აღაშენა მონასტერი, რომელიც დანიშნა ჭყონდიდელის ადგილ-სამყოფელად. ჭყონდიდელი იუო ჭყონდიდის, ანუ მარტვილის კათედრის ეპისკოპოზი. ჭყონდიდელი აღმოირჩევოდა იმგვარ პირთაგან, რომელთაც წინ უძღოდათ საზოგადო პატივისცემა ერისა განვითარებულის სწავლის-გამო და ზნეობითის სიწმინდისა-გამო. ჭყონდიდელს ჰქონდა მინდობილი უურადღება ქვრივ-ობლებზედ და დავრდომილებზედ, უსამართ-

ლო ქმნილებაზე და შეჭირვებულებზე. ამათი შუამდგომელი და მომსსენებელი იყო ჭეშმარიტი. ის იყო აგრეთვე სახელმწიფო მწიგნობართ უფროსი, ის უცხადებდა უმაღლეს მთავრობის ბრძანებას ეკკლესიის მონასტრებსა და სულის-უფლებსა (მოხელეთ), იგი მოიწვევდა ლაშქართა და იმათს საჭიროებას აცნობებდა მეფესა. გალაშქრების დროს ჭეშმარიტი ჯვარით სელში უწინამძღოლებდა ჯარებსა და შემდეგ კურთხევისა უკუბრუნდებოდა უფროსად უკანა-ბრძოლის ჯარზედ. ბაგრატმა განაძრავლნა ციხე ქალაქნი: ახალ-ქალაქი (ჯავახეთისა) და და ახალციხე ბაგრატ III-მის აშენებულნი არიან. სასულიერო და საერო განათლებაც ჰყვავოდა ამ დროს საქართველოში. თორნიკეს შვილმა ექვთიმემ ბერძნულიდგან და სხვა-და-სხვა ენებიდგან გადმოთარგმნა ქართულად 920 ცხრა-ას-ოცი სასულიერო და საერო წიგნები. ქართველების ახალგაზდობა მრავალი იგზავნებოდა საბერძნეთში განათლების მისაღებად და როდესაც ბრუნდებოდნენ საქართველოში, ერთგულად ჰფენდნენ სწავლა-განათლებასა თავის ძმათა-შორის. იერუსალიმშიაც აღაშენა ბაგრატმა მონასტერი ქართველთ მღოცავთათვის. ბაგრატმა დაიპყრა განჯა, ადერბეიჯანისა და სომხეთიდამ ხარკს ჰკრეფამდა. სპარსთა მეფე და ბიზანტიის იმპერატორი კასილი II მეგობრობას ეძიებდნენ ბაგრატთანა. ბაგრატ III გარდაიცვალა თავის სამეფოში მიმოსვლის დროს 1014 წელსა და დასაფლავებულია ბედიის ტაძარში. ბაგრატ III შემდეგ გამეფდა ძე მისი გიორგი I (1014—1027)

33. ბაგრატ IV, მე გიორგი I-ისა, მეფე ქართლისა და აფხაზეთისა. (1027 1072. წ.)

ბაგრატ IV დაიბადა 1018 წ. „იგი იყო ცხოველი სახე თვისის მამისა და ამასთანავე მინიჭებული სიმშვენიერებათაგან, რომელნიც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ და აგსწეროთ,“ ამბობს ქართული მატიანე. მამის სიკვდილის შემდეგ ბაგრატი დარჩა ცხრა წლისა. ბაგრატის მცირე-წლოვანობის მიზეზით საქართველოს მრავალი უბედურება მოელოდა: მესხეთში ასტეედა შეოთი და იქაური ერისთავები კონსტანტინე იმპერატორს მიემხრნენ, რომელმაც დაიჭირა მესხეთი თავის ჯარებით და აღაოხრა რამდენიმე ქალაქი და სოფელი. ბაგრატის მხარე დაიჭირეს ერისთავთ-ერისთავმა ლიპარიტ ორბელიანმა და ტბეთის ეპისკოპოზმა საბამ. პირველი ამათგანი ებრძოდა ბერძნებს კლდე-კართან, ხოლო მეორემ აღმართა სიმაგრე ტბეთის შესავალში. იმპერატორის უეცარმა სიკვდილმა მოუღო ბოლო ამ ბრძოლასა. შემდეგი იმპერატორი რომანოზ III არგირი იყო მშვიდობის მოყვარე და არა ძვირის მთქმელი საქართველოზე. ამისათვის საქართველო უფრო დიდად დაუმეგობრდა საბერძნეთსა ბაგრატის დედის-მარიამის მეცადინეობითა. მა-

რიაში გაემგზავრა კონსტანტინეპოლში, სადაც სხვა საქმეთა შორის ითხოვა თავის შვილის ცოლად იმპერატორის დის-წული—ელენე. იმპერატორი დაჰსთანხმდა თხოვნაზედ; მიანიჭა ბაგრატს ძველის ჩვეულებისა-მებრ ლირსება კურატ-პალატისა და მიჰსცა ბაგრატს ოქრის ბულლა საქართველოსთან მეგობრობაზედ. ელენეს მზითვად სხვათა-შორის მოჰყვა საქართველოში ერთი ლურსმანი, რომლითაც მისჭვალეს ჯვარზედ მცხოვარი და ოქროსის მღვთის-მშობლის სატი, რომელიც ამ უამად დაცულია ქ. გორში. 1038 წ. ერისთავების ლიპარიტ ორბელიანის და ივანე აბაზაძის რჩევით ბაგრატმა შეკრიბა ჯარი, მოიწვია შემდეგ კახელნი და მოინდომა ტფილისის ემირის განდევნა და მისის საგანმგებლოს თავის სამეფოსთან შემოერთება. ამისათვის ბაგრატმა შეკრიბა ჯარი და ორის მხრით შემოერტყა ტფილისსა. მტკვრის მარჯვნივ დაიბანაკეს აბხაზ-ქართველებმა; მარცხნივ-კი კახელებმა. ამ მდგომარეობაში გაატარეს ორი წელიწადი. ემირი დათვით ქალაქის მცხოვრებნი ისეთ-ნაირად შესწუხდნენ, რომ ვირის ხორცს, რომელიც ლირდა ას (100) დრაჰმად ისეიდებოდა, დაუწყეს ჭამა. ტფილისის მცხოვრებთ გადასწყვიტეს დამორჩილება ბაგრატისადმი და ემირსაც მზადა ჰქონდა ტიკები და ბარქაზები (ნავ-ტიკები), რომლებითაც აპირებდა ღამე გაპარვასა ტფილისიდგან, განჯისაკენ.. მაგრამ საქმემ სულ სხვა ნაირი მიმართულება მიიღო. ათაბაგთის დიდებულთ ფრიად ეთაკილებოდათ, რომ ეს საქმე ლიპარიტის რჩევით სრულდებოდა და თანაც ეშინოდათ მისის განმლიერებისა. ამისათვის მათ

ურჩიეს ბაგრატს ტფილისის დატოვება ისევ ემირის-ჯაფარის განმგებლობაში, სანამ ო

ცოცხალი იქმნებოდა. ბაგრატმა უსმინა მათ ლაპარიტის დაუკითხავად და დაითხოვა ათხაზთა ლაშქარი. ჯაფარი დარჩა ისევ ტფილისის ემირად თავის სიკვდილამდე... თუმცა ორის წლის შემდეგ ჯაფარი გარდაიცვალა და ტფილისიც ბაგრატმა დაიჭირა, მაგრამ ეს გარემოება კი გახდა მიზეზად იმ ხანგრძლივის და საქართველოს დამღუშველ, დამაუძლურებელის ბრძოლისა, რომელიც ასტუდა ბაგრატისა და ლიპარიტის შორის... ლიპარიტს ფრიად ეწყინა თვისის აზრის ჩაფუშვა და ათხაზთა დიდებულთ გამარჯვება მეფის წინაშე...

როდესაც მეფე ტფილისში იყო საქმეებში გართული, ლიპარიტმა დაიწყო ბრძოლისათვის მზადება ბაგრატის წინააღმდეგ. ბაგრატი და მისნი მხლებელნი, ერთგულნი ფრიად შესწუხდნენ ამ ამბითა; რადგანაც იცოდნენ, თუ რა ხასიათის კაცი იყო ლაპარიტი, რა ძალი და მძლავრობა ჰქონდა და რა მტერობა შეეძლო მას მეფისადმი... ლიპარიტმა გამოჰსთხოვა იმპერატორს ჯარი, გამოიხმო სტამბოლიდამ ბაგრატის ძმა დიმიტრი (წინაპარი თამარის მეორე ქმრის დავით-სისლანისა), რომლის სახელითაც მიიმხრო თავისაკენ მრავალნი ქართველნი, ლიპარიტის მხარე დაიჭირეს კახელთაც. ლიპარიტის ჯარი მოადგა პირველად ქ. ატენსა (ამ კამად სოფელის ქ. გორთან, ს. ხიდის-თავის თავში). მაგრამ რადგანაც ატენი კარგად იყო გამაგრებული და მცველნიც-დარაჯნიც მეფის ერთგულნი და ფრიად მხნენი იყვნენ,—ამ ქალა-

ქმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ლიპარიტსა. ბაგრატი ამ დროს ჯავახეთში იყო და ამაგრებდა ქ. ახალ-ქალაქსა. რადგანაც ზამთარმა უსწრო და ომის გაგრძელება შეუძლებელი გახდა, ბერძნები თავის სამშობლოში დაბრუნდნენ; საბერძნეთშივე დაბრუნდა დიმიტრიცა. შემდეგ რამდენისამე დროისა ლიპარიტმა კვალად შეკრიბა ჯარი, დაიპყრა დედოფლის ქალაქი ანი და შეიპყრო ყველა იქ მყოფნი ქართველთ დიდებულნი, და ამათ შორის ივანე დადიანიცა, უძველესი ისტორიისაგან ცნობილი დადიანთაგანი. ლიპარიტმა მიიმხრო სომეხნიცა და ომი შუაგულ ქართლში გადმოიტანა. ბაგრატი და ლიპარიტი შეჭიდნენ ხასიერეთის ტყის შესავალში; რადგანაც ბაგრატმა მესხეთის ჯარს არ მოუცადა და მხოლოდ მცირედის ქართველების ჯარით და 700 ვარიაგით შეებრძოლა ლიპარიტის ჯარსა,—დამარცხებულ იქმნა. შემდეგ ამისა ლიპარიტი უფრო განძლიერდა, მაგრამ დიმიტრი—ბაგრატის ძმა კი გარდაიცვალა. მეორე ბრძოლაც წაგო ბაგრატმა. ლიპარიტმა დაიპყრა მთელი მესხეთი 1046 წ. იმპერატორმა შეარიგა ბაგრატი და ლიპარიტი ერთმანერთთან: ბაგრატი ისევ მეფედ დარჩა და ლიპარიტი თავის სამფლობელოში უნდა დამყარებულიყო. მაგრამ ლიპარიტი უსაქმოდ ვერ მოისვენებდა; ამისათვის იგი იმპერატორის მიწვევით წავიდა საბერძნეთში და იქ მიიღო სპასალარობა იმ ჯარისა, რომელიც ოსმალების წინააღმდეგ იყო დანიშნული. მრავალ-ჯერ გამარჯვების შემდეგ ლიპარიტი მოჭედეს ტუკად ოსმალებში და შემდეგ თავისუფლებისა დაბრუნდა სტამბოლში და იქ შეიმოსა

ბერობა. ლიპარიტი გარდაიცვალა 1064 წ. და დასთვლავებულ იქმნა კაცხის მონასტერში, არგვეთის მაზრაში, რომელიც იყო ძველადვე ლიპარიტის გვარეულობის სამარხად და რომელსაც ჰყვანდა შეწირული 8070 სული ყმა და ჰქონდა ვრცელი მამულები....

34) II

თუმცა ბერძნები პირად მეგობრები იყვნენ ქართველთ მეფეებისა, მაგრამ საქმით კი ყოველს შემთხვევაში სცდილობდნენ საქართველოს დამცირებასა; მეტადრე მაშინ, როდესაც საქართველოს დაეტყობოდა ხოლმე შინაგანი ერთობა და მით გარეგანი სიძლიერეცა. ბაგრატის დროსაც ამ გვარად მოიქცნენ ბერძნები, როდესაც მიემხრენ ლიპარიტსა. „ლიპარიტისადმი მიმხრობით ბერძნებს უნდოდათ დაესუსტებინათ საქართველო, რომელიც უფრო-და-უფრო ერთდებოდა და ძლიერდებოდა; იმპერატორს ჰქონდა აზრად ჩვენის ქვეყნის დამონავება; მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ დრო შეიცვალა; ის კი აგიწყებოდა, რომ თვით ბუნების კანონებისაგან იყო განწესებული, რომ ერთხელ ჩვენ ქვეყანასაც უნდა ეგემოვნა სიტკბოება ერთობისა და მტკიცედ დამყარებისა. შეოთის ატეხვა საქართველოში ამ დროს დროებითი იყო მაშინდელ მდგომარეობაში. შეოთისა და სისხლის ღვრას ორისაგე სიძულვილი უნდა აღეძრა ქართველებში, ეგრძნობებინა იმათთვის საჭიროება და სიკეთე საზოგადო თანხმობისა საშობლო მამულში. ამ დროს საბერ-

ძნეთი (ვიზანტია) სუსტდებოდა და იშლებოდა; არა-ბებმა დაჭარგეს ძალა და ოსმალნი ჯერ არ იყვნენ სა-შიშნი... ამავე დროს ბაგრატიონთ აღმოიჩინეს ხასიათის სიმტკიცე და თვით ამ დროის ქართველნიც იქამდინ იყ-ვნენ შესწავლულნი და განვითარებულნი, რომ საკმაოდ გრძნობდნენ თუ რაში მდგომარეობდა მტკიცის ბედნიე-რება და ამისათვის ყოველთვის აძლევდნენ შემწეობას თავის მეფესა. ამასთანავე ადგილობრივნი მთავარნი და მთელობელნი მოუძღურდნენ ბაგრატთან ბრძოლაში; ამი-სათვის მარტო ლიპარიტი ველარას გააწყობდა, თუმცა ისე შემძლე კი იყო, რომ უწესოების მოხდენა შეეძლო, მაგრამ დღეს თუ არა, ხვალ ისევ წესიერება დამყარდე-ბოდა. მაშასადამე რაც უნდა ცდილიყო, იმპერატორი საქართველოს დამცირებას ველარ მოახერხებდა. ლიპარი-ტის მიმხრობით იმან მხოლოდ უპატიოსნება და უსინ-დისობა აღმოიჩინა"... 1050 წ. თვით ბაგრატ IV თავის დედით წავიდა კონსტანტინოპოლში და სამდურავი გა-მოუცხადა იმპერატორს ამ სიტყვებით: „შენ იცოდიო ჩემი კანონიერი უფლება ტახტზედ, მაგრამ ავათ მომე-ქცეო; შენ დაარღვიეო ვაშირი და მეგობრობა იმისთანა შემძლე ქვეყანასთან—აბაზგიანთან (ასე უწოდებდნენ ბე-რძენნი აბხაზეთსა) და მიემხრე ჩემს მეშფოთე ქვეშე-ვრდომთანა"... ბაგრატმა არც კახელთ აპატივა ლიპარი-ტისადმი მიმხრობა: წაართვა კახეთის მეფეს ჭერეთი და ქიზიყი და მხოლოდ საკუთარი კახეთი დაუტოვა მას... თუმცა შინაური შფოთი და სისხლის ღვრა შესწყდა სა-ქართველოში, მაგრამ 1064 წ. ახლა გარეშე მტრები—

ოსმალები შემოესივნენ საქართველოში არბ-ასლანის წინამძღოლობით. 100,000 ოსმალოს ჯარმა გაიარა და აღაოსრა შავშეთი, კლარჯეთი და თაო. ბაგრატი ამ დროს იმყოფებოდა თაოში და აქედგან გაიქცა ქართლში, არბ-ასლანი მიადგა ახალ-ქალაქსა და სამის დღის მამაცური ბრძოლის შემდეგ ქართველნი დამარცხდნენ და ციხეც ოსმალთ დაიპყრეს. ოსმალთ მეკინკარებას არა ჭქონდა საზღვარი: არბ-ასლანმა შემუსრა აქ ყველანი და ყოველივე. აქედგან არბ-ასლანმა გაგზავნა დესპანი ბაგრატთან, რომელსაც ჭპირდებოდა მშვიდობასა იმ პირობით, რომ უკანასკნელს მიეთხოვებინა სულთანისათვის თვისი დისწული, ასული კახეთის მეფის სუმბათისა. შემდეგ შეიპყრა მრავალი ტყვე და დიდის დავლით დაბრუნდა სპარსეთში. ბაგრატმა ძალით წაართვა სუმბათს მისი ასული და გაუგზავნა არბ-ასლანსა. 1068 წ. არბ-ასლანმა ხელ-ახლად გამოიალაშქრა საქართველოზედ 500,000 ჯარით. მან დაიპყრა კახეთი, ქიზიყი და ჭერეთი. კახეთის მცხოვრებნი მთებში შეეფარნენ და კახეთის მეფე ახსარტანი კი დაემორჩილა მძლავრს მტერსა და მაჭმადიანობაც მიიღო. კახეთის და სომხეთის მეფენი წამოიყვანა თან და წამოვიდა ტფილისზედ, საიდგანაც ემირის ერთად დაბანაკდა მცხეთის მახლობლად და აქედგან გაგზავნა სხვა-და-სხვა საქართველოს კუთხეებში თავის ჯარების დასტები ასაოხრებლად. რაც ნათესი მინდვრები იყო, სრულიად ამოსწვეს და აღაოსრეს ოსმალთ; მრავალი ხალხი დახოცეს და დაატყვევეს; ყველგან ეყარა ქრისტიანთა მძოგრები, რომელთ აურიოლებული სული ჭსწამლავდა ჭაე-

ჩსა. რაც ჩოქ მთა-ტყეებში გაჩიზნული და შეფარებული სალხი იყო, იმათ ბოლო მოუღო შემოდგომის შემდეგმა მკაცრმა ზამთარმა. ბაგრატმა მოსთხოვა არეს-სულთნს შერიგება. არეს-სულთნმა დასდვა საქართველოს მძიმე ხარკი; დაიპყრა ტფილისი ლ ჩუსთავი, რომელნიც უბოძა განჯის მთავარსა—ფადლონსა და თვითონ სპარსეთში წავიდა. ფადლონმა და მისმა ჯარებმა დაიწყეს ტფილისის არე-მარეში ქართველების ცარცვა-გლეჯვა და ხოცვა. ქართველნი დიდად შესწუხდნენ და მიჰმართეს ბაგრატს შემწეობისათვის. ბაგრატი ჩამოვიდა აბხაზეთიდამ ქართლში და გაგზავნა რამდენიმე ჯარი კაცი ოსმალების დასათვალიერებლად. ლიპარიტის შვილის იოანეს და ქვაბულიშვილის წინამძღოლობით ქართველნი შეჰხვდენ ოსმალთ ჯარსა. დაწყო ბრძოლა წილკნის მახლობლად. იძლიენენ სპარსნი, შეუ დაიხიეს და შთაცვიდნენ ხევში (არაგვში?), სადაც იმალებოდნენ აბხაზთ მსროლელნი. აბხაზთ დაუშინეს ოსმალებს ისრები და სრულიად დაამარცხეს იგინი. ფადლონმა რამდენიმე კაცით მოასწრო გაქცევა, მაგრამ მალე შეეფრობილ-იქმნა ქართველთაგან და წაუყვანილ კახეთის მეფესთან. ბაგრატი ამ დროს ბოჭორმის ციხეში იყო. ბაგრატმა ჩამოართვა ფადლონს ჩუსთავი, ფარცხისი, აგარანი და სხვა ქალაქნი; გამოართვა მას 44,000 დრაჭკანი (დრაჭკანი—ხუთი შაურია); დაიჭირა ამანათად მისი ძმის-წული და სამი განჯის დიდებული; ხოლო თვით ფადლონი კი გაანთავისუფლა სულთანის თხოვნითა. მაგრამ ფადლონმა ისევ მალე დაიჭირა ბაგრატისადმი დათმობილი ქალაქები, რადგასაც უკანასკნელი

აბსაზეთში იმეორებდა. რა შეიტყო ბაგრატმა ეს ამბავი,—მოიწვიეს თვისი ცოლის-ძმა ოსეთის მეფე 40,000 ჯარით, ჩააბარა მას ქართველის ჯარიცა და გაგზავნა განჯის დასაპყრობად. ქართველთ აღარ სურს განჯა; იშოვეს მრავალი ტყვე და დავლა და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ სამშობლოში. ამ ჯარის შემწეობით ბაგრატმა დაიბრუნა თავდლონისაგან დაჭერილი ქალაქებიც. ამ ნაირად დროებით შესწყდა ბრძოლა გარეშე მტრებთანაცა...

(35) III

ბაგრატ მე-IV, ბუნებით კეთილი, მშვიდობისა და განათლების მოყვარე, სანგრძლივის ბრძოლის შემდეგ მიეცა თავის გულთადი ნატვრისა და სურვილის აღსრულებასა—საქართველოს განათლებასა და აღზრდასა. ამ აზრის შესასრულებლად ბაგრატმა გამოიხმო ივერიის მონასტრიდამ ჩინებული ქართველთ მწერალნი: იოვანე ხახულელი, წოდებული ოქროპირად, იოვანე პატრიკი, ჩინებული მჭევრ-მეტყველი, მთარგმნელი არისტოტელისა და პლატონის ფილოსოფიისა და გიორგი მთა-წმინდელი, რომელმაც დაასრულა წმ. ეფვთიმესაგან დაწყებული სამღვთო-წერილის თარგმანი. ამავე დროს გადმოთარგმნილ-იქმნენ წმ. მამათა ქმნილებანი და საეკლესიო კანონები. წმ. ეფვთიმისა და გიორგი მთა-წმინდელის ხელ-მძღვანელობის ქვეშ და იმათის მაგალითით მთელი გუნდი ქართველთ მშრომელთა დაუღალავად მუშაობდა და გადმოჰქონდა სამშობლო ენაზედ ურიცხვნი

განმარტებანი სამღვთო ქმნილებისანი, პატრიკი, რომელიც საბერძნეთში იყო გაგზავნილი მეცნიერების შესასწავლად, რა დაბრუნდა სამშობლოში, შეუდგა ბერძნულით ქართულად ფილოსოფოსების თარგმნასა. მაშინდელთ მწერალთ რიცხვში პატრიკიმ უველაზედ მეტი ღვაწლი დასდო საერო ენასა: ამან გაამშვენიერა ქართული საღიტერატურო ენა... ამავე დროს გავრცელდა საქართველოში ფილოსოფია, ღვთის-მეტყველება, სიტყვიერება, ამ სწავლა-განათლებას მიემატნენ სხვა-და-სხვა ახალნი ტოდნანი, შემოღებულნი და შემოტანილნი არაბთაგან: სხვა-და-სხვა გვარი ლექსთ-თხზულებისა და ლექსთწყობილებისა, რითმა; არაბული რიცხვები (ციფრები); გეოგრაფიული ტნობები სხვა-და-სხვა უცხო ქვეყნებზედ, შენობათა გეგმი და არხიტექტურა; ვაჭრობისა და სხვა-და-სხვა წარმოებათა წესები, აბრეშუმის ჭიის მოშენება და მოკვლა და სხვანი. ერთის სიტყვით ბაგრატის დროს განათლებამ და სხვა-და-სხვა გვარმა წარმოებამ ისე მკვიდრად გაიდგეს ფესვები საქართველოში, რომ მათმა სხივებმა თვით თამარ მეფის დროამდე მიაღწიეს... განუწყვეტელმა მტრებთან ბრძოლამ და საქართველოს ბედნიერების და კეთილ-დღეობისათვის დაუღალავმა შრომამ უდროოდ დაასნეულეს და ბოლო მოუღეს მეფეს ბაგრატსა. სიკვდილის წინად ბაგრატმა წარუდგინა საქართველოს დიდებულთ თვისი მემკვიდრე გიორგი და გარდაიცვალა ნოემბერში 1072 წელსა, 45 წლისა. ბაგრატი ფრიად შესანიშნავია ქართველთ მეფეთა შორის: იგი იყო მალალის გონებისა, სწავლის მოყვარე, გულ-კეთი-

ლი, მოწყალე ბრალეულთათვის და უხვი ღარიბთათვის. დაუვიწყარია ბაგრატს სამსახური საქართველოსადმი: ამან აღამაღლა სამეფო უფლება და დაუმორჩილა მას საქართველოს დიდებულნი; დასცა ტფილისისა და განჯის ემირნი; გამოიხსნა საქართველო ვიზანტიის დამოკიდებულებისაგან. ქართველნი ამ დროს იცნობებოდნენ გონიერების ნიჭით, სამხედრო ახოვანებით, მსნეობითის პატიოსნებით. ბერძენნი და ოსმალ-თურქნი ეძიებდნენ ქართველთ მიზიდვას სამსახურში და ასახუქრებდნენ მათ უმაღლესის სამსედრო და სამოქალაქო თანამდებობითა... ბაგრატ მე IV-ის დროს აშენდა საქართველოში მრავალი ტაძრები, რომელნიც ჩვენს დროშიაც-კი შესანიშნავნი ამიან თავის სიგრცითა, არხიტექტურითა და ხელოვნებითა, ამ გვარნი არიან, მაგალითად: სიონის ეკეკლესია სოფ. ატენში, ზარზმა, ნიკორ-წმინდა, კაცხი, სამთავისი, აშურიანი და სხვანი. ბაგრატ IV-ის დროსვე დასრულდა ბაგრატ III-ისაგან დაწყობილი ქუთაისის დიდშვენიერი ეკეკლესია. ბაგრატმავე დააფუძნა იერუსალიმში განთქმული ჯვარის მონასტერი, რომელიც აქამომდე ჰფლობს მამულებს საქართველოში (ბერძნების ხელშიკია!) უფალა ამ საქმეებისათვის ბაგრატ IV წოდებულია „მეფეთ-მეფედ“, ანუ თვით-მპყრობელად აბხაზთა, ქართველთა, სომეხთა და კახელთა და მთელის აღმოსავლეთის კურაპალატად.

---

36. გიორგი II, ძე ბაგრატ IV-ისა, მეფე აბხაზეთისა და ქართლისა 1072—1089.

ბაგრატ IV-ის შემდეგ გამეფდა შვილი მისი გიორგი II. გიორგი II ხასიათითა და თვისებით თავის მამას მიემსგავსებოდა და მრავალის სიკეთის მოტანაც შეეძლო საქართველოსათვის, მაგრამ მუდმივმა და განუწყვეტელმა არაბთა შემოსევამ არ მოაცალეს იგი სამშობლოს აღუვაებისათვის: იგი ყოველს ჟამს სმალ-ამოღებული იყო სამშობლოს დასაცავად. აღმოსავლეთ-დასავლეთი საქართველო სრულიად აოხრებული იყო მძვინვარე არაბთაგან. მტკვრისა და ალაზნის ნაპირებზედ დასახლდნენ ავაზაკი თათრები, რომელნიც არ ასვენებდნენ მშვიდობის მოყვარე და მწყურვალე ქართველთა. ტფილისი ოსმალთ ხელში იყო და ქუთაისი დამწვარი (1080). მეფე გიორგი II მწუხარებით უმზერდა თვისის სამეფოის აოხრებასა და ძვეშეკრდომთ უბედურობასა, მაგრამ ღონის-ძიებას ვერ ჭკოვებდა მტრის განდევნისათვის. ბოლოს თვით მეფე წავიდა მელიქ-შაჰთან, რომელმაც მეფის თხოვნით დრეებით შეაყენა საქართველოს აოხრება; მაგრამ ნაცვლად ამისა ქართველთ ფრიად მძიმე ხარკი დასდვა... ამ გვარს უბედურ მდგომარეობაში იყო საქართველო თორმეტის წლის განმავლობაში...

—

37. დავით III აღმაშენებელი, მე გიორგი II-ისა, მეფე აბხაზეთისა და ქართლისა 1089—1125

„ზეცა წყალობად, ნუგეშად, ივერსა გაოხრებულსა
მეფედ მოუვლენს დავითსა, ზეგარდმო ხიერმით-ცხებულსა,
მხედართ-მთავართა უძლეველს, გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-ჩაგონებით განსწავლულს, ენა-მდინარე მეტყველსა!

„დავით ჭსთქვი: „იყავნ ქალაქნი!“ და აღმოსცენდნენ ქალაქნი!
განგლე უდაბნო, ოხერი,—სავსე დაბებით შეჭმენი!
დაჭკარ წერაქვი და აღჩნდნენ ტაძარნი ტურფად ნაშენნი!
მუნ შენთან ღმერთსა ჭმადლობენ გალობით შენნი ივერნი!

„ხმა ჭყავ და აღსდგა ივერი ფენიქსებრ განახლებული,
დიდებით სხივით შემოსილ, მშვიდობით აღუკაკებული!...
აღმხედრდი ლაშქრად და ილტვის სულთანი შეძრწუნებული,
შირვან, დერბენდი ჭყავ საზღვრად შენის ხმლით შემოსაზული!...

გრ. ორბელიანი.

«საღლეგრძელოდამ.»

დავით-აღმაშენებელი თექვსმეტის წლისა იყო, როდესაც საქართველოს ტახტზედ ავიდა. ქართული სრულიად დაცარიელებული და აოხრებული იყო არაბთაგან. ტფილისი, რუსთავი, მთელი სამშვილდე, თალ, თრიალეთი და კლდე-კარნი (წალკა) თურქ-ოსმალთა ხელში იყო. იმერეთში, თვით ქუთაისში საბერძნეთის იმპერატორები თავის ნებაზედ განაგებდნენ საქართველოს საქმეებსა. მხოლოდ აბხაზეთის მთები და ხეობები-და იყვნენ მეფეთა და ხალხის თავ-შესაფარი ადგილები... მეფის სამყოფ ადგილად ითვლებოდა თეგულის-თავი, ლიხის მთის ძირში, იმერეთის მხარეს. ამავე დროს ტფილისის არემარეში მცხოვრები არაბ-თათრები შეუბრალებლად და დაუწყნარებლად აოხრებდნენ ქართლ-კახეთსა: ნაყოფიერი და ოდესმე აღყვავებული საქართველოს ველნი უდაბნოებად იყვნენ გარდაქცეულნი ამ დროს; მართლ-მსაჯულების მაგივრად უსამართლობა მეფობდა და ხალხი, ქრისტეს სარწმუნოებისათვის თავ-განწირული ქართველი ხალხი სარწმუნოებაშიც კი ვერა ჭეშვებდა ნუგეშსა!... ამ გვარს უბედურს მდგომარეობაში იყო საქართველო იმ დროს, როდესაც დავით III გამეფდა... როგორც იქნა ევროპიის ქრისტიანებმა გამოუცხადეს მაჭმადიანებს სარწმუნოებრივი ბრძოლა და გაემართნენ იერუსალიმისაკენ *) არაბთ გამოიყვანეს საქართველოდგან თვისი ჯარები და გაგზავნეს იერუსალიმისაკენ-ვე ევროპიელთა წინააღმდეგ. გაიმართა «ჯვაროსნობის ომები»... როდესაც დავითმა

*) იხილე სტატია «ჯვაროსნების ომები.»

შეიტყო ევროპიელთაგან იერუსალიმის დაპყრობა და მაჰმადიანთა დამარცხება; ცოტა არ იყოს გული მოეცა და იმედი ჰქონია საქართველოს ოსმალთაგან გამოხსნისა და თვითონაც მაშინვე შეუდგა საქართველოს განთავისუფლების საქმესა. თუმცა ბერძენნი ყოველს ღონისძიებასა ჭსმარობდნენ საქართველოზედ თავის გავლენისა და უფლების გასაგრძელებლად, მაგრამ ამ გვარი ბერძენთ განზრახვა დავითმა თავის შორს-მხედველობის, კეთილგონიერების, მტკიცე ხასიათის და ვაჟ-კაცობის წყალობითა ფუჭად ჩაატარა. დავითმა თვითონ დაიპყრა პირველი ადგილი იმერეთ-აბხაზეთის სატახტო ქალაქ ქუთაისში და აღვიდა თავის წინაპართ ტახტზედ რიგრიგ მეფეთ-მეფე... საქართველოში მყოფ ოსმალ-თათრთაგანნი, ზოგი დაამშვიდა და დაიმონავა, ზოგიც სრულიად განდევნა საქართველოდგანა და მათი ადგილები დაუბრუნა კანონიერს მფლობელებსა. ტფილისი წაართვა მაჰმადიანებსა და მეჩეთების მაგივრად ისევ ეკლესიები აღადგინა. თუმცა არაბ-სელჯუკებმა დიდი ჯარი გამოგზავნეს დავითის წინააღმდეგ, უნდოდათ კვალად საქართველოს დაპყრობა, — მაგრამ 1500 ვაჟ-კაცმა ქართველმა საშინლად დაამარცხა მტერი, გაფანტა და განდევნა იგი საქართველოდგანა; რაც-კი რამ სურსათი და განძეულობა მოეპოებოდა ამ მტერსა, — სრულიად ქართველთ დარჩათ. კახეთი და ჭერეთიც შემოუერთდნენ დანაშთენს საქართველოსა; კახეთის მთავარს კვირიკე IV დავითმა წაართვა ციხე ზედა-ძენი (1101 წ.); შემდეგ (1155 წ.) გააუქმა კახეთ-ჭერეთის სამთავრო და შეუერთა თავის სამეფოსა. დიდის-ხნის

განცალკევებულმა მხარემ აღიარა დავითი მთელის საქართველოის ღირსეულ მეფეობელად და დიდის აღტაცებით მიიღო იგი. თვისის სამეფოის მტერთა განდევნით დავითმა გააფართოვა საქართველოს საზღვრები შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე; დარუბანდი დაიდვა მაგარ ციხე-ქალაქად იმ ხეობისა, რომელზედაც გადიოდა ერთად-ერთი გზა ველურის ხალხების გასავალ-გამოსავლელად,

შირვანი, რანი და მოვაკანი ხელ-ახლად შემოუერთდნენ საქართველოსა და სომხეთის საზღვრად მდ. არეზი დაიდვა. ძველა-მოსილმა მეფემ შავის ზღვის ნაპირებზედ ანატოლიაში და ტრაპიზონშიც-კი დასტოვა ქართველთა ძლიერების და თვისის დიდების ძეგლები. წაართვა არაბებს თარ; ხოლო სომხებს, საქართველოში ავაზაკურად შემოსეგისათვის, წართვა მათი საცხოვრო ქალაქი ანი. დავით III-ს ჰყავდა მხოლოდ 40,000 კაცი ჯარი და ამ მცირედის მხედრობით მან აღასრულა დიდი საქმე: შეაერთა საქართველო ერთ სამეფოდ და შემოხაზა იგი ძველის საზღვრებით: შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე და კავკასიის მთა-გრეხილიდამ მდ. არეზამდე!...

ვერც ერთი საქართველოს მტერი ველარ ჰბედავდა საქართველოში შემოსევასა მის შემდეგ, რაც დავითმა უკანასკნელი ოსმალთა შემოსევა გააუქმა და დაამარცხა. თუმცა ოსმალთა და სპარსთა კიდევ რამდენჯერმე გამოიალაშქრეს დავითის წინააღმდეგ, მაგრამ უკანასკნელმა ყოველგან ყ ყოველთვის დაამარცხა მტერი: მუხნარ თარ,

ერეზი, მტკვარი, მანგლისი, დიდ-კარნი (1115—1121) და სხვა ადგილები, შესანიშნავნი დავით-აღმაშენებელის გამარჯვებით ოსმალ-სპარსებზედ, შთამომავლობას უმოწმებენ, თუ ვითარი ძლიერი, უძლეველი და დიდებული ოთხილა დავით III თავის ქართველებითურთ!... ტანად მაღალი და ძლიერი (ლონიერი), დავითი აღვსებული იყო სულგრძელებითა. ბრძოლაში ყველაზედ წინ იყო ყოველთვის, მაგრამ მისმა ძლიერმა მარჯვენამ არ იცოდა მახვილის გაცდენა და დაღლა. მისი ხმა მიემსგავსებოდა ლომის გრგვინვასა... ოსმალები და სპარსები ყოველთვის და ყოველგან დამარცხებულნი, ქართველი მხედრობის ხელში სტოვებდნენ მრავალს ტყვეებსა და სიმდიდრესა, რომლითაც დავითმა აღავსო და გაამდიდრა თვისი სამეფო... ყოველთვის მტრებზედ გამარჯვებით გაქცეულთ ქართველთ განიზრახეს გალაშქრება და იერუსალიმის გამოსახსნელად ევროპიელების ერთად ბრძოლა მაჭმადიანთა წინააღმდეგ; განიზრახეს ეს აღასრულეს კიდეც: თუმცა პირველი წყობა ქართველის ჯარისა, წასული იერუსალიმისაკენ, აღელვებულმა ზღვის ზვირთებმა შთანთქეს; მაგრამ ამ უბედურმა შემთხვევამ მაინც ვერ დააშლევინა ქართველებს თვისის წმინდის განზრახვის აღსრულება: მეორე წყობა ქართველთა ჯარისა მშვიდობიანად მიეიდა იერუსალიმში, სადაც თავ-განწირულად იბრძოდნენ ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად... დაუღალავის შრომის, ძლევა-მოსილის მხედრობის და თვისის გონიერების წყალობით დავითმა თვისი სრულიად ახარებული არაბთაგან სამეფო იმ სიმაღლეზედ დააყენა და ისე განა-

ძლიერა, როგორც მხოლოდ ვახტანგ-გორგ-ასლანის დროს იყო. დავით-აღმაშენებელის სამეფოის საზღვრები იყვნენ: დასავლეთით-შავი ზღვა და ტრაპიზონი; სამხრეთით — არარატის მთა; აღმოსავლეთით — კასპიის ზღვა; ჩრდილოეთით — კავკასიის მთა-გრეხილი. მეფე დავით სამხედრო საქმეებთან არ ივიწყებდა აგრეთვე საერო და საერო განათლებასაც. არათერი უყვარდა დავითს ისე, როგორც სამღვთო წერილის და წმ. მამათა ქმნილებათა კითხვა. ეკკლესიურის საქმეთა წესიერად მსვლელობისათვის დავითი ჭმართავდა სამღვდელო პირთ ერილობებსა, რომელთა შემწეობით და აგრეთვე კონსტანტინეპოლის პატრიარქის დახმარებით საქართველოს შერეული ეკკლესია ისევ დამოუკიდებელ იქმნა. ერილობათა გარდაწყვეტილებანი ჩაწერილ იქმნენ ცალკე წიგნში—ნომოკანონში. დავითს განზრახვა ჭქონდა სომხეთისა და საქართველოს განცალკევებულ ეკკლესიათა შეერთებისა, მაგრამ სომეხთ არ მიიღეს დავითის წინადადება... რაიცა შეეხება ქართველების მაშინდელს საერო განათლებასა,— დავითმა არც ამ მხრით დასტოვა ქართველნი გულ-ნაკლულად: მის დროს რამდენიმე სამეცნიერო სასწავლებელი გაიმართა საქართველოში: თვით დავითის აღმზრდელმა და მოძღვარმა, ღირსმა მამამ არსენიმ (გვარად თ. ვაჩნაძემ), აღზრდილმა წმ. ჯვარის მონასტერში — და ზედ-მიწევნით მცოდნემ ბერძნულის, ასურულის და ებრაულისა, გადმოთარგმნა მრავალი სამეცნიერო წიგნები. ამავე არსენიმ დააარსა სოფ. იუალთოში — კახეთში (-თელავიდამ შვიდ ვერსზედაა) დიდი სასწავლებელი, რო-

მელშიაც ასწავლიდნენ: ფილოსოფიასა, მღვთის-მეტყველებასა, სიტყვიერებასა, უცხო ენებსა და სხვა მეცნიერებათა. რადგანაც დავით III მოწყალეც იყო, ამისათვის იგი ლარიბთა ს დავრდომილთათვისაც ზრუნავდა: ამათთვის ჭმართავდა სადგომებსა და თავშესაფარებსა, სადაც თვითონ მეფეც ხშირად დაიარებოდა და ემსახურებოდა უძლურებსა. ძლიერი მეფე მტერთაგან შეძენილის სიმდიდრით აშენებდა და ამშვენებდა ეკლესიებსა და სასწავლებლებს ქართველ ახალ-გაზდობისათვის. უძვირფასესი და უდიდებულესი დავითისაგან აღშენებულ ტაძრებთა-შორის არის გელათის მონასტერი, ქუთაისის მახლობლად. იგი აღშენებულია უზარ-მაზარის თლილის ქვებითა და ერთი, ყველაზედ უდიდესი ქვა, სალხის გარდმოტემით, თვით დავით მეფის ძლიერის ხელით არის დადებული. გარდა ამისა, დავითმა განაახლა ხახულის მღვთის-მშობლის ტაძარი, მდებარე მდ. ჭოროხზედ და სინაის მთაზედ აღაშენა ეკლესია წმ. ეკატერინეს სახელზედ. საქართველოს აღდგინებისათვის დავით III წოდებულია „აღმაშენებლად"; ხოლო საქართველოს ეკლესიის აღდგენასა და ქრისტეს სჯულის დატვისათვის, ეკლესიამ შერიცხა ქართველთ წმიდათა შორის (დღესასწ. 26-ს ივნვარს). დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125-ს წელს და დასაფლავებულ იქმნა გელათის ტაძარში. შთამამავლობისათვის დაუვიწყარის მეფის დავით აღმაშენებელის საფლავის ქვაზედ ხუცურის ასოებით ამოჭრილია შემდეგი წმ. დავით წინასწარ-მეტყველის სიტყვები: «ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას

დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე» ფსალ. 131, მუხ. 14).

---

38) საქართველოს მეფენი: დიმიტრი I 1125—1155; დავით IV 1155—; გიორგი III 1156—1184.

დავით აღმაშენებელისაგან დაწყობილი საქმე—საქართველოს განძლიერება ⁄ განათლება, გაგრძელებულ იქმნა მის მემკვიდრეთაგან. ამათ შორის უფრო შესანიშნავია გიორგი III, ძე დიმიტრი I-ისა, შვილის-შვილი დავით აღმაშენებელისა. გიორგიმ მრავალი ქალაქები შესძინა საქართველოს თავის გონიერების და ნამეტნავად მამაცობის წყალობითა; ასე რომ ახლა საქართველოს საზღვრები უფრო გავრცელებულ იქმნენ, ვიდრე დავითის დროსა. გიორგიმ ისე ნაირად გაუწირა საქმე არაბთ სპარს-სომეხთ, რომ უკანასკნელთ არ იცოდნენ რა ექმნათ: ცალკ-ცალკე რომ ვერა დაეკლეს-რა, შეჭერეს მაჭმადიანთ შეერთებულის ძალით მოქმედების პირობა გიორგის წინააღმდეგ, შეკრიბეს ჯარები მთელის სამჭმადიანოდგან და წამოვიდნენ გიორგის წინააღმდეგ, გიორგი არ შეშინდა: იგი თავის მამაცის ჯარით პირველად თავს დაესხა მაჭმადიანთ შირვანში და საშინლად დაამარცხა. ამ გვარადვე დაამარცხა გიორგიმ მაჭმადიანები სომხეთში. შემდეგ, თვისთა წარჩინებულთა თხოვნით,

გიორგიმ თვითონ გაიღაშქრა მაჭმადიანთა წინააღმდეგ. თავისი ჯარი შვიდ წოობად განჭყო: პირველი წოობა გაგზავნა ვანში, მეორე არზრუმში, მესამე განჯისაკენ, მეოთხე ოლთისისაკენ, მეხუთე ალაზნის მტკვარზეთ-შესართავიდამ — შირვანამდის... მეშვიდე წოობით თვითონ გაემართა ქარალიანისაკენ (იმერეთისაკენ). ეს გალაშქრება ისე უეცრად და ჩინებულად გაათავა გიორგიმ, რომ ბეგუთის მცხოვრებნი განცვიფრებულნი დარჩნენ ქართველთა აგრე საჩქაროდ დაბრუნებით მრავალის საშოვარით და არ საჭიროდათ, თუ მეფემ მონაწილეობა მიიღო გალაშქრებაში... «ქართლის ცხოვრებაა» გვარწმუნებს, რომ საბერძნეთი, ინდოეთი, არაბეთი, ხორასანი, სირია, ეგვიპტე, იონია, ხაზარები, ალანები და სხვანი ეძიებდნენ გიორგი III-თან მეგობრობასაო... გიორგი III-ის დროს საქართველოში გადმოსახლდა ბიზანტიის იმპერატორის მანუილის ბიძაშვილი — ანდრონიკე — კომნენი, რომელიც გიორგიმ დაასახლა კახეთში და აჩუქა მას ადგილები. ეს ანდრონიკე-კომნენი გახდა წინაპრად თ. ანდრონიკა-შვილებისა.— რადგანაც გიორგი ყოველთვის ამარცხებდა მტრებსა,— მან შეიძინა მრავალი სიმდიდრე, რომლიდამაც, ზოგი სახელმწიფოო საჭიროებისათვის მოიხმარა, ზოგი (მომეტებული) დაფლა და შეინახა ქ. უჯარმაში თავის ერთად-ერთის ასულის თამარისათვის. თავისუფალს დროს გიორგის უყვარდა ცხენ-სიმაგრეთა შენება და ტაძრების გამშვენიერება. მისი განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეული იყო თვისის საფლავის ვარძიის გამშვენიერებაზედ... გიორგი III გა-

რდაიცვალა 1184 წელსა და თავის მემკვიდრედ დასტოვა თვისი ერთად-ერთი ასული — თამარი.

---

39) თამარი, ასული გიორგი III-ისა, 1184—1212 წ.

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თუალნი სიამის გამოამცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!

ვითარცა ღმერთა მშვენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების;
ვით ტრედი მადლის მშვიდი და წყნარი;
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი!

სსიგ-ცისკროვანი მისი გვირგვინი
უშურავს დიდებას და სათნოებას;
წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა მეფობას!

მის დროშას მოჭსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭეონდიდი,
მხედართ-მთავარი დიდი მხარ-გრძელი
და გამრეკელი ლომებრ გულადი!

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდებულ ლაშქარი:
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს ჭშვენის ბჯარი,

მკლავით ძლიერით ქართველი, კით ციხე-ბურჯი მაგარი,
ესი ფეხ-მარდი, მთიელი ბრძოლაში შეუპოვარი!
მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,
და შეილდოსნობით აბხაზი, გურული, მეგრი მკვირცხ-
ლობით!...
თამარი ლოცავს ჯვარითა, ჯარს ამხნევს გულის-უხვე-
ბით;
ბული მეფისა ზღვა არის, უსაზღვროება წყალობით!...
გალაშქრდენ, მისწვდნენ კარნუსა, ერთის შეტევით მი-
ლეწეს!
ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა, — მის ციხე ზღვაში გა-
რდაგდეს;
განვლეს არეზი, თავრიზი, ეთელანქუ გარდაიარეს,
და მტკვრი გალხრეებისა, ღვთის რისხვად ეაზმინს თავს
დაჭესეს!

ი. გრ. ორბელიანი
(«სადღეგრძელოდამ»).

საქართველოს მატიანენი არ ერთს საქართველოს მეფეს არა ჭეროვებენ თამარის შესადარსა, გარდა ვახტანგ-გორგ-ასლანისა და დავით აღმაშენებლისა და უწოდებენ მას „მეფეს“ და არა „მეფასა“ ანუ „დედოფალსა“ საქართველოისას. ტახტზედ ასვლის შემდეგ თამარმა დაიდგა თავზედ წინაპართ გვირგვინი ქ. ტფილისში. ქუთაისის მთავარ-ეპისკოპოზმა ანტონმა მიართვა გვირგვინი; რაჭის ერისთავმა კახაბერმა შემოარტყა ხმალი, რომელიც მიართვეს თამარს იმერეთის უხუცესთ და უწარჩინებულესთ თავად-აზნაურთა: გარდანიძემ, ს-

გერიძემ, ამანელიძემ და სხვათა. თამარის დროის დამ-
მშვენებელ წარჩინებულ პირთა შორის ღირს-საცნობნი
არიან შემდეგნი: სპასალარი სარჭის მსარგრძელი; შვილი
სარჭისისა, თამარის მხლებელი ივანე; სახლთ-ხუცესი
ჭიაბერი; თოფხანის უფროსი კახაბერ ვარდანიძე; სასა-
ხლის მოსამსახურეთა უფროსი ვარდან დადიანი; მეფის
სუფრაჯი მარუშიანი, შეკინიბეთ უხუცესი გამრეკელ
თორელი, რომელიც შემდეგ სარჭის მსარგრძელისა სპა-
სალარად გახდა. ერისთავებად იყვნენ: სვანეთისა — ვარ-
დანიძე, რაჭისა — კახაბერ კახაბერიძე, აბხაზეთისა —
დოთაჩოს შარვაშიძე, სუხუმისა — ამანელიძე, ოდიშისა
— ბედიანი, ქართლისა — რატ სურამელი, კახეთისა —
ბაქარ კომაშადანიძე, ჭერეთისა — ასათ გრიგოლიძე, სა-
მცხისა — ბოცო ჯაყელი... დასახელებულ გვამთ უპირა-
ტესობა გამოიხატებოდა მით, რომ მათ უფლება ჰქონ-
დათ სასახლეში ბალიშებზედ სხდომისა იმ დროს, რო-
დესაც დანაშთენნი გვამნი ფეხზედ უნდა მდგარიყვნენ...
თამარმა თავის წარჩინებულთა ჩრეკით შეირთო რუსის
მთავრის ანდრია ბოღოლიუბსკის (მღვთის-მოყვარისა)
შვილი გიორგი. გიორგის დროსვე თამარმა მრავალი
ადგილები შეჰმატა საქართველოსა, რადგანაც თითქმის
ყოველთვის იმარჯვებდნენ ქართველები ჩინებულის მხვ-
დართ-მთავარის სარჭის მსარგრძელის წინამძღოლობა-
თა...

თამარისა და გიორგის ცოლ-ქმრობის საქმე ჯერ
კარგად მიდიოდა; მაგრამ შემდეგ რამოდენისამე დროისა
გიორგი ზნეობით გარყვნილებისა გამო შეექმნა ულირსი

თამარის ქმრობისა და ამისათვის დატოვებულ იქმნა და განდევნილ საქართველოდგან. გიორგი წავიდა კონსტანტინეპოლში და აქ სცდილობდა დაკარგულის ტახტის დაბრუნებასა. თამარმა ქართველთ ვედრებით და თავისგან მოწონებით შეირთო მეორე ქმარი, დავით სოსლანი, ბაგრატიონთ გვარისა (დავით სოსლანი იყო შთამოამავალი ბაგრატ IV ძმის დიმიტრისა). თამარი თავის სამეფოს შინაურ საქმეებში იყო გართული; საქართველო მშვიდობიანობით და მეუდრეობით ჭსტებებოდა. ამ დროს კონსტანტინეპოლში მეფემა გიორგიმ გამოჭსთხოვა ვიზანტიის იმპერატორს ჯარი და წამოვიდა საქართველოს დასაპყრობად. გიორგის მიემხრენ თითქმის ყველა იმერეთის ერისთავები, აგრეთვე კლარჯეთიც. განდგომილთ აღარ ხრეს ზოგი-ერთი ქართლის სოფლები და ტფილისისაკენ წამოვიდნენ. თამარმა შეიტყო თუარა ეს ამბავი, შეკრიბა ჯარი და სპასპეტის გამრეკელის წინამძღოლობით გაგზავნა აჯანყებულთა წინააღმდეგ. გამრეკელმა პირველს მისვლაზედვე დაამარცხა და გაფანტა აჯანყებულთა მხედრობა და გიორგი განდგომილ ერისთავებითურთ შეიპყრა და წარუდგინა თამარს. ამ შემთხვევაში თამარმა ჩვეულებისამებრ დიდი სულ-გრძელება და მოწყალეობა გამოიჩინა: ყველა დამნაშავეთ მიუტევა დანაშაულობა და აპატივა; გიორგი-კი ისევ სტამბოლში დაბრუნდა, საიდანაც იმპერატორმა განდევნა. შემდეგ გიორგისა არ არის აღწერილი მემატიანეთაგან... რაკი თამარმა დაამშვიდა აჯანყებულნი, განიზრახა სპარსთა და სარაკინების სამუდამოდ დაუძლურება და დამშვიდება.

ამისთვის შეკრიბა ჯარი, რომელიც დაკითის წინა-მძღოლობით გაგზავნა სამხრეთ საზღვრებისაკენ, სპარსეთისაკენ, სადაც ქართველთ მრავალი ციხე-ქალაქები დაიპყრეს. გალაშქრებაში ქართველთ იშოვეს 12,000 ტფეკი, 2000 ცხენი, 17,000 ჯორი, 15000 აქლემი, დატვირთული საქონლითა და მრავალი ოქრო-ვერცხლის განძეულობა. შემდეგ ქართველთ წაართვეს საარაკინებს ქ. ეარსი, რომლის გამგებლად თამარმა დაუყენა იგანე ასალციხელი. ქართველების განძლიერებით შეშინებულმა ეგვიპტის ძლიერმა სულთანმა ალეპპა-ნურედინმა, ამბობენ, შეკრიბა **700,000** ქვეევითი ჯარი და **100,000** ცხენოსანი და გამოიალაშქრა საქართველოზედ. როდესაც ალეპპა საქართველოს საზღვრებთან მოვიდა, გამოუგზავნა თამარს დესპანი და შეუთვალა: დიდის ძალით მოვდივარ შენის ქვეყნის დასაპყრობათა; თუ შემირთავ და საქართველოც გამაჭმადიანდება, — მხოლოდ მაშინ შეგიწყნარებ ქართველთა... დასრულა თუ არა დესპინმა სულთანის შემონათვალი,—ამ დროს სასახლეში მეოთვმა ზაქარია მხარ გრძელმა ისეთი ლაზათიანი სიტყვა სტეიტ დესპანსა, რომ იგი მაშინათვე უგრძნობელად დაეცა და, შემდეგ მოსულიერებისა—შერცხვენილი დაბრუნდა თავის მბრძანებელთანა... თამარის ბრძანებით შეკრბა ლაშქარი და, დავითის, ზაქარია მხარგრძელის და იგანე და შალვა ამილახვრების წინამძღოლობით გაემართა შირვანისაკენ. თვით თამარმა ქ. ვარსამდინ გაიტანა ქართველთ მხედრობა... დაინახეს თუ-არა ქართველთ ალეპპას ჯარი,— შირველად თვითონ ეკვეთნენ ლ ტოტას სანში ისინლად

დაამარცხეს სარაცინები. გარდმოცემის სიტყვით ქართველებმა იმდენი ტყვე იშოვეს, რომ თვითეულს ქართველს ოც-ოცი სარაცინი შეჭირდა! რაიცა შეეხება საშოვრსა, დავლასა, — სულადისა და ხორაგეულობის გარდა იმდენი ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი იშოვეს, რომ გარდმოცემის სიტყვით, მეფის სუფრაზედ სრულიად ოქრო-ვერცხლის ავეჯეულობასა ხმარობდნენ ლ ძვირ-ფასს ქვებს საწყალთი ჭსწყვდნენ.

შექენილის სიმდიდრით თამარი ამკობდა და ამშვენებდა საქართველოს ტაძრებსა; ხშირად უცხო ქვეყნებში მეფეთ მართლმადიდებელთა უდაბნოებში ჭგზავნიდა. თამარმა წაართვა ბონტო საბერძნეთის იმპერატორსა, მიჭსცა ალექსი კომნენსა (ანდრონიკეს შვილსა) და, როდესაც კონსტანტინეპოლი ლათინთ დაიპყრეს, — თამარმა დააარსა ტრაპიზონის იმპერია თავის განმგებლობის ქვეშ... მრავალი ეკლესიები და ციხე-ქალაქები მაღალს, თვალაუწვდენელს მთა-კლდეებზედ მოგვითხრობენ დიდის თამარის დიდებულს მეფობაზედ! თამარმა აღაშენა (დაასრულა) კარძიის მონასტერი და სამების ეკლესია ალვანში, ალაზნის მარცხენა ნაპირზედ, სადაც ახლაც, 700 წლის შემდეგაც-კი ეტყობა დიდ პალატთა ნანგრევები! ალვანში უფარდა თამარს შრომის შემდეგ თავისუფალის დროის გატარება... 1210 წ. ქართველთ დაიპყრეს გარდაბული ადრიბეჯანში; ამავე წელს მსარგრძელის რჩევით თამარმა გაგზავნა ჯარი ხორასნის დასაპყრობად. ქართველებმა დაიპყრეს ჯულფი, თავრიზი, ხორასანი და, რა იგრძნეს, რომ მომეტებულის საშოვრის გამოისობით შეუ-

ძლებელია ლაშქრობის გაგრძელება—მოიქცნენ საქართველოში. თამარის ხელის უფლება გავრცელდა ყველა მთის ხალხებზე, რომელნიც იხდიდნენ დადგენილს ხარკს საქართველოს სასარგებლოდ. ყველა საქართველოს მდინარეთა ნავსადგურები აღუვავებულნი და განცხოველებულნი იყვნენ თამარის დროს მრავალ გვარის წარმოებითა, გაჭრობითა, მეურნეობითა; ერთის სიტყვით ქართველთა სიცოცხლე დუღდა თამარის დროსა. რაც თამარის წინასწართ დროს ხელოვნება, სწავლა-განათლება, მეურნეობა ვაჭრობა ან სხვა ყოველ-გვარი ცოდნა შემოსულა საქართველოში, მხოლოდ ესლა, თამარის დროს, მიაღწიეს თავის უმაღლეს წერტილამდინ, უმაღლეს და უკეთესს განვითარებამდინ! .. პოლიტიკურ მდგომარეობით, მოქალაქეობრივის ცხოვრებით, სხვა-და-სხვა წარმოებათა გამრავლებით და განვითარებით, ხალხის სიმდიდრით, ტაძრ ციხე ქალაქების მშვენიერებით და სწავლა-განათლებით თამარის მეფობის დროს არც ერთის საქართველოს მეფის დრო არ შეედრება და არ მისწვდება; ასე რომ მხოლოდ თამარის დრო ჩაითვლება «ქართველთათვის ბედნიერ დროდ». თამარმა განამრავლა სასწავლებელნი; თამარი იყო მფარველი ყოველის მშრომელის კაცისა და ნამეტნავად სარდლებისა და თვისის დროის ჩინებულთ ძწერალთა და მოღვაწეთა. თამარის მეფობას შეამკობდნენ და უმღერდნენ: მოსე ხონელი, ბჭე-მდივანი თამარისა. ამან დაწერა მოთხრობა «ამირან დარეჯანიანი»... დიდარგეთ-საბრის-ომოგველი, რომელმაც სთარგმნა სპარსულიდგან მოთხრობა «ვისრამიანი». აბდულ-მესია შავთელი, სა-

ხელმწიფო მწერალთა უფროსი (სახელმწიფო სეკრეტარი) და უკეთესი მდივანი თამარისა. ამან დასწერა პოემა «თამარ მეფის შესხმა» ლექსად. ჩახრუხაძე, რომელიც იყო საჭურჭლეთ-უხუცესი თამარისა და რომელმაც დასწერა პოემა «თამარ მეფის შესხმა» ლექსად. ჩახრუხაძის ლექსი ეკუთვნის იმ გვარ თხზულებათაგანს, რომელიც არც ერთს ევროპიელს ენაზედ არ გადაითარგმნება... რუსთაველი შოთა, რომელმაც ჩინებული განათლება მიიღო საბერძნეთში — ქ. ათინაში, და, შემდეგ საქართველოში დაბრუნებისა, დადგენილ-იქმნა საჭურჭლეთ-უხუცესად. ბოლოს იერუსალიმში წავიდა, მიიღო ბერობა და იქვე გარდაიცვალა. დასაფლავებულია იერუსალიმის ქართველთა ეკლესიის მონასტერში. შოთა რუსთაველმა დასწერა და დაგვიტოვა თვისი უკვდავი მოთხრობა — «ვეფხვის-ტყაოსანი» ლექსად... თამარ მეფე გარდაიცვალა 1212 წელს. ნამდვილად არ ვიცით სად არის დასაფლავებული თამარი. ზოგნი კი გელათის მონასტერში ამბობენ. თამარის სიკვდილით სამუდამოდ დაირღვა საქართველოს მეუფრობა და მშვიდობიანობა!...

40. მონგოლების შემოსევა საქართველოში *) (1212—1318).

საქართველოს ფრიად მალე დაეტყო თამარის სიკვდილი. გამეფდა თუ არა თამარის შვილი ლაშა გიორგი, განკა გაუდგა საქართველოსა. მეორე გალაშკრებაზე განკის დასაბრუნებლად და ხორასნის დასაპყრობლად გიორგი დატყვევებულ იქმნა. რაც ხანი გადიოდა, საქართველოს საზღვრები უფრო-და-უფრო ვიწროვდებოდა, თითონ გიორგი, ტყვეობიდგან დაბრუნებული, მიეცა საშინელს გარეკნილობასა, რომლის შედეგი ის გარემება იყო, რომ მას დაშორდნენ თამარის დროის გონიერი, მხნე და გამოცდილი კაცები და ამათ მაგიერ დაუახლოვდნენ გარეკნილი და გაიძვერა კაცები. ეს უკანასკნელი გარემება იყო უფრესი მიზეზი საქართველოს დაუძლურებისა და მემრე—დამხობისა. ლაშა გიორგი გადაიცვალა 1223 წ. და გამეფდა მისი დაი (1223—1243) რუსუდანი, რომელიც თავის ძმაზე უფრო გარეკნილი იყო.

1225 წ. მონგოლებმა დაიპყრეს სომხეთი ს 1226 წ. ალოხრეს თეიღისი. რუსუდანი ქუთაისში გაიქცა და

*) ისილე სტატია, «ათორები».

ბერძნებსა ჭსთხოვა შემწეობა. მონგოლებმა რა შეიტ-
ყეს ეს ამბავი, დაიშურეს საქართველო სრულიად და ისე
ნაირად მიანგრ-მოანგრიეს, რომ ერთი ეკლესია არ და-
რჩომილა მთელი, გარდა ბოდბის წ. ნინოს ეკლესიისა.
1229 წ. რუსუდანმა რომის პაპს სთხოვა შემწეობა,
მაგრამ უარი მიიღო. რუსუდანის შემდგომ მეფობა კა-
ნონით ლაშას ძეს დავით სოსლანს უნდა მიეღო, მაგრამ
რუსუდანი თავის შვილის-დავით ნარინისათვისა სცდი-
ლობდა; ამისთვის როცა მონგოლებმა დავით სოსლანი
აღიარეს მეფედ, რუსუდანმა თავის შვილი გაგზავნა მო-
ნგოლებთანა

1243 წ. მონგოლებმა ორიგე აღიარეს მეფედ.
ორივე მეფეებს უეკარდათ ერთმანეთი და ხარჯს აძლე-
ოდნენ მონგოლებსა. ქართველებს უფრო უეკარდათ ლა-
შას შვილი დავით სოსლანი და როდესაც მონგოლებმა
ქართველის ჯარი მოითხოვეს, ქართველებმა დავით ნარი-
ნის წინამძღოლობით გაგზავნეს, რომ იგი აღარ დაბრუ-
ნებულიყო. მაგრამ ნარინი გზიდგან გაიპარა და იმე-
რეთში ჩავიდა, სადაც იგი ერისთავების შემწეობით აღი-
არებულ იქმნა დასავლეთის საქართველოის მეფედ 1258
წ. ამ ნაირად ეკერიის საუბედურად საქართველო ორად
იქმნა გაყოფილი. თუმცა ამის შემდეგაც ორი მეფე მე-
გობრულად იყვნენ ერთი-ერთ შორის, მაგრამ საქართვე-
ლოს დიდი ძალა დაკარგა: — «ერთობა». ამ მეფეების
დროსაც აღაოხრეს მონგოლებმა მთელი საქართველო,
რადგანაც დავით სოსლანმა მოინდომა მათგან განთავის-
უფლება. დავით სოსლანის მემკვიდრე იყო დიმიტრი

თავდადებული (1270—1289 წ.), რომლის მეფობაშიაც ისევ მონგოლთაგან იყო შეწუხებული საქართველო და თვით დიმიტრისაც შურის ძიებით მოჰკვეთეს თავი 1289 წ. არგუნის ბრძანებითა, რომელსაც დაასმინეს, რომ კითომ დიმიტრი არგუნის წინააღმდეგ ყოფილიყოს.

მრავალჯერ აღაოხრეს მონგოლებმა საქართველო. მრავალჯერ და მრავალ ჭეყნებში იბრძოლეს ქართველებმა მონგოლების მტრებთან. თითქმის არც ერთი ჩინებული ბრძოლა არ მოუგიათ მონგოლებს დასავლეთს აზიაში. რომ ქართველებს არ მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ უმადური მონგოლები მაინც არ გრძნობდნენ ქართველების სიკეთესა და რაც დრო მიდიოდა, იმდენი უფრო უარესად აოხრებდნენ საქართველოსა, შეუბრალებლად ყლეტდნენ ქალსა და კაცსა, მოხუცსა და ყრმასა. ამ ნაირს უბედურს მდგომარეობაში იყო საქართველო 1318 წ., როდესაც გამეფდა გიორგი V ,ძე დიმიტ[illegible] II სა, წოდებული «ბრწყინვალე».

---

41 მონგოლებისაგან განთავისუფლება და შემოსევა თემურ-ლენგისა (1318—1445 წ.)

გიორგი V ბრწყინვალე ძე დიმიტრი II სა (1318—1346)

გიორგი V ბრწყინვალემ შეაერთა რუსუდანის შემდეგ ორ სამეფოდ გაყოფილი (1258 წ.) საქართველო ისევ ერთს სამეფოდ. გამეფებისთანავე გიორგიმ ჯერ

ოსებზედ გაილაშქრა, დაიპყრა მათი ადგილები და დასდვა მათ ხარკი, რადგანაც იგინი აოხრებდნენ ქართლსა. საქართველოს ბედზე მონგოლების სამეფოც დაუძლურდა, რადგანაც დაიყო რამდენიმე ნაწილად. ამ გარემოებით ისარგებლა გიორგიმ, აიღო ხელში იარაღი და ცოტას ხნის განმავლობაში სრულიად განდევნა მონგოლები საქართველოდგან. შემდეგ შეკრიბა საქართველოს ერისთავები ციგის მთაზედ კახეთში, ურჩები მათგანი გადაუენა და მათ ნაცვლად დაუენა თვისი მორჩილი გვამები. აქედგან შემოიარა ჯარით რანი, შირვანი და დიდებით დაბრუნდა თფილისში. ამ დროს იმერეთში დავით ნარინის ძეთა ურთ--ერთ შორის ბრძოლა ჰქონდათ; ამისათვის სამეგრელოის, გურიის, სვანეთის და სხვა ერისთავებმა თვის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამ გარემოებით ისარგებლა გიორგი V, გადაიარა ჯარით ლიხის მთა და შეეიდა იმერეთში, სადაც მცხოვრებლებთ აღტაცებით მიიღეს და აღიარეს იგი მეფედ, მხოლოდ ახალგაზდა მეფე ბაგრატ თვისის აღზრდელით გამაგრდა ჭუთაისში. გიორგიმ მალე აიღო ჭუთაისი, ბაგრატს საცხოვრებლად შორაპანი დაუნიშნა და იმერეთი აღმოსავლეთ საქართველოს შემოუერთა; დაიმორჩილა უველა ერისთავები, დაიარა მთელი დასავლეთი საქართველო და უველგან წესები დაუწეო; აგრეთვე კლარჯეთში დაუენა ათაბაგად უკარუვარე. ამის შემდეგ საათაბაგო უფრო და უფრო ძლიერდებოდა და შემდეგ ემორჩილებოდა მხოლოდ ძლიერს მეფეებსა. თფილისში დაბრუნებისათანავე, გიორგიმ გაილაშქრა ოს მთიულებზედ და მცირეს ხანში დაიპყრა მთე-

ლი კავკაზი — ნიკოფსიიდამ დაწყობილი ვიდრე დერბენ-
დამდის; დაიმორჩილა ადერბეიჯანი, განჯა, დაამარცხა
მტირე აზიის სულთანი და მრავალის საშოკარით და-
ბრუნდა თფილისში. ამ ნაირი ძლიერება ქართველებისა
გიორგის დროს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ქართ-
ველებში ძლიერი იყო კიდევ გრძნობა მამულის სიყვა-
რულისა, თავისუფლებისა და ერთობისა, და, უეჭველია,
რომ ამგვარი უაღრესის ზნეობითის ძალის მქონი ხა-
ლხი ოთველთვის დაამარცხებს თავისზედ უფრო რიცხვით
ძლიერს მტერსა (ხალხსა). როგორც ოთველი საქართვე-
ლოს მეფე, აგრეთვე გიორგიც დიდს უურადღებას აქცე-
და ეკლესიის საქმეებსა და მეტადრე ხალხის დაცემუ-
ლის ზნეობის აღდგინებასა. გიორგიმ შეადგინა „კანონე-
ბი“ მთის ხალხებისათვის, რომლებიც (კანონები) შემდეგ
გახტანგ VI-მ თავის სჯულის წიგნში ჩაურთო. გიორგი
V-მ თავის ვაჟ-კაცობისა ს გონიერებისათვის თანა მედ-
როვეთაგან მიიღო წოდება „ბრწყინვალისა.“ გიორგი
ბრწყინვალის შვილი დავით VII 1346—1360 წ. თო-
თხმეტი წლის განმავლობაში ოთველს ღონისძიებას ხმა-
რობდა საქართველოს კეთილ-დღეობისათვის.

42. ბაგრატ V დიდი 1360—1395 წ.

ოც-და-ხუთი წლის განმავლობაში ბაგრატ V გონიერულათ მართავდა თავის სამეფოსა, მაგრამ 1385 წ. საქართველოს შემოესივა ახალი მტერი ქრისტიანობისა თემურ-ლენგი *). შვიდჯერ ერთი მეორეზედ შემოესივა თემურ-ლენგი საქართველოსა და ერთხელაც არ მოუსარეს მას თავი ქართველებმა. არც ერთს დიდის სახელმწიფოის მცხოვრებთ არ გაუწევიათ თემურ-ლენგისათვის ისეთი ძლიერი წინააღმდეგობა, როგორიც მან გამოსცადა შატარა ქართველის ერისაგან; მაგრამ მაინც ქართველების „თავგანწირულმა გმირობამ ვერ დასძლია შავ-ხვედრი". ქართლში შემოვიდა თემური 1387 წ. მისის მხედრობის კვალი წარმოადგენდა დამწვარ გადაბუგულს დაბაჭალებსა და დახოტილ ქართველთა ძვლების ეორეებსა.

ბაგრატი გამაგრდა თფილისში, მაგრამ მტერმა აიღო თფილისი და თვით მეფეც შეიპყრა. 1393 წ. ხელახლად შემოესივა ქართლს თემურის მხედრობა იმ განზრახვით, რომ საქართველოში არავინ და არაფერი არ ეოფილიეო შეწუხარებული. ამ დროს გაიძარცვა და დაიწვა კახტანგ-გორგ-ასლანისაგან აშენებული მცხეთის

---

*) იხილე სტატია „ათაბაგი"

სვეტის-ცხოვლის ტაძარი და ქვაბთა ხევის მონასტერი (ს. კავთის ხევის მახლობლად ქართლში.) ყველა კავკასიის მთის სახლები დაემორჩილნენ მას. თავის დასახსნელად ბაგრატმა მაჭმადიანად აჩვენა თავი თემურ-ლენგსა, რომელსაც ეს გარემოება ეჯერა. შემდეგ ბაგრატმა გამოსთხოვა ჯარი თემურს, ვითომ იმ პირობით, რომ მთელს საქართველოს ხალხს გავამაჭმადიანებო. თემური მოსტეუვდა და მისცა ჯარები, რომლებიც ბაგრატის სრულს ბრძანების ქვეშ უნდა ყოფილიყვნენ. ბაგრატმა კი წინათვე მოსწერა თავის შვილს, რომ მას საქართველოში ჯარი დაემზადებინა. როდესაც თათრები შემოვიდნენ საქართველოში, ბაგრატმა დაბანაკება უბრძანა ხუნანში, სადაც უეცრად დაეცნენ ქართველები და სრულიად ამოწყვიტეს. ამ მოტყუებით განძვინებულმა თემურ-ლენგმა შეკრიბა დიდი ჯარი და შემოვიდა საქართველოში. ქართლში, მდ. მტკვრის პირად შეხვდნენ ქართველნი და თათრები და დაიწყო საშინელი ბრძოლა, რომელშიაც თუმცა ორი მეხუთედი თათრის ჯარისა დახოცილი იყო ქართველთაგან, მაგრამ სიცოცხლისა გამო ქართველნი მაინც ეკუ-იქცნენ ღ მთებში დაიმალნენ. თათრებმა თუმცა ხალხი კერ ჭეშკეს საქართველოში, მაგრამ თუ სადმე აქა-იქ რაგდენიმე შენობა იყო დარჩომილი ისინიც მიანგრ-მოანგრიეს და დაბრუნდნენ უარაბალში. შემდეგ ამისა თვით ბაგრატ V დიდი გარდაიცვალა 1395 წელში.

43. გიორგი VII (1395—1407 წ.) კონსტანტინე (1407—1413 წ.), ძენი ბაგრატ V-სა

ბაგრატ V შვილების დროს თემურ-ლენგმა ორჯერ კიდევ აღაოხრა საქართველო ისე ნაირად, რომ ქვა-ქვაზედაც კი აღარ დაანარჩუნა. თუმცა თვით მეფეები გონიერები იყვნენ, მაგრამ ხალხი იყო ფრიად დაუძლურებული და დაღარიბებული. მთლად ქართველობა შეუვალს მთებში იყო დამალული.

Ალექსანდრე I, ძე კონსტანტინესი (1414—1442 წ.)

ამ მეფის დროს უფრო მშვიდობიანობა იყო საქართველოში, რადგანაც გარეშე მტრებმა ცოტას-ხნით შესწყვიტეს საქართველოში შემოსვა. ამ გარემოებით ისარგებლა ალექსანდრემ, გამოიხმო მთებიდგან ხალხი, დაასახლა ველებზედ და დაიწყო საქართველოს განახლება იმ გვარად, როგორც დაგით აღმაშენებელმა არაბთაგან გაოხრებული საქართველოისა. მცხეთის ტაძარიც ხელ-მეორეთ აღაშენა იმ გვარად, თოგორც ჩვენს დროს არის. ეკკლესიური (წესების) საქმეების წესიერად წარმართვისათვის შოახდინა ეპისკოპოზთა კრება და ერთი ეპისკოპოზთაგანი — სოფრონი გაგზავნა ფლორენტიის კრება-

ზე, მაგრამ, რადგანაც ხსენებულის კრების გარდაწყვეტილებანი ეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებლობის სარწმუნოებასა, ხელის მოწერამდინ დაბრუნდა საქართველოში. ალექსანდრე I სცდილობდა აგრეთვე შინაგანის მშვიდობიანობისათვისაც; იგი სცდილობდა ერისთავების ურთიერთშორის მეგობრობასა და, როდესაც უკმაყოფილებას შეამჩნევდა, მოარიგებდა. თუმცა ახალციხის ერისთავი ურჩობას აპირებდა, მაგრამ ალექსანდრემ დაამარცხა იგი და შეიპყრა, მაგრამ შემდეგ ისევ დაუბრუნა ერისთობა. სხვათა შორის ალექსანდრემ 1431 წ. წაართვა ოსმალებს ლორე და თემურ-ლენგისაგან დაშთომილი თათრები სრულიად განდევნა საქართველოდგანა. მოხუცებულობის ჟამს დაუძლურებისაგამო ბერობა მიიღო მცხეთის წმ. მიხეილ-მთავარ-ანგელოზის ეკეკლესიაში და მეშვიდრეობა დაუტოვა თავის შვილს გიორგი IV 1442 წ., რომლის სამის წლის მეფობამ მშვიდობიანად გაიარა. გიორგი IV მეფის სიკვდილით 1445 წ. გათავდა საბოლოოთ საქართველოს ერთობაც ს საქართველოს შატარა სამეფო განიყო სამს შაწაწა სამეფოდ: ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა და ერთს საათაბაგოდ.

44. საქართველოს გაყოფა სამ სამეფოდ და ერთს სამთავროდ—საათაბაგოდ 1445—1469 წ.

«გარნა გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგ-ასლანისა, დავით ალმაშენებელისა და თამარ მეფისა, გარნა შურითა ურთიერთთა და გარეშეთა მტერთაგან იქმნა განყოფილება (საქართველოისა), ვითარცა დავითისა (სოსლანისა) ეს დავით ნარინისა და მათ ძეთა» (შემდეგთა. ქარ. ცხ. ნაწ. II გვ. 2).

შეერთებული გიორგი V ბრწყინვალესაგან საქართველო ერთს სამეფოდ (1330 წ.) განიყო ხელმეორედ და საბოლოოდ გიორგი VIII-ს დროს. ჯერ განსდგა გიორგის წინააღმდეგ იმერეთის ერისთავი ბაგრატ, რომელსაც მაშინვე მიჰბაძეს დანაშთენთ დასავლეთის საქართველოის ერისთავებმაც და ყველამ ერთად გამოუცხადეს გიორგის იმერეთის დამოუკიდებლობა. გიორგიმ შეკრიბა ჯარი და წავიდა იმერეთის დასამშვიდებლად, მაგრამ ბაგრატმა დაამარცხა გიორგი VIII დაბა ჩხართან და უკანასკნელი იძულებული შეიქმნა ბაგრატ II აღიარებინა იმერეთის მეფედ 1455 წ. ამ გარემოებით ისარგებლა

ათაბაგმა ყვარყვარემ და თავის მოსამზღვრე თავ-დების შემწეობით გამოუცხადა გიორგი VIII-ს ომი. ერთს ბრძოლაში 1465 წ. თვით გიორგიც დაატყვევეს. თავისუფლება გიორგიმ მიიღო მხოლოდ მაშინ, როდესაც სამცხე აღიარა დამოუკიდებელ საათაბაგოდ და ყვარ-ყვარესაც ათაბაგობა მისცა. გიორგის ტყვეობაში მყოფობის დროს იმერეთის მეფემ დაიპყრა ქართლი. აღარც კახელები ჩამოუვარდნენ სხვა საქართველოს ნაწილებსა, — ამათაც აღმოიჩინეს კახეთის მეფედ დავით ბაგრატიონი. გიორგიმ საათაბაგოს ჯარის შემწეობით დაიბრუნა ქართლი და წაიყვანა კახელების დასასჯელათ. კახეთის მეფე დავით დატოვებული კახთაგან, სახლობით გაიქცა დიდოში და კახეთი ისევ ქართლს შეუერთდა, — მაგრამ როდესაც 1465 წ. გიორგი VIII გარდაიცვალა და გამეფდა მისი შვილი კონსტანტინე (1465—15.) კახელებმა მოიპატიჟეს ხელმეორედ დავით დიდოეთიდგან. დავითი ეკურთხა მეფედ ბოდბეში 1469 წ. და თავის საცხოვრებლად აღმოიჩინა დაბა გრემი, კახეთში. გაღმა მხარეში. ამ გვარად საქართველო განიყო სამს სამეფოდ ერთი-ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამეფოდ: ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა, და ერთს სამთავროდ — ასპალიტის საათაბაგოთ. ჯერ ათასის წლის ბრძოლამ მრავალის მტრების წინააღმდეგ მრავალჯერ აღაღორძა საქართველო და მრავალი მშვიდობის მოყვარე ხალხი იმსხვერპლა და ამ ერთობის დარღვევამ — პატარა საქართველოს თითო ბეწო სამეფოდ დაუყოფამ, სრულიად დააუძლურეს საქართველო. და ბოლოს იმ უძლურებამდის მიაღწიეს

ქართველთ, რომ თავისის თავის მოკლა რომ ალარ შეეძლოთ,— სხვას მიაჩემეს თვისის წინაშარეთაგან სისხლით მორწყული და დაცული საყვარელი მამული, — „ჩვენის თავისათვის ველარ გვიშველნია და აჭა, თქვენ გვიშველეთო“. თვითოეული სამეფო ოთველს ღონის ძიებას ცდილობდა, როგორმე დაეუძლურებინა თავისის მოძმის სამეფო, — ქართლი — იმერეთისას, კახეთი — ქართლისას და სხვა... საქართველო გაიყო სამ სამეფოდ 1469 წ.

---

45. საქართველოს მდგომარეობა სამ სამეფოდ გაყოფის შემდეგ 1469—1605 წ.

შემდგომად მეფისა გიორგი VIII დაჯდა ძე მისი კონსტანტინე, ცოლად ვინადგან გამეფდა ბაგრატ იმერეთს ამან კონსტანტინემ მოუწოდა ათაბაგსა ბაადურს და ფერ-კახთა და ალღაზა მოვიდა ათაბაგი, რამეთუ დაეშურა სამცხე-ჯავახეთი... და ალცა ფერ-კახთა ინებეს, ალამად გარდამოიყვანეს დიდოეთიდგან დავით და აგურთხეს მეფედ, და იქმნა მიერ ყამით-გან სამეფოსა განხეთქილება სამად. რამეთუ ერთი მეფე დაჯდა იმერეთს, ერთი კახეთს და ნეშტი დარჩა მეფესა ქართლისასა და ალცადა თუ ამას აკმარეს. ალამად განდგა თავადი ათაბაგი და მან დაიშურა საათაბაგო, რომელ ალს სამცხე-ჯავახეთი, კვალად განდგა იმერთაგან თავადად დადიანი, გურიელი, შარვაშიძე და სხვანი და მათ დაიშურეს საზღვარნი თვისნი, ვიდრე აწამდე 1744-სა წ. ალღაზა

აქმნა შეკრება მისი. არამედ კვლავადცა უფროსად დაკნინებანი". (ქარ. ცხოვ. ნაწ. II გვ. 13) უთავ-ბოლოდ მიდიოდა საქართველოს საქმეები სამს სამეფოდ დაყოფის შემდეგ, რადგანაც დაუწყენარებელი ბრძოლა ჰქონდათ საქართველოს მეფეებს ურთი-ერთს-შორის. როდესაც რომელიმე მეფე თვითონ ვერას გააწყობდა მეორე მეფის წინააღმდეგ, მოიწვევდა სპარსელებს, ანუ თურქებს და ამათის შემწეობით აოხრებდა საქართველოსა. კახეთის მეფის თხოვნით სპარსელები შემოესივნენ ქართლში და აღაოხრეს 1478—1481 წ. ხშირად ქართლის მეფენი სპარსეთს დაუმეგობრდებოდნენ და ამავე დროს რუსეთს სთხოვდნენ შემწეობასა. ამ გვარად მოიქცა კახეთის მეფე ალექსანდრე I (1492—1511), რომელმაც სთხოვა შემწეობა რუსეთის მეფეს ვასილი III. იმერეთის მეფემ ალექსანდრე II-მ (1478—1510—1509 წ.) აღაოხრა ქართლი. ამ ნაირის ქართველთ მეფეების ურთიერთ-შორის ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ საქართველო თან-და-თან უფრო უძლურდებოდა და ბოლოს იმ უძლურებამდის მიაღწია, რომ სპარსები და ოსმალები*) განაგებდნენ თავის ნებაზედ საქართველოს საქმეებსა. ამ დროს ეკეთნის სასულიერო წოდების განძლიერება და ეკლესიების გამდიდრება. ეკლესიის უმანი და მამულები განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველ ნაირის გარდასახადისაგან. ყოველის უმეტესი დიდრო კაცის ქონება ეკლესიის ხელში გადადიოდა. მეორეს მხრით განმრავლდნენ თავად-

*) იხილე სტატია «ოსმალეთი».

აზნაურნი. ამ უკანასკნელს ტუდი შედეგი ჰქონდა საქართველოს კეთილ დღეობისათვის, რადგანაც ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ მეფეებსა და ბევრჯელ ებრძოდნენ კიდევაც. მთელი ეს და მ.ეული ეკლესიისა და თავადაზნაურების ხელში იყო; ამისთვის თვით მეფეები იმდენად ღარიბები იყვნენ, რომ წლის შემოსავლით თავის სახლობას ძლივსა ჰკვებავდნენ წლითი-წლობამდე. რაიცა შეესება ამ დროის სელოვნურს წარმოებასა, ასრულის მეტი საქართველოში არა მსადებოდა. 1510—1520 წლებში სამთავე სამეფოში არეულობა იყო: ხან ერთი მეფეს მოჰ ლავდნენ, ხან ერთი სამეფო მეორეს ეომრებდა. 1520 წ. ქახეთში გამეფდა ლევანი 1520—1574 წ. ლევანის ტოლმა თანათანმა ადაშენა მუ.ეთის მონასტერი კახეთში, თელავის მახლობლად. ლევანის დროს ქართველებმა დაიპურეს იერუსალიმი და ეი რა მიზეზით: ოსმალეთის სულთანი სულეიმანი ეომებოდა სპარსელებს და ქართველები რომ არ მიშველებოდნენ სპარსელებსა, მისცა წინადადება სამთავე საქართველოს მეფეთ: კასეთისას ლევანს, ქართლისას გიორგი IX 1525—1534 და იმერეთისას ბაგრატ III 1510—1548 წ. „რამეთუ ადგილი სჯულისა თქვენისა იერუსალიმი დაიპურეს ურჯულოთა, აწ მიმინიჭებიეს თქვენდა, მოგედით და განასხენით იგინი და დაიპურენით თქვენდა“ (ქარ. ცხ. ნაწ. II გვ. 21) სამთავე მეფეთ შეკრიბეს ჯარები, მოიწვიეს აგრეთვე ათაბაგი ეკარეკარე და წავიდნენ იერუსალიმისაკენ. მისვლისა-თანავე დაამარცხეს მტერი და დაიპურეს იერუსალიმი; იშოვეს მრავალი სი-

მდიდრეს შეამკეს ბეთლემი, ქრისტეს სიფლავი, გოლგოთა, რომელნიც სულთანმა ქართველებს აჩუქა და დაბრუნდნენ თავ-თავის სამეფოში. ლეკვანმა დაიმორჩილა თუშ-ფშავ-ხევსურნი და ლეკნი, რომელთაც სარეკის მიცემის მაგივრად ზათუსულობით ეინული ენდა ეზიდნათ ზურგით კახეთში — გრემში. 1556 წ. სპარსელებმა დაიჭირეს უმთავრესი ადგილები საქართველოისა. 1558 წ. ლეკვანმა სთხოვა შემწეობა რუსეთის მეფეს ივანე IV გროზნის, რომელმაც ჯარი გამოუგზავნა საზღვრების დასაცველად, მაგრამ სპარსელების თხოვნით ისევ მალე დაბრუნდნენ რუსეთში. მხოლოდ კახეთი ლეკვანის და მისის ძის ალექსანდრე II-ს. (1574 — 1605 წ.) მეფობაში თითქმის შეურეველის მშვიდობიანობით სარგებლობდა, რადგანაც სპარსეთის მეფენი შაჰ-თამაზ და შაჰ-აბაზ I დიდი მოწყალის თვალით უყურებდნენ კახეთის მფლობელთა. ეს ამისათვის, რომ ისინი მონაწილეობას არ იღებდნენ იმ დაუცხრომელს ბრძოლაში, რომელიც ამ დროს იმერეთს, ქართლსა, საათაბაგოს და სხვა სამთავროების ერთი-ერთ-მორის იყო ატეხილი ერთის მხრით, და მეორეს მხრით ოსმალეთსა და ხსენებულ სამფლობელოთა შორის. ამის დროს ლეკვანისა, რომელმან გრემში აღაშენა ეშვეიერი მთავარ ანგელოზის ტაძარი, რომელშიაც თითონაც ასაფლავია, და მეტადრე ალექსანდრე II დროს კახეთი გაანათლდა და აღუვავდა ეოველის მხრით. „შემდგომად შაჰ-თამაზის სიკვდილისაცა, მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, იყო ალექსანდრე II მშვიდობით, რამეთუ ყამსა ამისსა ესრეთ

ამენებული იყო კახეთი ვითარ ძნიად სადმე იშოვებოდა სასმელი მსგლადი“ (ქარ. ცხ. ნაწ. II გვ. 110). ქართლში და იმერეთში ისევ ომები იყო და ოსმალები არა ერთხელ შეესიენენ და აღარ ბრეს იმერეთიბოლოს 1578 წ. კახეთსა და ქართლსა მოუხდათ ერთიერთ შორის ბრძოლა, მაგრამ ისევ მალე შერიგდნენ. ამ დროს უფრო შესანიშნავი მეფე ქართლისა იყო სიმონ I (1558 — 1600 წ.), რომელმაც არა ერთხელ დაამარცხა ოსმალები და წაართვა (თბილისი) ტფილისი. ამ ეთში ალექსანდრეს მოხუცებულობის დროს მოხდა ცოტა არეულობა: ალექსანდრეს შვილმა დავითმა II შეიბურა თვისი ძმა გიორგი და მამა თვისი მეფე ალექსანდრე და თითონ გამეფდა 1605 წ., მაგრამ ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა და დასტოვა ცოლი წმ. მოწ. ქეთევანი და მცირე წლოვანი შვილი თეიმურაზი. გამეფდა ისევ ალექსანდრე ქეთევანმა გაგზავნა თვისი შვილი თეიმურაზი სპარსეთში შაჰ აბაზთან, რომელიც „პატივსა უყოფდა თეიმურაზსა და ასწავებდა წიგნსა სპარსთასა“. ქეთევანმა გაგზავნა თვისი შვილი სპარსეთში იმ განზრახვით, რომ თუ მოკვდეს ალექსანდრე, დაიბურას გიორგიმ (ალექსანდრეს მეორე შვილმა) კახეთი და შურ აგოს ძესა ჩემსა (ქარ. ცხ. ნაწ. II გვ. 112), რადგანაც ქეთევანის ქმარმა დავითმა შეიბურა გიორგი. შაჰ-აბაზმა კახეთის მეფობა მისცა ალექსანდრეს მეორე შვილს კონსტანტინეს, რომელიც სპარსეთში იმყოფებოდა გამაჰმადიანებული. როდესაც კონსტანტინე მოვიდა კახეთში, ჯერ მოჰკლა მამა თავისი ალექსანდრე II

და ძმა თვისი გიორგი და როდესაც გამეფდა, უსირცხვილოთ შეუთვალა თავის რძალს ქეთევანს: „რამეთუ ჯერ არს სჯულისა მაჴმადისასა შერთვა რძლისა და აწ მე დავიპყარ კახეთი ნებითა ყოველნისათა, შემირთევ და იყავ გუელადცა დედოფალი და უკეთუ არა ინებო, მე ძალით ვყო ესე“ (ქარ ცხ. ნაწ. II გვ. 113). ქეთევანმა შეშფოთებისათვის მიჴმართა კასელებსა, რომელნაც შეკრებნენ, დაამარცხეს კონსტანტინე და მოჴკლეს. კახეთის განმგებლად დადგა ქეთევანი. რა შეიტყო ეს ამბავი შაჰ-აბაზმა, მიიხმო თავისთან თეიმურაზი და უთხრა: „კონსტანტინეს მოუკლავს მამა და ძმა თვისი, რომელი წარვავლინე მშვიდობისა ყოფად ხილვად მამა ძმასად (თვითონ შაჰ-აბაზის ბრძანებით მოჴლა კონსტანტინემ თვისი მამა და ძმა). არამედ მასდაცად უგიათ ესუხი კახთა და მოეკლავთ იგიცა, — აწ წარვედ შენ მასწრაფედ, რათა არა შეგოთი რაიმე იქმნას კახეთს მათს შორის. (ქარ. ცხ. ნაწ. II გვ. 114). შაჰ-აბაზს ის მიზანი ჴქონდა, რო კახეთი არ შაერთებოდა ქართლსა. თეიმურაზი კეკურთხა ბოდბეს და მოვიდა გრემში 1605 წ ამ 1605 ახალი მეფეები დადგენ სამვე სამეფოში: ქართლში —ლუარსაბ II (1605—1616 წ.), იმერეთში გიორგი III (1605—1639) და კახეთში თეიმურაზ I (1605—1664 წ.).

46. საქართველოს მდგომარეობა სპარსეთისა და ოსმალების უფლების ქვეშ 1605—1744 წ.

რადგან ეს ორ გარეშე მტრები აწუხებდნენ საქართველოსა და თვით მეფენიც კეთილ-განწყობილებით იყვნენ ურთი-ერთს-შორის, საქართველომ ტოტას ხნობით შეისვენა. ორ მეფენი აღმოჩდნენ უნიჭონი და ზარმაცნი: იმერეთის მეფე გიორგი III ხალხის ზნეობის გასწორებას შეუდგა; ქართლის მეფემ თბილისის მოურავის გიორგი სააკაძის შეშფოთებით დაამარცხა ბაღდადიდამ მომავალი ყირიმის ხანი 1609 წ. ამ ბრძოლაში დედაქალაქსაც მიიღეს მონაწილეობა. რადგანაც მეფემ ლუარსაბმა შეირთო ცოლად გიორგი სააკაძის და, ამისთვის დანაშთენს ქართლის თავადებს ეწყინათ ეს ამბავი და შეაძულეს სააკაძე მეფესა. გიორგი სპარსეთში გაიქცა. შაჰ-აბაზი სცდილობდა როგორმე ქრისტიანობის წესების დარღვევით შეემტერებინა ქრისტიანობა საქართველოში და ამ გვარად მოემზადებინა ქართველები მაჰმადიანობის მისაღებად. ამისთვის როდესაც თეიმურაზის პირველი ცოლი მოკვდა, შაჰ-აბაზმა დაიბარა თავისთან და ძალად შეართვეინა ნათესავი, ლუარსაბის ასული. 1615 წ. შაჰ-აბაზი მოვიდა დიდის ჯარით განჯას და შემოუთვალა

თეიმურაზსა: „მე მივალ ბრძოლად ოსმალთა (სტუუოდა და მსოლოდ მიზეზს ეძიებდა, რომ საქართველო აღეოხრებინა) ამისთვის აწ-მოამეც მძეკლად ძე შენი, რათა არ ემწო ოსმალთა, ვითარცა ჭეო ბაბამან შენმან და ვსცნა ერთგულება ჩემი შენგან.“ (ქარ. ცხ. ნაწ. II გვ. 116.) თეიმურაზმა გაიგო ბოროტება შაჰ-აბაზისა და არ უნდოდა შვილის გაგზავნა, მაგრამ კასელებმა ძალად გააგზავნინეს უმცროსი შვილი ალექსანდრე, თვისი დედა ქეთევან დედოფალი და თ. ნოდარ ჯორჯაძე. რა ნასა ესენი, განრისხდა შაჰ-აბაზი და შემოუთვალა თეიმურაზსა. «არა თუ ვარ ძიძა და მზრდელი ძისა შენისა, წარმოგიგზავნე ძე შენი უხუცესი, უკეთუ გნებავს ერთობა ჩემთანა და მეც გსცე ბატიები დედასა შენსა და უკუნ ვიქცე.» დიდად დაღონდა თეიმურაზი და შვილის გაგზავნის უარზედ იყო, მაგრამ კასელებმა ეთხრეს: ერთის შენი შვილისათვის მოელი ქვეყანა უნდა აღაოხრებინოო.» თეიმურაზი დამორჩილდა. შაჰ-აბაზმა თვით მეფეც დაიბარა. თეიმურაზი ასლა კი აღარ დამორჩილდა შაჰ-აბაზსა. ქართლის მეფის ლუარსაბის II შემწეობით გაიმაგრა კახეთი. შაჰ-აბაზი შემოესივა კახეთსა, აღაოხრა შემდეგ ქართლიცა. ორთავე მეფენი ამერეთში გაიქცნენ. ლუარსაბი II მოტუეებით დაიბარა თავისთან და რადგანაც მაჰმადიანობა გმო, ჯერ დაატეეეა და შემდეგ 1622 წ დაღრჩობინა. კახეთის გამგებლად — ნოდარ ჯორჯაძე და

კალეს თეიმურაზს: «მოგვედ და ეპატრონე კახეთს სამამ-ტონოსა შენსა.» თეიმურაზი მოვიდა კახეთში 1616 წ., მაგრამ 1617 წ. შაჰ-აბაზმა კვალად გამოიყარა ქართველოსაკენ. თეიმურაზმა საშინლად დაამარცხა მოწინააღმდეგე ჯარი ალიეული ხანის წინამძღოლობით და წაართვა მრავალი სამდიდრე. ამაზედ შაჰ-აბაზი «განძვინდა ვითარცა ვეშაპი» და შემოესივა კახეთსა. თეიმურაზი კვალად გაიქცა იმერეთში. სპარსელებმა სრულიად აოხრეს კახეთი, მრავალი ხალხი დახოცეს და მრავალიც გარდასახლეს სპარსეთში. თეიმურაზი სტამბოლში წავიდა შემწეობის სათხოვნელად, მაგრამ ხელ-ცარიელი დაბრუნდა ისევ იმერეთში

1623 წ. როდესაც კახელთ განდევნეს სპარსელნი, კვალად მოიყვანეს მეფედ თეიმურაზი. ამ დროსვე თეიმურაზი არაგვის და სხვა ერისთავების შემწეობით სცდილობდა ქართლის კახეთთან შეერთებასა. როდესაც შაჰ-აბაზმა შეიტყო თეიმურაზის კვალად გამეფება განრისხდა და განძვინდა, მოუწერა შირაზის ბეგლარ-ბეგსა რათა გაამაჰმადიანოს დედა თეიმურაზისა ქეთევან დედოფალი და უკეთუ არა ჰყოს გმობა ქრისტესი, მოკლას ტანჯვითა ფიცხელითა და ამან მოკლა ქრისტესთვის ტანჯვითა ფერად ფერადითა 1624 წ.» (ქრ. ცხ. ნაწ. II გვ. 119). ეი როგორის საგმნობელის სიტყვებით ჩასტავს თ. გრ. ორბელიანი ქეთევნის ტანჯვას;

«დრონი იცვალნენ (შემდეგ თამარისა) იხილეთ ქეთევან ნაზად აღზრდილი,

მაჰმადიანთაგან იტანჯვის სარწმუნოების დამცველი! ხორცდაგლეჯილი შანგებით მკერდზედ ცეცხლ ანთებული, სულის სიმაღლეს გიმტკიცებს ზეცად დიდებით აღმასვლელი»!

(საღვეგრძელო).

1628 წ.-ში გარდაიცვალა საქართველოის დაუდგრომელი მტერი შაჰ-აბაზ I და თეიმურაზ I ახლა კი აღასრულა თავისი აზრი: ქართლისა და კახეთისა შერთება ერთს სამეფოდ. ანგაგის ერისთავმა მოკლა ქართლის მეფე სიმონ II (1619—1629 წ.) და თეიმურაზმა I დაიპყრა ქართლი 1629 წ.

47. თეიმურაზი I მეფე ქართლისა და კახეთისა 1629—1634 წ.

თეიმურაზ I შეიქმნა ქართლ-კახეთის მეფედ (1629—1634). ქართლ-კახეთის სამეფო ამ დროს მშვიდობიანობით სტებებოდა, იმერეთის მეფე გიორგი III კი ფრიად შეწუხებული იყო დადიანისაგან, რომელმაც მრავალჯერ დაამარცხა მეფის ჯარები, აღალხრა იმერეთი და მრავლის იმერეთის წარჩინებულთა შორის დაატყვევა 1638 წ. თვითონ მეფეც, რომელიც განთავისუფლებისათანავე გარდაიცვალა ჯავრისაგან 1639 წ. და გამეფდა შვილი მისი ალექსანდრე II 1639—1661 წ. თეიმურაზის განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული იყო ეკლესიების აღდგენაზე და მაჰმადიანებისაგან შერყეულის ქრისტიანობის აღდგენაზე. ამისთვის იგი არ უშლიდა რომის პაპისაგან გამოგზავნილი მქადაგებელთ სალხის სწავლებასა. გასაკვირველია თეიმურაზის ცხოვრებაში ის გარემოება, რომ თუმცა ეს მეფე განუწყვეტელს ბრძოლაში ატარებდა დროსა, მაგრამ კიდევ ჰპოვებდა თავისუფალს დროსა, რომელსაც სწირავდა ქართველის მწერლობასა. თეიმურაზს ფრიად უყვარდა ლექსთ-მოხუზველობა და თვითონაც კი სწერდა ლექსებსა და სთარგმნიდა სპარსულიდამ მოთხრობებსა. მაგალითად — თეიმუ-

რაზს ეკუთვნიან: „ვარდბულბულიანი“, „შედარება“, „სუბარი“ (ლექსებითა) და სხვა წვრილი ლექსები. სთარგმნ სპარსულიდამ: ლექსად — „იოსებისა და ზალიქოს სიყვარულზედ“; ორი მოთხრობა: „მირიანი, ლეილიანი (და ზალიქოს“). თუმცა თეიმურაზი სპარსეთში გაიზარდა, მაგრამ მისგან გალექსულნი ეკლესიური ძილის-პირები და დოდმატები ამტკიცებენ მის მეცნიერებას საღმრთო წერილში. თეიმურაზმა აღაზრდა მდ. არაგვის ნაპირები დაიშურა ულუზორი, განჯა და უკანასკნელის ბეგლარ-ბეგი (განმგებელი) დავით უნდილაძე გადმოასახლა თავის სამეფოში. შაჰის სეფის თხოვნით თეიმურაზმა არ მისცა უნდილაძე. ამისთვის შაჰმა გამოგზავნა დიდძალი ჯარი გიორგი საკაძის შვილის, როსტომ საკაძის წინამძღოლობით. თეიმურაზმა ეს ჯარი საშინლად დაამარცხა და უკუ აქცია. მეორეთ უფრო დიდ-ძალი ჯარი გამოგზავნა შაჰმა და თეიმურაზი სახლობითურთ გაიქცა იმერეთში და სპარსელებმა 1634 წ. უბრძოლველად დაიპყრეს ქართლ-კახეთი. ქართლში გამეფდა დავითის შვილი მოხუცებული როსტომ I (1634—16) ხოლო კახეთის განმგებლად შაჰმა დაუყენა სულიმ ხანი. ამ დროს გაინაწილეს საქართველო სპარსელებმა და ოსმალებმა *) ეს მოხდა 1638 წ. საათაბაგოში ტოტ-ტოტად შეკვიდა შაჰმადიანობა და 1659—1679 წლების განმავლობაში

*) ქართლი, კახეთი, ერევანი და ქერთის-ტანის ერთი ნაწილი დაიჭირეს სპარსელებმა, დასავლეთი საქართველო და საათაბაგო—ოსმალებ.

გამაჭმადიანდა. ოზნაურები იწოდნენ — ბეგებად, თავშებად — ალებად; ვინც კი არ გამაჭმადიანდებოდა საქართველოში უნდა გარდასახლებულიყო. ამასობაში იმერეთში მეოთი თეიმურაზი ეოგელს დონის ძიებას ხმარობდა კახეთის დაბრუნებისათვის. ქათალიკოზის დომენტისა და არაგვის ერისთავის შემწეობით გაბედეგნეს კახეთის მმართველი სელიმ ხანი და თეიმურაზი ისევ გამეფდა 1636 წ. იმერეთში ისევ ურთი-ერთ შორის ბრძოლა იყო შეუწყვეტელი, — დადიანი წამ-და-უწემ ალხრებდა იმერეთსა, სცარცვიდა ხალხსა და ატყვევებდა. ქართლისა და კახეთის მეფეთაც მოუხდათ ურთიერთის შორის უკმაყოფილება და შემდეგ ბრძოლაც. ჯერ 1640 წ., როდესაც თეიმურაზი დიდოელების დასამშვიდებლად იყო წასული, ქართლის მეფე როსტომ შემოესივა კახეთსა, დაამარცხა კახეთის ჯარი და ალაზარ რამდენიმე სოფელი და დაბრუნდა ქართლშივე 1646 წ. თეიმურაზმა სთხოვა შემწეობა რუსეთის მეფეს ალექსი — მიხეილის ძეს, მაგრამ კერძოფერი შემწეობა ვერ მიიღო. ქართლის მეფე როსტომ I 1648 წ. ხელ-მეორედ შემოესია კახეთსა, ჯერ დაამარცხა და მოჭყლა თეიმურაზის შვილი დავითი, შედეგ თეიმურაზიც დაამარცხა და დაიპყრა კახეთი. გაბოროტებული თეიმურაზი იმერეთში წავიდა. (თეიმურაზი იმერეთიდამ 1655 წ. წავიდა რუსეთში. 1659 წ. დაბრუნდა იმერეთში, სადაც თვისი ტოლი გარდაცვლილი დახვდა. 1661 წ. სთხოვა ქართლის მეფეს ვახტანგ V, რომ ამას გაეგზავნა სპარსეთში შაჰთან. ვახტანგ V გაგზავნა. თეიმურაზი I მრავლის უბედურების შემდეგ გა-

რდაიცვალა ასტრაბადში ბერად 1662 წ. ამ დროს მოვიდა რუსეთიდამ თეიმურაზის შვილის-შვილი ირაკლი I. თეიმურაზის გვამი მოასვენეს კახეთში და 1664 წ. დასაფლავეს ალავერდის ტაძარში.)

თუმცა როსტომ I მაჭმადიანი იყო, მაგრამ იგი ეოვლის ღონის ძიებას ხმარობდა ეკლესიების გამშვენიერებისათვის; მაგ. მან აღაშენა მცხეთისა და სიონის სობოროების ჩამონგრეული გუმბათები — ამანვე შემოაგლო ტფილისის მტკრის მარჯვენა ნაპირს მაგარი ციხე. მაგრამ როსტომ I ყველაზედ შესანიშნავი აღაშენა ტფილისში სასახლე თავისათვის. ერთის სიტყვით, როსტომის მეფობა ერთი უკეთესთაგანი იყო ქართლისათვის. როსტომ I გარდაიცვალა 1658 წ. 92 წლისა...

---

48. საქართველოს მდგომარეობა 1658 წ-გან 1703 წ-დე. ბაგრატ IV იმერეთის მეფე 1661—1683 წ.

ვახტანგ V მეფე ქართლისა 1658—1675—რადგან რუსტომ ბერგელი უშვილო იყო, მან შაჰის ნებართვით სიცოცხლითვე დანიშნა თავის მემკვიდრეთ თვისი ნათესავი ვახტანგ ბაგრატიონი, თავადი მუსრანისა. ვახტანგი რუსტომმა 1657 წ. გაუგზავნა შაჰსა, რომელმაც გაამაჰმადიანა, და უწოდა სახელად „შაჰ-ნავაზ“ და დიდის სიჩუქრით გამოისტუმრა ქართლში. გამეფებისათანავე ვახტანგ V ჯერ დაამშვიდა და მოჰკლა ერეკლის ერისთავი, შემდეგ წავიდა იმერეთის დასაპყრობლათ, რადგანაც იქ მეფობდა თავის დედინაცვლისაგან დაბრმავებული ბაგრატ IV (1661—1683 წ) 1660 წ. იმერეთი გაიყვეს დადიანმა და ვახტანგმა. მეორე წელს ხელმეორედ გაილაშქრა იმერეთზე ვახტანგმა დადიანის წინააღმდეგ, რადგანაც უკანასკნელმა თვისი ასული ერ მისცა ვახტანგის შვილს ერეკლეს; ბრძოლაად დაიპყრო იმერეთი და იმერთა ნებით ქუთაისში გაამეფა თვისი შვილი ერეკლი, ხოლო დაბრმავებული იმერთა მეფე ბაგრატ IV წაიყვანა ქართლში. რადგასაც კ ამბავი შეიტყო სულთანმა (ოსმალთა მეფემ) მისწერა შაჰს:

„არს ზავი ჩვენ შორის (ჩვენ ზემოთ გსთქვით, რომ საქართველო სპარსელებმა და ოსმალებმა გაიყვეს ერთმანეთში 1636 წ.) და აწ დაუპყრავს იმერეთი შაჰ-ნავაზ და თუ გნებავს გბრძოთ ურთიერთსა (ქარ. ცხ. ნაწ. II გვ 52) ეკინმა შემოუთვალა კახტანგ V, რომ არჩილი აქ გამოიგზავნე და უკეთეს ადგილს მივსცემო. კახტანგმა 1663 წ. არჩილი შაჰთან გაგზავნა და იმერეთში ისევ ბრძა ბაგრატ IV გაამეფეს. ეკინმა პატიოსანი ცემით მიიღო არჩილი და შეიყვარა იგი დიდად. შემდეგ მიალებინა მაჰმადიანობა და 1664 წ. მისცა კახეთის მეფობა.

Არჩილი კახეთის მეფე 1664 — 1675. არჩილი თუმცა მაჰმადიანი იყო, მაგრამ ქრისტიანობრივი რწმენა მადალი ზნეობა და ძღვთის მოუკრეობა მას ქრისტიანად ხდიდნენ. ყოველს მის მოქმედებას ქრისტეს სარწმუნოება მიუძღოდა წინ. თვით შეხედულებაც მშვენიერი და მამაცური ჰქონდა, ამისთვის კახეთმა ალტაცებით მიიღო ეიგი. არჩილმა მალე დაამშვიდა კახეთი და კეთილდღეობა მიანიჭა თავის ქვეშევრდომთ. არჩილმა დასდვა სატახტო ქალაქად გრემის მაგივრად თელავი და ადაშენა აქ სასახლე. ამ დროს ჩამოვიდა თუშეთით ირაკლი, ძისძე თეიმურაზ I-სა კახეთის დასაპყრობად, მაგრამ დამარცხებული არჩილისაგან თუშდაკე მიიქცა. არჩილმა შეერთო იმერეთის მეფის ბაგრატ IV ნატოლარი ქეთევან 1667 წ. „ამან არჩილ ჰყო სასახლე თელავს (წინათ ხომ [გრემში ცხოვრებდნენ) და განაახლა ეკლესიანი ფოკელნი კახეთისანი, დასხნა ეპისკოპოზნი, ჰმატა შე-

ნობასა და სჯულსა ქრისტიანისასა. და შემდგომად კასეთი, ვინადგან იყო მშვიდობა და უმტრობა და ნიჭვიდა და სწუალობდა ყოველი არჩილსა, რამეთუ ვერცლა თუ ლეკნი იკადრებდნენ ხდომასა... არამედ მუნ სოფელ ლილოს, სადაც იყო ქორწილი არჩილის ძმის ლუარსაბისა, მოუდესთ ჭარელთა ცხენითა უინული, შეიშურა და სტანჯა იგინი, აღკიდა კვალად ტვირთად და მოაღებინა კვალად მუნიდამცა ტვირთითვე უინული (ქ. ც. ნ. II გვ. 127) „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით ქართლის მეფე ვახტანგ V იყო მხნე, ახოვანი, ჭერეანი, გამოცდილი ბრძოლთა შინა... ერმად გამგონე, ერმად მოუბარ, განმზრახი, უხვი, ქვრივ-ობოლთ შემწყალე; განავრცო ქართლი, ჭმატა რჯულსა ქრისტიანობისასა და ეკკლესიათა, რამეთუ სცდილობდა, რათა როსტომის გარეკნილნი მოეგო კვალსაგე თვისსა. და რომ კასეთის მეფე არჩილი რწმენით ქრისტიანი იყო და ქრისტიანულის სჯულის სწავლაში განვითარებული იყო, გვიმტკიცებს მისგან დაწერილი თხზულება: „არჩილიანი“ (თეიმურაზ I ცხოვრება), ამავე არჩილ მეფემ პირველად შეკრიბა დაბადება ერთად და რა კერ ჭეშკა სიარსისა და მაკვეის წიგნები,—გარდამოაღებინა ბერძნულიდამ ქართულად. ერთი სიტყვით ორივე მეფე (მამა-შვილნი) ქართლისა და კასეთისა უკეთესთაგანი მეფენი იყვნენ საქართველოისა. როდესაც ტახტზედ ავიდა შაჰ-სულეიმანი 1667 წ. იგი ეოკლის ღონის ძიებასა ხმარობდა ვახტანგ V დაუძლურებისათვის. მაგრამ რადგანაც ვახტანგი ფრიად გონიერი და გამჭრიახი მეფე იყო, სულეიმანმა პირ-და-პირ,

ცხადად კი ვერ გაბედა ვახტანგის წინააღმდეგობა და თავის განზრახვის აღსრულების იარაღად აღმოირჩია თემურაზ I-ს ძის-ძე ირაკლი, რომელიც ჯერ რუსეთიდამ დაიბარა, შემდეგ სპარსეთში მიიხმო და კასეთის მეფობა აღუთქვა. რადგანაც ამ დროს იმერეთში არეულობა იყო, მაჭმა ურჩია არჩილს იმერეთის დაპყრობა. არჩილი ვერ მიხვდა ეეინის ბოროტ განზრახვასა და საუბედუროდ თავის გონიერის მამის დაუკითხავად წავიდა იმერეთში, სადაც გამეფდა კიდეც. მაგრამ იმერლებმა ისევ მალე დაატოვებინეს ტახტი. არჩილი კახეთში გამოეშურა, მაგრამ მაჭ სულეიმანმა კახეთში მმართველი დაუყენა და ქართლის მეფობა ვახტანგ V მეორე შვილს გიორგის IX აღუთქვა. ამ ნაირად არჩილმა მოუფიქრებლობისა გამო მეფობა დაკარგა, 1678 წ. სულეიმანმა ვახტანგი დაიბარა სპარსეთში. თუმცა ავად იყო ვახტანგი, მაგრამ მაინც წავიდა და გზაზედ ხოშკარში გარდაიცვალა 1675 წ.

49. საქართველოს მდგომარეობა სპარსეთისა და 1745 ოსმალების სრულს მფლობელობის დროს (1676—1744).

1676 წლიდამ დაწყობილი ვიდრე 1744 წლამდის საქართველო ისეთ ნაირად იყო დაუძლურებული, რომ თავისის მამულის დაცვის იმედიც კი აღარ ჰქონდათ. 68 წლის განმავლობაში მეოთ საქართველოს მეფეთა შორის არც ერთი არ იყო საკმაოდ გონიერი და გამჭრიახი კაცი, გარდა კასტანგისა ამისათვის მთელი საქართველო სპარსებისა და ოსმალების განმგებლობის ველში იყო. ეს ხალხები თავის ნებაზედ დასვამდნენ კიდეც მეფეს და გადაუყენებდნენ კიდეც, როდესაც მათი სარგებლობა მოითხოვდა. ამ ნაირად იმერეთში ბატონობდნენ ოსმალები, რომელნიც ბაგრატ IV და ალექსანდრე IV მეფობის დროს შემდეგს გარდასახადს იღებდნენ: საკუთარის იმერეთისაგან — 80 ქალსა და კაცსა, გურიიდგან 46 ქალსა და კაცსა, სამეგრელოდგან 30,000 ოქროს ქსოვილს. გარდა ამისა ოსმალები ფრიად ათვად ჰყიდულობდნენ დასავლეთს საქართველოში ქალებსა და ვაჟებსა. ამ გვარ ვაჭრობაში დიდს სარგებლობას ჰხედავდნენ ოსმალები, რადგანაც ერთი ხუთად და ხშირად ერთი-ათადაც ასაღებდნენ ოსმალეთ-

ში იმერეთში ნახეიდს ქალსა და კაცსა. ქართლში 1703 წლამდის მეფობდნენ გიორგი XI, შემდეგ ირაკლი I. კახეთში ომარსების ნება იყო 1675—1707. იმერეთში მეფობა თითქმის ყველა გამოჩენილს გვარეულებას შეხვდა. იქ მეფობდნენ გურიელები, აბაშიძე, 5—6 ჯერ გიორგი VI (1707—1770). როგორც ზემოთა ვთქვით, ამ დროს მთელი საქართველო სპარსებისა და ოსმალების გამგებლობის ქვეშ იყო და არც არა-ვითარი ღირს შესანიშნავი საქმე არ მომხდარა, ამ დროის განმავლობა საქართველოისა გამოიხატება რამდენიმე სიტყვით: ქრისტიანობა დათრგუნილი იყო მაჰმადიანებისაგან, ქართველები დაუძლურებულნი და დაღარიბებულნი იყვნენ და კლდეებში ეძებდნენ თავის შესაფარს, ქართველების შკილები უბრალო ნივთებსავით ისყიდებოდნენ,—ერთის სიტყვით იყო დრო უსამართლოებისა ბ მონებისა.

50. 1703—1744 წლების განმავლობაში მეფობდნენ:

ქართლში: ქაიხოსრო 1703—1711; ვახტანგ VI განმგე ქართლისა 1703—1711,—მეფედ 1712—1714 და 17-19—1724. იასე 1714—1716; ბაქარ—1716—1719

კახეთში: ირაკლი I 1703—1706; დავით III იმამ-ყული-ხანი ძე ირაკლი I სა, 1707—1729; კონსტანტინე ძე ირაკლი I მაჰმად-ყული-ხანი 1723—1729 თეიმურაზ II 1737—1744.

იმერეთში: ალექსანდრე V 1720—1752.

როდესაც 1707 წ-ში — სპარსეთის შაჰისაგან გაგზავნილი ავღანელების წინააღმდეგ მეფე გიორგი XI მოკლეს (გიორგი თუმცა 1688 წლიდამ სპარსეთში იყო, მაგრამ ქართლის მეფედ ითვლებოდა ისევ) ქართლის მეფედ ეკენმა დაუყენა ქაიხოსრო, ძმისწული მოკლული გიორგი XI-სა. გამეფებისათანავე ქაიხოსრომ შეკრიბა ქართლში 4500 მხედარი და წავიდა სპარსეთში, სადაც იბრძოდა სპარსელების მტრების წინააღმდეგ. უფრო ადრე, როდესაც გიორგი XI სპარსეთში იყო, ეკენმა 1703 წ. ქართლის განმგედ დაუყენა ვახტანგი, ძე სპარსეთში წასრულის გიორგის ძმის ლევანისა. «ქართლის ცხოვრების სიტყვით, ვახტანგ VI იყო ღვთის მოშიში და ძლიერ მოდგმაწე, სამღვდელოთა პატივის მცემელი, მოწყალე,

ცოდნის-მოყვარე. ქ-ოსროს და გიორგის სპარსეთში მეფობის დროს, ვახტანგის განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეული იყო ქართლის ყოველის მხრით განვრგებაზედ. მით უფრო შეეძლო ვახტანგს თვისის მამულისადმი საამსახურო, რომ ამ დროს ქართველს არ აწუხებდნენ, არც გარეშე მტრები და არც შინაურები. ვახტანგმა მართლად რომ გონიერულად ისარგებლა ქართლის მეუფრობითა... „აღიშენა და განავრცო ქართლი, მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, მას მორჩილებდნენ იმერნი, უმესლნენ კახნი. მოიღო მბეჭდველობა და დაარსა პირველი წიგნთ-საბეჭდავი სტამბა ტფილისში 1709 წ. და განამრავლნა წიგნნი საღმთოანნი, რამეთუ უმეცარნიცა სამღვოოთა წერილთ იკითხავდნენ.“ ვახტანგმავე აღბეჭდა პირველად ჩვენის უკვდავის პოეტის შოთა რუსოველის უკვდავი თხუზულება — პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“... დასწერა წიგნი საძართლისა და მითი (სჯიდენ) სჯიან მსაჯულნი; მოსპო ტუველების გასყიდვა. მაგრამ ვახტანგის უდიდესი ღვაწლი საქართველოსადმი არის „ქართლის ცხოვრების“ შედგენა. ამ წიგნის შესადგენად ვახტანგმა მოიწვია ნასწავლი ქართველები, შეკრიბა სხვადასხვა საქართველოს კუთხეებში გაბნეული ძველი მატიანეები და ხსენებულის ქართველებისა და მეტადრე თავის შვილის ვახუშტის შემწეობით შეადგინა „ქართლის ცხოვრება“ და მოიყვანა თავის მეფობამდე. ხოლო ვახტანგმ განაგრძო და მოიყვანა 1770 წლამდე... ამ გვარად არ იქცეოდა კახეთის მეფე ირაკლი I. ზარმაცობა, ურწმუნოება და ყოველგვარი შამაძრუწუნებელი

ზნეობის წინააღმდეგ მოქმედება შეადგენდნენ ირაკლის და მის თანა მოსამსახურეების თვისებასა. ირაკლის, კახეთის სამეფნიეროდ, დიდ-ხანს არ უმეფნია კახეთში. იგი შიწვეული სპარსეთში ყაენისაგან შეპყრობილ იქმნა საპატიმროში. და ამის მაგიერად კახეთში მეფობა მის შვილს დავით III (იმამ-ყული-ხანს) მისცა ყაენმა (1607 წ.) რადგანაც დავითი სპარსეთში იყო აღზრდილი მაჰმადის სჯულზედ, ამისთვის, როგორც ჭეშმარიტს მაჰმადიანს, პირველად სძულ თავის ქვეშევრდომების საწყენობა და სცდილობდა კიდ ც კახეთის სრულიად გამაჰმადიანებასა, მაგრამ როდესაც დაინახა კახელების თვისდამი ერთგულება და როდესაც გაიცნო და დაუახლოვდა ქართლის მეფეს მღვთის მოუკრე ვახტანგს, — იმამ-ყული-ხანი სრულიად გამოიცვალა. მაჰმადიანობის მომშვირნე-ჭეშმარიტ ქრისტიანად ს ქრისტიანობის მოშვირნედ და სამღვდელოების მფარველად შეიქმნა თავის ქვეშევრდომთა სასახარულოდ. როდესაც ქართლ-კახეთი ლეკთაგან იყო შეწუხებული, ვახტანგი სპარსეთში იმეოფებოდა, რადგანაც ყაენი მას მეფობას არ აძლევდა მაჰმადიანობის მაუღებლობისა გამო. 1719 წ. ვახტანგმა სახით მიიღო მაჰმადიანობა და ყაენმა გამოგზავნა იგი ქართლის მეფედ. მოსულისთანავე ქართლში, ვახტანგმა ჯერ მოწინააღმდეგეთ ეროსთავები დაიმორჩილა და შემდეგ კახეთის მეფის შემწეობით ურდოდა ლეკების დამშვიდება, მაგრამ ამ დროს კახეთის მეფე გარდაიცვალა და საქმეც ხიშალა. კახეთში გამეფდა კონსტანტინე II მ ჭაბუკი-ხანი და იმერეთში აღექსანდრე V 1721—1752 წ.

1722 წ. რუსებმა დაიპყრეს კასპიის ზღვისნ აპირები, რომლებიც კეუთნოდათ სპარსელებს. ამ საქმეში ეეენმა ქართლ-კახეთის მეფეები გაამტეუნა. ამისთვის ეეენის ბრძანებით კახეთის მეფემ მაჭმად-ეეული-ხანმა წაართვა ქართლი ვახტანგსა და თეიმურაზ დაიპყრა. ვახტანგ VI სახლობით და 1400 სასულიერო და საერო მხლებელით გარდასახლა რუსეთს, სადაც გარდაიცვალა 1737 წ. და დასაფლავებული იქმნა ასტრახანის სობოროში — ამისთვისაც უძღვნის ვახტანგ VI-ს თ. გ. ორბ. ამ გვარ ლექსსა:

«აჭა საფლისა წიგნითა ვახტანგ სეე დამწერებული,
სწავლის მოუკარე, მკარგელი, გონება ამაღლებული!
ეცხოსა ცის ქეეშ მარტოობს მისი სიფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენთაგან ჩვენთვის კი დამიწებული.

51. თეიმურაზ II კახეთის მეფე 1733—1744.

ამ დროს სპარსეთში არეეულება მოხდა. ოსმალებმა ისარგებლეს ამ გარემოებით და რადგანაც საქართველოში მეფობის ღირსი ვერავინ ჭეშოვეს, გაუსწილეს ქართლის სამეფო ზოგი ერის-თავებს და კახეთი ლეკების მსხვერპლად დასტოვეს და დასდვეს საქართველოს მძიმე ხარკი ერთი სიტეკვით, იმერეთი, ქართლი და კახეთი ოსმალების ბრძანებლობის ქეშ იმეოფებოდა და მრავალს შეწეხებას და ტანჯვას ითმენდა. მაგრამ როდესაც სპარსეთში ეეე-

ნათ დაჯდა ნადირ შაჰი, საქართველოს ბედის ჩარსი სხვა ნაირად დატრიალდა. ნადირ-შაჰმა 1735 წ ჯერ ოსმალები დაამარცხა, წაართვა საქართველოზედ მფლობელობა და კახეთის მმართველად დაუყენა კახეთის ბატონიშვილი თეიმურაზი II, ქართლში სეფი ხანი დაუყენა, იმერეთში კანონიერი მეფე ალექსანდრე V დამტკიცა ს დაბრუნდა სპარსეთშიგე. 1737 სეფი ხანმა თეიმურაზი და რამდენიმე საქართველოს დიდებული გაგზავნა ნადირ-შაჰთან, რომ უფრო მკვიდრად ეუფლა საქართველოზედ. ნადირ-შაჰის ბრძანებით თეიმურაზმა დაიბარა საქართველოდგან თვისი შვილი ირაკლი და როდესც ირაკლი გამოეცხადა ეეენს 300 ქართველის მხედრით, თეიმურაზი II გამოისტუმრა კახეთის მეფედ 1738 წ, ამავე წელს ნადირ-შაჰმა გაილაშქრა ინდოეთზე, სადაც წაიეკანა ირაკლიცა. რომ ირაკლიმ დიდი სამსახური გაუწია ნადირ-შაჰს, — მტკიცდება იმ გარემოებით, რომ სანამ ნადირ-შაჰი ცოცხალი იყო საქართველოს მშვიდობიანობა არ შერყეულა თვით ნადირიც მფარველი და დიდი შემწე იყო ქართველებისა, ნამეტნავად თეიმურაზისა და ირაკლისა. ირაკლი თავის მხედრობით დაბრუნდა სპარსეთიდამ 13 ენკენისთვეს 1739 წ. ერისთავების დასამშვიდებლად ეენის ბრძანებით თეიმურაზმა წაართვა არაგვის და ქსნის ერისთავებს მამული, რადგანაც ისინი მაშინ ურთი-ერთს შორის იბრძოდნენ და ამით ქართლ-კახეთს აწუხებდნენ, არაგვის საერისთავო კახეთს შეეერთა და ქსნისა გივი ამილახვარს მისცა. ამილახვარმა გაიზარდა არაგვის საერისთაოს დაპყრობაცა, ამისთვის

შეკრიბა 50,000 კარი და წამოვიდა ბატონის-შვილის-ირაკლის წინააღმდეგ, რომელიც ქსნის ციხეს ადგა ასაღებად. ირაკლიმ დაამარცხა ამილახვარი, რომელიც გაიქცა ქართლში და დაიბარა რუსეთიდამ ვახტანგ VI-ის შვილი ბაქარი ქართლის მეფედ. ბაქარი თუმცა მოვიდა, მაგრამ რადგანაც ნასა ამილასვრის განზრახვის აღსრულების შეუძლებლობა, ისევ რუსეთშივე დაბრუნდა. ამილახვარმა ასლან სულთანსა ჭითხოვა შემწეობა, რომელმაც 1744 წ. გამოუგზავნა კარი და ხარხინა, რომელიც უნდა გაეგზავნა დაღესტანში კარის დასაქირავებლად. ოსმალ-ლეკების კარი არაგვის ხეობის გზით წავიდნენ. ბატონიშვილმა მოასწრო ოსმალ-ლეკებს ვიწრო ხეობაში და საშინლად დაამარცხა, ლეკების გამოჩენილი ბელადი-მალაზი თავის ხელით მოჰკლა. ეს ამბავი ტფილისის ხანმა აცნობა ნადირ-შაჰს, რომელმაც ამ გამარჯვებისათვის და წინა დღის საამსახურ სათვის თეიმურაზ II გამოუგზავნა საჩუქრად ერთი ცხენი ოქროს შეკაზულებით, ხრმალი მძიმედ მოჭედილი და მიჰცა ქართლის მეფობა; ხოდო ირაკლის, ძესა მისსა, კახეთის მეფობა თვესა მაისს 1744 წ.

52. თეიმურაზი ქართლის მეფე 1744—1762 წ.

ირაკლი II მეფე კახეთისა 1744—1798 წ.

მოკვიდა თუ არა თეიმურაზი II ტფილისში, მოკლულ იქმნა ქათალიკოზი ნიკოლოზ, რომლის მაგივრად აღმოაჩინეს ანტონი I, შვილი ასევ მეფისა. 1745 წ. ნადირ-შაჰმა შეაწერა საქართველოს 50,000 თუმანი გარდასახადი. ქართველები დაღონდნენ, რადგანაც არ შეეძლოთ ამ სარჯის გარდახდა. საქართველოს გადასარჩენათ თეიმურაზმა შესწირა თავის სიცოცხლე და გაემგზავრა ნადირ-შაჰთან. თუმცა თეიმურაზმა გზაზედ შეიტყო ნადირის მოკვლა, მაგრამ მაინც წავიდა ასევ ეექნთან საშუამდგომლად. ამ დროს სომხეთის მხრით სპარსელები მოადგნენ ტფილისსა. შეიტყო თუ არა ეს ამბავი ირაკლიმ, მაშინვე შეკრიბა მცირედი ჯარი მსწრაფულ მოადგა ტფილისს, დაამარცხა სპარსნი და თვით დაიბერა ტფილისი. აქედგან ირაკლი წავიდა ქიზიყში, შემოიკრიბნა მხედრობანი და დაედევნა გარეთ-კახეთიდგან მომავალს ლეკებსა, რომლებსაც მოეწივა, მოჰკლა 300 კაცი და დაიბანაკა დედოფლის წყაროზედ (თუჭურ-ძიშის მახლობლად). აქ ხელ-მეორედ დაეცნენ ლეკნი ირაკლისა, მაგრამ დამარცხებულნი ქართველთაგან გაიფანტნენ. ამ

დროს ირაკლიმ ჩამოატანინა ბოგდორმის (ციხეა გომბორის მთის ერთს შტოზე მდ. იორის პირზე) დიდი ზარბაზანი, შემოიკრიბა კახეთის ჯარი და გაემართა ტფილისისაკენ, სადაც აღიღეს მეტეხის ციხე და სხვა გამაგრებული ადგილები სპარსთაგან. 1748 წ. დაბრუნდა სპარსეთიდგან მეფე თეიმურაზ II და ქართველის ჯარით წავიდა ერევნელების თხოვნით ერევნის გამოსასხნელად სპარსთაგან. დაიშურა ერევანი და თვით ერევნელნი გაიხადა ძოსარჯეთ; ამაგე წელს დაიშურეს განჯა და, „ქართლის-ცხოვრების“ სიტყვით, იმდენი იშოვნეს ალაფნი, რომელ ცხვარი ისყიდებოდა ანაზად; ხოლო ცხენი, კამეჩი და ძროხა ხუთ ანაზად და უკუ-მოიქცნენ ალაფით გამარჯვებულნი. ამ ნაირად თითქმის განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ ქართველებს სპარსთან, ხანებთან, აგანელებთან, მაგრამ წარბ-შეუმუსვნელი, ხმალ-ხელ მოწვდენით გაი მას მტერსა, სადაც აღჩნდებოდა მეფე ირაკლი II: „ერთის შეტევით ბრძოლა წამსვე გარდასწყდებოდა“ ქართველების სასარგებლოდ. 1756 წ. ქართველებმა შესწამეს ქათალიკოზს ანტონ I კათოლიკობა და ამისთვის ანტონ I განდევნილ-იქმნა საქართველოს ქათალიკოზობიდგან და თვით საქართველოდგანაც. ანტონი I წავიდა რუსეთში, სადაც აღიარა თავის სარწმუნოება. სინოდმა ანტონი I ჩსცნა მართლ-მადიდებელ ქრისტიანად და მისცა მას მთავარ-ეპისკოპოზობა ქალადიმირში. 1760 წ. თეიმურაზისა და ირაკლის შორის ჩამოვარდა უკმაყოფილება და თეიმურაზი წავიდა რუსეთში სადაც გარდაიცვალა 1762 წ.

როდესაც ქართლ-ქვახეთის მეფენი ამ გვარად იმარ-ჯვებდნენ გარეშე მტრებზე, იმერეთი ფრიად შეწუხებული იყო შინაურის და გარეულის მტრებისაგან. მეფე ალექსანდრე V იძულებული იყო ოსმალოს ჯარი ჰყოლოდა თავის სამეფოის ურჩის ერისთავების წინააღმდეგ. ქუთაისის სობოლო ოსმალთ ცხენების თავლად იყო გარდაქცეული. იმერეთის საზინა ისენაირად იყო გაღარიბებული, რომ მეფე საჭიროებისათვის ეკლესიის და თავის საკუთარს ძვირფასსა ჰყიდდა. ჰყიდდა აგრეთვე მეფის სამკაულსაც კი... იმერეთის ამ გვარ უბედურებამ ცუდად იმოქმედა მეფე ალექსანდრეზე, რომელიც დასნეულდა და გარდაიცვალა 1752 წ. გამეფდა შვილი ალექსანდრესი სოლომონ I 1752—1782. როდესაც სოლომონ I გამეფდა, იმერეთში ბატონობდნენ ოსმალები და იმერეთის ერისთავები, განსაკუთრებით რაჭის ერისთავი. სოლომონმა დაინათესავა ზოგიერთი იმერეთის ძლიერი თავადები, შეკრიბა ჯარი და დაიმორჩილა ურჩი ერისთავები. თავის განსაძლიერებელათ სოლომონ I დაუახლოვდა ქართლ-კახეთის მეფეებსა, რომელთაც ხშირად ჯარებსაც აშველებდა.

---

53. ირაკლი II მეფე ქართლისა და კახეთისა 1762 — 1798 წ. ხოლო ერეკლე I მეფე იმერეთისა 1782 წლამდინ.

I

გარდაიცვალა თუ არა მეფე თეიმურაზი II, ირაკლიმ მოიწვია ანტონ I რუსეთიდგან ისევ საქართველოის ქათალიკოზათ. „მე უშენოთ ვერ ვიქნები, თორემ ბოლოს გამოჩნდება, სწერდა ირაკლი წინადვე რუსეთში მეოთხეს ანტონს, მე უშენოდ არა მიამება რა“. ირაკლის II დიდი გავლენა ჭქონდა ერევნის, განჯის ლ შუშის ხანებზედ და იღებდა მათგან სარჯსა. იგი თვითონ განაგებდა სსენებულის სახანოების საქმეებსა — და თუ წინააღმდეგობას შეამჩნევდა თვისგან დაყენებულს ხანს, მსწრაფლად გამოსცვლიდა მას და სხვას დააყენებდა. ირაკლის დროს უფრო ლეკანი*) აწუხებდნენ ქართლ-კახეთსა, მაგრამ თუ კი მოასწრობდა სადმე ძვირად დაუსვამდა მათ ქართველების დაწიოკებასა. თუმცა ირაკლი სულითა და გულით საქართველოს კეთილდღეობისათვისა ზრუნავდა, თუმცა ირაკლი თავის სიცოცხლესაც კი არ

---

*) იხილე სტატია «კავკასიის მთის ხალხები».

ზოგავდა საქართველოსათვის, ბრძოლაში უოველთვის და
ოველგან და ყველაზედ ძლიერად და უშიშრად იბრძო-
და მტრებთან და ამხნევებდა ქართველებსა. მაგრამ ზო-
გიერთა უმადურის და ბოროტის გვამების მტრობას
ვერც ეს „იერიის ნუგეშ-დიდება. მამაცთა შორის, საკვი-
რველება, პატარა კაცი მეფე ერეკლე“ ასცლიდა. ბორო-
ტმა გვამებმა განიზრახეს ირაკლის სახლობა თ ამოწყვეტა. შეიქმა მოხდა 1767 წ. ბოროტ-განზრახულნი ამ
საქმეში იყვნენ: დიმიტრი ამილახვარი, გლასა ციციშვი-
ლი, ელიზბარ თაქთაქიშვილი, ამათ მიემხროთ პაატა
ბატონიშვილი, რომელსაც, როგორც ნათესავსა, დიდს
პატივსა სცემდა ირაკლი. როდესაც ირაკლიმ შეიტყო
ზემოხსენებულის გვამების ბოროტი განზრახვა, შეკვეა-
რა თვისის სამეფოის უველა წოდების დიდებულნი, რა-
მელთაც გაასამართლეს დამნაშავენი და დაუნიშნეს მათ
შემდეგი სასჯელები: პაატა ბატონიშვილს თავი მოჭ-
�, თაქთაქიშვილი ცეცხლში დასწვეს, ამილახვარი
—პატიმარ-ყოვეს და ვიზზედ შესვეს. ამის შვილს ალექ-
სანდრეს ცხვირი მოსჭრეს, ციციშვილს ენა მოსჭრეს.
როდესაც ქართლ-კახეთში ამ ნაირი ამბები ხდებოდა,
იმერეთში არეულება მოხდა; განსდევნეს მეფე სოლო-
მონ I და გაამეფეს მისი ბიძაშვილი თეიმურაზი. თუმცა
სოლომონმა ისევ მალე დაიბრუნა მეფობის ტახტი, გან-
დევნა ოსმალები და თეიმურაზი, მაგრამ ზოგიერთი ი-
მერეთის ციხე მაინც ისევ ოსმალთ ეპყრათ და რაჭის
ერის-თავიც ურჩობას ეწყოდა სოლომონის წინააღმდეგ.
სოლომონმა მოუწოდა ლეკებს, რომელთაც აღაოხრეს

ბაჯა და მრავლის საშოკარით დაბრუნდნენ. ირაკლიმ შეუკრა ავათ გზა, მოჰკლა 300 ლეკი და წაართვა ყოველი საშოკარი.

1769 წ. სოლომონ I თხოვნით რუსეთის მთავრობამ გამოგზავნა გენერალი ტოტლებენი 6000 ჯარით, რომელსაც მეფე ირაკლი გობში (კავკასიის გზაზედ) მიეგება. აქვე დასდვეს პირ-შეკრულება ირაკლიმა და ტოტლებენმა, რომ ოსმალებისათვის ომი გამოცხადებინათ — და როდესაც ტოტლებენის შემწეობით დაიმედებული ირაკლი შეკიდა ოსმალეთის საზღვრებში, ტოტლებენი უცრად დაბრუნდა უკან. თუმც ირაკლიმ ბევრი სთხოვა ტოტლებენს, გაგიერებაში ნუ ჩამაგდებო, ნუ დამღუპო, მაგრამ ტოტლებენი შეუწყინარებელი იყო; იგი დაბრუნდა იმერეთში. ქართველებმა რამდენჯერმე დაამარცხეს ჯერ რამდენიმე ბატ-ბატარა ოსმალების გუნდი და დაბანაგდნენ ასპინძაში. ოსმალებს ეგონათ, შეშინებულნი ქართველნი უკანვე დაბრუნდნენო და იმავე ღამეს ნახევარი ოსმალოს ჯარისა ასპინძას ხიდს გაღმა გავიდა და ნახევარიც მეორე დღეს აპირებდა გასვლასა. ირაკლიმ ხიდი დაანგვინა. მეორე დღეს ირაკლი დაეცა ოსმალებს და ისეთი თავს-ზარი დასცა, რომ ოსმალნი ერთი ერთმანეთს ჭყლეტდნენ. თვითონ ირაკლიმ ამ დღეს მოჰკლა თოთეით ლეკების ჩინებული კოხტაბელადი. ირაკლიმ რამდენიმე ამ ბრძოლაში ნაშოვნი ტყვე გაუგზავნა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II და შეუთვალა: „ისე ძლიერ დავამარცხეთ ოსმალები და იმდენი ტყვე ვიშოვეთ, რომ თქვენც მოგართვითო. ეს

ბრძოლა მოხდა 1770 წ. (ქ. ცხ. ნ. II გვ. 491—492

II.

1772 წ. ირაკლიმ გაგზავნა ანტონი II ქათალიკოზ) და თვისი შვილი ლევანი იმპერატრიცა ეკატერინე II-ან მადლობის გამოსაცხადებლად შემწეობისათვის 1770—1772 წლებში. ლეკები და ხშირად ოსმალნიც კიდევ არ ასვენებდნენ საქართველოსა. მოსვენება არა ჰქონდათ ქართველებსა და საქართველოსა, მაგრამ ხშირად უფრო ქართველნი რჩებოდნენ გამარჯვებულნი მტერთანა. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ქართველებს ჰყვანდათ დაუღალავი, გულწრფელი და თავდადებული ერისა და ქვეყნისათვის მაშა ირაკლი II. ირაკლის ისრეთი გამაძ მხნეობელი ძალა ჰქონდა, რომ თვით ქარვთლის დედებიც კი იღებდნენ მონაწილეობას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. აი მაგალითები: ერთხელ, როდესაც ჭარელები (ლეკები) შემოესივნენ ქიზიყსა, სადაც საშინლად დაამარცხეს ქართველებმა რეკვაზ ანდრონიკაშვილის წინამძღოლობით და დახოცეს 1000 ლეკი, „მუნ ლეკმან ერთმან ჭეო ტფეკედ დიაცი ერთი, სწადდა-რა დამდაბლება მისი, წაიძრო სანჯარი დიაცმან და მოკლა ლეკი იგი დიაცმან მან და ესრეთ განკრა დიაცი იგი და წარვიდა ნუერალ (ლეკთა წინამძღოლი) სიარცხვილეული“. (ქარ. ცხ. ნაწ. II გვ. 508). ამავე დროს აკლებული იქმნა დავით-გარეჯის მონასტერი (გარეთ კახეთში სოფ. საგარეჯოს მახლობლად). ერთი ბერი ამავე მონასტრისა მიუძღვა ლეკთ და როდესაც მონასტრის კარები ვერ გასტეხეს, ბერმა უნგე-

ნა წმ. ნიკოლოზის კეკლესიის ხვრელი (კვირაბი) საიდუმლო გზა და ამოუძღვა იქადგ ნ ლეკებს, რომელთაც სრულიად აღოხრეს მონასტერი, ამოწყვიტ ს ბერები ლ გაძ რცვ ს მონასტერი სრულიად. ბ) როდესაც 1778 წ. გიორგი (ძე ირაკლისა) ბატონიშვილის მეუღლე ქრთლიდგან მოდიოდა ტფილისში 300 „მორიგე“ მხედრობით, დაეკონენ ლეკები 500 რიტრვით. რადგ ნაც ამ მორიგე კარს წინამძღოლი არა ჰყანდათ და ქართველნი შეშინდნენ, თვით ირაკლის სძალი დადგა თავის მხლებლებთ უფროსად და ისეთ ნაირად დაუწყო და გაამხნევა ქართველნი, რომ ლეკნი დამარცხებულნი ქართველთაგან ლტოლვილ იქმნენ.

ამავე წელს მეფემ ირაკლიმ დაუწესა მორიგე მხედრობა, ანუ სამუდამო კარი მამულის დასაცველად. ამ დრომდის არც ერთს საქართველოს მეფეს არ მოსულა აზრათ სამუდამო კარის დაარსება. ისინი შეაგროვებდნენ კარს ერისთავებისა და მოურავების შემწეობით მხოლოდ მაშინ, როდესაც ეჭვიერებოდათ და რაკი გაათავებდნენ ომსა ანუ ბრძოლასა, კარსაც დაითხოვდნენ თავ თავის სახლებში. ირაკლისაგან მორიგე კარის დაარსება მიმართული იყო ლეკების წინააღმდეგ, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ საქართველოსა. თითო კომლიდგან თითო კაცს უნდა ემსახურნა დანიშნულის დროის განმავლობაში.

ეს განკარგულება ერთ ნაირად შეეხებოდა როგორც ბლეხებსა, ისე აგრეთვე თავად აზნაურობასაც; თვით მეფე და მისი შვილებიც კი დაეწერნენ მორიგე მხედრო-

ბაში და არა ერთსეოგ ანდერეს ლეკნი. მორიგე მსჯელობის წესებსა დარღვევისათვის შემდეგი სჯელი იყო დანიშნული: „უკეთუ გლეხთა დაიყოვნიან, მაშინ იგნ. წვალსა შინა განიკლიდიან, რადგანსა დღესა დაიყოვნიან, ეგოდენ გზის და უკეთუ თავადთა და აზნაურთა დაიყოვნიან, ეგოდენ დღე პატიმარ იქმნებოდიან" (ქ. ცხ. ნ. II გვ. 50) ამ კვ დროს ირაკლიმ გამართა ტფილისში თოფ-ხანა რუსეთის მაგვარად და „გან წავლა თოფჩები, რომელნიც თოფ ირაკლის აკეთებდენ"

თოფხანის ზედამხედველად ირაკლიმ დაუნა პაატა ანდრონიკაშვილი, ნასწავლი მოსკოვში. მორიგე ჯარის დარსებას ის შედეგი ჰქონდა, რომ ლეკნი დაშინდნენ გნ ზადებულის ქართველის ჯარისაგან და ველარ ბედავდნენ ქალართ-კახეთში ჩამოსვლასა და ისეთი მშვიდობიანობა ჩამოკარდა, რომ მარტო მანდალოსნებსაც კი არ ეშინოდათ სიარული.

III.

1783 ირაკლი შეეიდა რუსეთის მმკვარველობის ქვეშ. იმპერატრიცა ეკატერინე II გამოუგზავნა ირაკლის სამეფო ნიშნები და გრამატა და ორი ბატალიონი ჯარი ბოტეკინის და სიმონოვის წინამძღოლობით, რომელნიც შეეკვრნენ მეფეს „შეუცვალებელითა ვირობითა." ირაკლიმ თავის მხრით გაგზავნა რუსეთში ორი თვისი შვილი: ანტონი და მირიანი.

ირაკლის II და იმერთ არა სურდათ დავითის მე-

ფობა. იმერეთიდგან ჩამოვიდნენ დესპანნი და სთხოვეს ირაკლის იმერეთის შეერთება თავის სამეფოსთანა. თუმც მრავალი კეთილ-გონიერნი ქართველნიც სთხოვდნენ და ურჩევდნენ ირაკლის საქართველოს ერთის სამეფოდ შეერთებას, მაგრამ მან თავის ტოლის დარეჯანის ჩაგონებით და ზედ მოქმედებით უარ ყო ეოველი რჩევა იმ უსაფუძვლო საბუთით, რომ ჩემი ქალის შვილი სოლომონი უნდა გავამეფოო. ამ განზრახვით ირაკლიმ გაგზავნა იმერეთში 400 კაცი ჯარი, რომელმც განდევნა მეფე დავით II და გაამეფა ირაკლის შვილის-შვილი სოლომონ II 1788 წ. ირაკლის მფარველი სპარსეთის ქერიმშაჰი გარდაიცვალა და ახალმა ყეენმა დამორჩილება მოსთხოვა ირაკლისა, რომელმაც უარი ყო სპარსთთან ერთობა და რუსეთის ერთგულობა ითხოვა. თუმც ოსმალთ გამოიღალაშქრეს საქართველოზედ, მაგრამ ირაკლიმ დაამარცხა იგინი და განდევნა. მოსუცებულობის ჟამს ირაკლი გამწარებული იყო ერთის მხრით თავის ოჯახშიეე არეულობით, მეორეს მხრით ტფილისის ალხრეთით. თუმცა გიორგის ეგუთვნოდა შემდეგ მეფობა, მაგრამ დარეჯან დედოფალი, მესამე ცოლი ირაკლისა სცდილობდა მეფობას თავის უფროსის შვილისათვის იულონ ასათვის. თავმოყვარე დარეჯანმა ჩააგონა ირაკლეს სიცოცხლეშივე გაეყო მამული თავის შვილებისათვის და ეს უკანასკნელი გარემოება შეიქმნა საქართველოს ალხრეთის მიზეზად ალა-მაჰმად-ხანისაგან.

IV.

1795 წ. ალა-მაჰმად-ხანმა გამოგზავნა კრეკნის დასაპყრობად თავისი ძმისწული ფეტ-ალი-შაჰი. ირაკლი წავიდა ჯარით, დაამარცხა სპარსები და დაიპყრა ერევანი. ამით განარისხა ალა-მაჰმადი ქართველებზედ. ის წამოვიდა ტფილისისაკენ. მეფე სოლომონიც ტფილისში იყო ამ დროს. თუმცა მოწინავე ჯარი სპარსებისა დამარცხებულ იქმნა იმერ-ქართველთ განი, მაგრამ მეორეგ როდესაც ტფილისს მოაწვა მთელი მხედრობა ალა-მაჰმადხანისა, ქართველები დამარცხებულ და ლტოლვილ იქმნენ. თვით მეფეებმა ძლივს მოასწრეს ტფილისიდამ გაქცევა. «ალიღეს სპარსთა ტფილისი», მოგვითხრობს «ქართლის ცხოვრება» და მიუღეს ყოველივე თოფხანა მეფეს. დღესა ამ.ს იყო მხნედ მეფის ძას-ძე იოანე. ეგრეთ შეეთუ იგი არა ყოფილ იყო მუნ, შეიპყრობდნენ მეფესაცა. თუმცა ვაჟკაცურად იბრძოდნენ ქართველნი «ერისა და ქვეყნისათვის», მაგრამ ქართველების გმირობამ ვერ დასძლია შავ-მხვედრი: «წახდა ტფილისი და მასთან დაემხო ძველი ივერია». ირაკლი წავიდა მთიულეთისაკენ, ხოლო სოლომონ II მცხეთაში, სადაც იყო ქათალიკოზი ანტონი II, ძე ირაკლი II სა. ტფილისის მიტროპოლიტი დოსითეოს კრებულითურთ გამაგრდა სიონის სობორში, მაგრამ სპარსებმა შეამტვრიეს ტაძრის კარები, დასწვეს მშვენიერი კარკელი, დახოცეს სამღვდელონი, თვით მოხუცი მიტროპოლიტიც კი არ შეიწყნარეს და გარდაგდეს ალეღებულ მდინარე მტკვარში,

გაძარცვეს ხიონი და გამოვიდნენ. გადარჩა მხოლოდ ძეირფასი ივერიის ღვთის მშობლის ხატი, რომლის გამოტანა და დამალვა მოასწრო ხიონის კანდელაკმა მშვენიერი და დიდებული როსტომ მეფის აშენებული სასახლე დასწვეს, როგორც დანაშთენი ტფილისი. დიდი და მცირე, ქალი და კაცი მოხუცი და ყრმა განურჩევლად და შეუბრალებლად იყლიტებოდნენ გაძვინებული სპარსელებისაგან. გამოვიდნენ ტფილისიდგან სპარსელნი მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი ცოცხალი ადამიანი აღარ დარჩა! ტფილისის ალხრეა გაგრძელდა ექვსი დღე 11 — 17 სექტემბრამდის. 1795 წ. ალხრების შემდეგ ტფილისი წარმოდგენდა ნაცრისა და ნანგრევის ქვითკირის გროვასა. დ ბრძოლების დროს საქართველოდგან, ალა-მაჰმედ-ხანი მოკლულ იქმნა თავისვე მოსურის განდ სპარსეთის ტახტზედ ავიდა ფეთ ალი-ხანი. იმპერატრიცა ეკატერინა II გამოგზავნა საქართველოში ჯარი გრაფ-ვალერიას ზუბოვის წინამძღოლობით, რომელიც 1796 წ. დაიპყრა სპარსთაგან დერბენდი, შემახია, ბაქო, სალიანი, განჯა და შემდეგ გმხედრების გაგრძელება შეეეწებულ იქმნა ეკატერინე II სიკვდილისა გამო. 80 წლის ბოხუცს შეეშვა, შეეწუკეტელის ომისაგან და თვით ხნიერებისაგან დაუძლურებულს, ოჯახის არეულობამ და ტფილისის წახდენამ სრულიად ბოლო მოუღეს. ეკანასკნელი ორი წელიწადი მეფობისა ირაკლიმ გაატარა თელავში და 52 წლის თვისის გმირულის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა 11 იანვარს 1798 წელში ქ. თელავში დიდი ჯავრით საქართველოს უბედურებაზე და თავის ძეთა-

შორის არეულობაზედ. კიდრე ტოტსალი იყო ირაკლი, ეკალ: მტერს საკვირველის სიწრაფით და კუკუტურად აგებდა ბასუსა და გარდაიცვალა თუ არა, გარდაიცვალა ამუდამად ორი ათასის წლის სამეფოტა. აი ამისთვის წერს ჩვენი პოეტი:

«დღენი ამისნი ემსგავსნენ წასკენებულსა ბრწყინვით მზეს,
«მას შეჭი თუ ცა ბვინითებს, მაგრამ ველარ ვმზერთ მასს სახეს;
«მამული ველარ ისილავს ირაკლეს ხმალსა მღელვარეს,
«და დება ეკრიისა მასთან მარ ბა სამარეს!»

---

54. ანტონ I საქართველოს ქათალიკოზი.

«მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან
და არა მოვიცალე საქართველოისა შსაურებისაგან.»
ბაუმეისტრის ფილოსოფიის წინასიტყვაობა, დაწერილი თვით ანტონის მიერ.

ანტონ I ქათალიკოზი ერის-კაცობაში იწოდებოდა თეიმურაზად. იგი დაბადა 1720 წ. მამა მისი იყო ქართლის მეფე ეასე (1714—1716), ძე ბატ. — შვილის ლეკანისა და ძმისწული ქართლის მეფის ვახტანგ VI სა. დედა ანტონისა იყო ელისაბედ (ელენე ანუ ბეგუმ), ასული მეფის ირაკლი I-ისა. ხუთმეტს წლამდის ანტონი იზრდებოდა დაკით-გარეჯის უდაბნოში; ხოლო ხუთმეტის წლისამ შეირთო ცოლად გიგი ამილახვრის ასული. ანტონის ცოლთან დიდი ხანი არ დაუყვია: ჯვარის წე-

რის პირველსავე წელს ნადირშაჰმა მოსთხოვა გიორგი ამილახვარს თავისი ქალი, ანტონის ცოლი. ამილახვარმაც გაუგზავნა. ანტონი თვისის დედით წავიდა იმერეთში და აქედან რუსეთში და 1738 წ. მიავიდა ასტრახანში და მეორე წელში (1739) მიიღო ბერობა. 1741 წ ანტონს ვხედავთ ქუთაისის ეპისკოპოზად. ამავე წელში ანტონი მოვიდა თელავში, სადაც სცხოვრებდა მეფის თეიმურაზ II ის ცოლის თამარის სასლში. ჯერ 1742 წ. აღმოაჩინ ვეს ანტონი საქართველოს ქათალიკოზად, მაგრამ უარ-ყო. შემდეგ ორის წლისა ანტონი კვლად იქმნა აღრჩეულ საქ. ქათალიკოზად... ანტონი, როგორც ქათალიკოზი და მამეფის ერთგული შვილი, ყოველ-გვარ საქმეებში იღებდა მხურვალე მონაწილეობასა; მაგრამ განსაკუთრებითი მისი უურადღება მიქცეული იყო თვისის საშწაოის დაცემულის ზნეობის აღდგენაზედ. ამ მიზნის მისაღწევად ანტონი ჩვეულ რობს ყოველ-გვარ გონიერ საშუალებათა: შედის საღხის ცხოვრებაში; მისის წინამძღოლობით საძღვდელოთ კრება ტფილისში ახლებს საეკლესიო წიგნთა ბეჭდვასა, რომელიც შეჩერებული იყო 1723 წ.... — საეკლესიო და საზოგადო საქმეებთან, ანტონმა არც საშობლო ენა და მწერლობა დასტოვა უყურადღებოდ; იგი შეუდგა სჩვა-და-სხვა თხზულებათა წერასა და სახელმძღვანელოთა წერა-გარ დმოღებასა. თვისი ლიტერატურული შრომა ანტონმა დაიწყო ლექსით «ანბანთ ქება». გადმოთარგმნა «დიალექტიკა»; «ათონი კატეღორიანი არისტოტელისა», «ძმა-მეტუველება», «ქართული გრამმატიკა». ამ ორის უკანასკნელის თხზულე-

ბის დაწერაში ანტონს შეეფოდნენ კათოლიკების მიხსნა-ონერები, რომლებთან ანტონის დაახლოებას ჭქონდა ის შედეგი, წ. რომ 1755. ანტონი „იქმნა შეცდომილი და მიიღო სარწმუნოება რომის კათოლიკისა". ამის თვის სამღვდელოთა კრებამ მეფის თეიმურაზის თანა დასწერა-ბით 16-ს ქრისტესშობისთვეს 1755 წ. „დაამხო ანტონი საყდრიდგან მისისა", ე. ი. აღუკრძალეს მას წი-რვა-ლოცვა. მაგრამ როდესაც ანტონმა თხოვნით მეფის თეიმურაზისადმი შეინანა თვისი შეცთომილება, სამღვ-დელოებამ და მეფემ მიჰსცეს მას ნება წირვისა აღდგომის დღეს და შემდეგ გაისტუმრეს რუსეთისაკენ, აპრილში 1756 წ. 1757 წ. ანტონი მოვიდა ს.-პეტერბურღში და ჭსთხოვა იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულს მი-ღება და ადგილი საცხოვრებლად. როდესაც სინოდმა ჭსცნა ანტონი „მართლ-მადიდებელ" ქრისტიანად,—იმპე-რატრიცის ბრძანებით ანტონს მიჰსცეს ვლადიმირის მთა-ვარ ეპისკოპოზობა. ვლადიმირში ანტონი მიეცა მწერ-ლობასა: მან აქ შეითვისა ლათინური, შეისწავლა რუსე-ული და იწყო სხვა-და-სხვა თხზულებათა თარგმანი ქარ-თულად; გადმოჭსთარგმნა: „წიგნი საწელიწადო თვეთა"; „წიგნი პარაკლიტოს"; „ტიბიკონი"; „სადღესასწაულო"; „ახალი აკილოსოფია ბაუმეისტრისა"; „ფიზიკა თეორე-ტიკებრივი"; „ისტორია აღექსანდრე დიდისა" და სხვა-ნი მრავალნი. 1762 წ. გარდაიცვალა ანტონის მტერი, თეიმურაზ II და ამის ნაცვლად ქართლ-კახეთში გამეფდა ირაკლი II. ეს უკანასკნელი 1756 წელშივე სწერდა ან-ტონს რუსეთში: „მე უშენოდ ვერ კიქმნები, თორმ

ბოლოს გამოჩნდება; მე უშენოდ არა მიამება რა»... ირაკლიმ თავის მამის სიკვდილის შემდეგ გამოიწვევა რუსეთიდგ ნ ანტონი... სამმობლოში დაბრუნების შემ. დ.გ ანტონმა გ ხ ნა ორი სემინარია: ერთი ტფილისში და მეორე თელავში. ამ სემინარიებში ასწავლიდნენ: გრამმატიკას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ღვთის-მეტყველებას, ისტორიისა და სხვა სამეცნიერო საგნებსა. ეს სასწ ვლებ ლნი ინახებოდნენ მეფის ირაკლი II-ის ხარჯითა. სემინარიის მასწ ვლებ ლთა და მოსწ ვლეთათვის ქათალიკოზმა ანტონმა შ ედგინა სასელმძღვანელოები: რიტორიკა, ბ ტიკლორია, კატესიზმო, მოკლე და ვრცელი გრამმატიკები, მარტორიკა, ღვთის მეტყველება, წოდიდ-სიტყვაობა, საქართველოისა მეფეთა შთამამავლობისათვის; ისტორია ეკ ლოს კრებათა; ანბოლოლია; ქადაგებანი მრავალნი და მრავალი სხვა თხზულებანი, რიცხვით ორმოცდა-სამ წიგნამდე (43). ამ გვარად გაატარა ანტონ ქათალიკოზმა თვისი სიცოცხლე საქართველოს კეთილ ეიისა, საზოგადოებისა და მწერლობის ასპარეზზედ და გარდაიცვალა 1788 წელში. ანტონ I-მა დაუტოვა თვისი ადგილი თავის მოსახელეს ირაკლი II-ის ძეს ანტონი II-ს, უკანასკნელს საქართველოის ქ თალიკოზსა.

55 ქარიული საერო და სასულიერო მწერლობა XVIII და XVII საუკუნეებში.

როგორც ვსთქვით, თამარ მეფის დროს (1184—1212) საქართველოში მრავალი ნასწავლი ქარიველები მოიპოვებოდნენ. თუმცა თამარის დროის მწერლებს ნიჭიერობით და მწერლობით შემდეგი საუკუნეების მწერალნი ვერ შეედრებიან; მაგრამ მეორეს მხრით—შემდეგნი მწერალნი უფრო დაახლოებულნი არიან ბუნებასთან და ცხოვრებასთან. თამარის დროის მწერლები თავის თხზულებებში მომტკბულს ნაწილად აღგვიწერენ ისეთს სიგნებს, რომელნიც მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფნი არიან, წარმოგვიდგენენ იმისთანა მოქმედ პირებს, რომელთ მოქმედებანი თითქმის სრულიად არ მიემსგავსებიან ნამდვილის ადამიანის მოქმედებასა. მაშინდელს მწერლებში მხოლოდ შოთა რუსთაველმა შეიძლო დაახლოება მაშინდელის ქართველების ცხოვრებასთან; მხოლოდ რუსთაველმა შეიძლო ნამდვილის ადამიანის გრძნობების გამოხატვა. ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ იმ დროს კიდევ დიდი იყო იმ ინდოეთის უშვერის რწმენის გავლენა, რომელიც ქართველებმა შემოიტანეს კახტანგ გორგ-ასლანის დროს. თამარის შემდეგ ქართული მწერლობა შეუერთებული იყო მონგოლებისა და თუ-

მურ-ლენგის შემოსეკითა და ალარ აღდგენილა მე XVII საუკუნემდის, კიდრე მეფე თეიმურაზ I-მა არ დაიწყო მწერლობა და არ მისცა მწერლობას სრულიად ნაციონალური მიმართულება. ამ მხრით თეიმურაზ I ფრიად შესანიშნავი და სასარგებლო იყო მეთვრამეტის საუკუნის მწერლობისათვის. თეიმურაზ I, შეიძლება ვსთქვათ, იყო წინამორბედი, ქვა-კუთხე იმ მწერლობის განცხოველებისა და განახლებისა, რომელსაც ვხედავთ ჩვენ მე XVIII საუკუნეში. თეიმურაზ I-ს ეკუთვნიან შემდეგნი თხზულებანი: ლექსი „ვარდ-ბულბულიანი“, „მირიანიანი“, მოთხრობა, „ლეილიანი“—მოთხრობა; ზოგიერთი ქრისტიანულის დოღმატები გალექსილნი და სხვანი მრავალი წვრილი ლექსები; მაგ. «გრემის სასახლეზედ» (შესხმა) «საქართველოს ძველთა და ახალთა მოლექსეთა სახელნი» და სხვა. მე XVII ეკუთნის კახეთის მეფის არჩილის (1664—1675) მშვენიერი თხზულება «არჩილიანი» (ლექსი), რომელშიაც დიდის ხელოვნებით აღწერილია თეიმურაზ I-ს ცხოვრება და მისი დრო, ოსებ თბილელის თხზულება, „დიდ-მოურავიანი“. ამავე საუკუნეში სცხოვრებდა ს

ებით» და «საქართველოს ისტორია» მოუვანილი 1745 წლამდე. შესანიშნავია თავის მწერლობით აგრეთვე ზაქარია გაბაშვილი (ნამოძღვარი), რომელსაც ეკუთვნის თხზულება «კატის ომი»: თელავის რექტორი, (შემდეგ ასტრახანის მთავარ ეპისკოპოზი), გაიოზი და ამბროსი-ნეკრესის ეპისკოპოზი შესანიშნავნი არიან უფრო სასულიერო მწერლობით და ნამეტნავად ქადაგებით. გაიოზს სხვათა შორის ეკუთნის (რუსულათ) საეკლესიო «ისტორია» «მღვთის მეტუველობა» (რუსულათ); ზნეობითი სწავლა, („საეკლესიო ისტორია») ქართული «გრამმატიკა»; განმარტება რომელთამე საღმრთო წიგნთა, «წერილები საქართველოს ისტორიაზე», «მოკლე კატიხიზმო“, რამედენიმე სიტყვა წარმოთქმული მისგან თელავის სემინარიაში.

შესანიშნავია საერო მწერლობაში (ისტორიულ თხზულებაში) მე XVIII საუკუნეში უფრო დავით გურამიშვილი. ამ უკანასკნელმა მისცა ნამდვილი სალხური კილო და მიმართულება ქართულს მწერლობასა. ამან შეამუშავა ქართული ენა იმ მწერალთათვის, რომელნიც გამოჩნდნენ მე XIX საუკუნეში. დავით გურამიშვილის თხზულებაში, რომელიც იწოდება „დავითიანად“, დიდის ხელოვნებით და მაღალის ნიჭით გამოხატულია ერთი ტრაგიკული და სამწუხარო ჟამი ქართველის ერისა — გახტანგ VI დრო. მთელს თხზულებაში აღწერილია საზოგადო ტანჯვა საქართველოს ერისა და მის მეფეებისა. აქ იხატება ქართლ-კახეთის მეფეების ერთმანეთთან შური, რომლით ისარგებლეს ოსმალ-სპარსელებმა

და მოაოხრეს საქართველო. საზოგადოდ დავითაანში ხან მოთქმით ტირილია საქართველოს უბედურებაზედ, ხან ნაღვლიანი დაცინვა ქართველების ზნეობით წასდგომაზედ და ხ ნ იმედი საქართველოს ერის აღდგენაზედ...

---

56. გიორგი XIII მეფე ქართლისა და კახეთისა 1798—1801; გაგრძელება იმერთა მეფის სოლომონის II მეფობისა;

საქართველოს ფეერთება რუსეთთან.

I

რადესაც ბორჩალოში მოდგს გიორგის შეატყობინეს მამის სიკვდილი, მას იქვე მიუღოცეს მეფობა. გიორგი მივიდა თელავში 22-ს თებერვალსა; იტირა მამა თვისი, გარდასხდეინა ეპისკოპოსი ლ შევიდა თავის დედა-ნაცვალთან სამძიმრის მოსახსენებლად. შემდეგ უბძანა კრებულსიაში დასვენება ჯვარ-სახარებისა და ფიცის ფურცლისა, რომელზედაც უნდა დაეფიცნათ გიორგის ერთგულებაზე და მემკვიდრეობაზედ. ყველამ, გარდა დარეჯან დედოფლისა, შეჰფიცეს გიორგის ერთგულება, ვითარცა კანონიერ მემკვიდრესა და მეფესა. გიორგი და დარეჯანი ტფილისში წავიდნენ და დარეჯანი ალაბარში გადვიდა ცხოვრებლად. დარეჯანი ყოველს ღონისძიებას ხმარობდა გიორგის სიძულვილის თავლში დამტირებისათვის და

სცდილობდა ეგონა რაიმე მეფისათვის, მაგრამ ვერ ახერ-
ებდა... თვით დარეჯანის შვილებიც არ ემორჩილებო-
დნენ მეფესა და ეკელამ თვისი თავი მეფედ გამოაცხა-
და, იულონი ქართლში გამეფდა, კახტანგ ანუ ალმ.ს.
ანი—არაგვის საერისთავოში, მირიახი მარტყოფში, ფა-
რნაოზი სურმში; ალექსანდრე სპარსეთში გაიქცა. და
ამ წინააღმდეგობით რომ არ სჯერდებოდნენ, სპარსეთ-
სა სთხოვდნენ შემწეობასა. ამ არეულობის მხილველმა
მეფემ გიორგი XIII გადასწყვიტა რუსეთთან საუკუნოდ
შეერთება თვისის სამეფოისა, რადგანაც დარწმუნდა,
რომ იგი ვერც წინააღუდგებოდა შინაურსა და გარეულს
მტერთა, ვერც განაახლებდა გაოხრებულს საქართველოსა.
საქართველოს ყველა წოდების წარჩინებულთა თანხმობი-
თ სთხოვა გიორგი XIII იმპერატორს პავლეს 1800 წ.
საქართველოს მიღება სამუდამოდ რუსეთის ქვეშევრდო-
მობაში და ამასთანავე სთხოვა ჯარი ლეკთა წინამძღო-
ლის ომარ-ხანის მოსაგერებლად. იმპერატორის პავ-
ლეს მანიფესტით 1800 წ. 18 დეკემბერს საქართველო
იქმნა მიღებული რუსეთის ქვეშევრდომობაში, ხოლო
იმპერატორის ალექსანდრე I მანიფესტით 1801 წ.
12 სექტემბერს დამტკიცებულ იქმნა პირველი მანიფეს-
ტი. მეფის გიორგი XIII სიკვდილით 1801 წ. მოა-
ხლო ბაგრატიონების ათასის წლის მეფობა; მოაისპო
აგრეთვე ორი ათასის წლის საქართველოს „დაუმოკი-
დებლობასა“, რომლის დაცვისათვისაც ბევრ დიდი და
მრავალი მსხვერპლი დასდვა საქართველოს ერმა. რუს-
თთან შეერთების შემდეგ მთავარ-მმართველად გენერალი

ბონაპარტი დანიშნეს; შემდეგ ციციანოვი, რომლის დროსაც 1804 წ. სამეგრელოც შეუერთდა რუსეთსა.

II

იმერეთის მეფე სოლომონ II თუმცა შეწუხებული იყო მტერთაგან—ოსმალთაგან, მაგრამ ის არ აბირებდა თავის სამეფოის რუსეთთან შეერთებასა. რუსეთის გენერლებმა ბირობა მისცეს, რომ სოლომონ მეორეს სიცოცხლეში არას განიზრახავენ იმერეთის წინააღმდეგ, გარდა მფარველობისა. სოლომონ II 1805 წლიდამ შეუდგა იმერეთის წარმატებაში შეყვანას: გამართა ქუთაისში სტამბა, რომელშიაც აღბეჭდა თითქმის ყველა საჭირო საეკლესიო წიგნები, გახსნა იმერეთში რამდენიმე სასწავლებელი იმერეთის ახალგაზდობისათვის და ამ გვარად მიჭეო ხელი იმერეთის ყოველის მხრით განკარგულებასა. ოსმალების ჩაგონებით და ოსმალებისაგე შემწეობით სოლომონმა განიზრახა რუსების განდევნა იმერეთიდგან. როდესაც ეს განზრახვა შეიტყო ქართლ-კახეთის მთავარ-მმართებელმა, დაიბარა სოლომონ ტფილისში. სოლომონ II ჩამოვიდა ტფილისში, მაგრამ რადგანაც მთავარ-მმართებელი ტფილისში არ იყო, სოლომონი ოსმალეთში გაიქცა. მოიყვანა ოსმალოს ჯარი იმერეთში და რამდენიმე თვის განმავლობაში ებრძოლა რუსებსა, მაგრამ დამარცხებული ყველგან და ყოველთვის რუსთაგან, სოლომონ ხელ-მეორედ გაიქცა ოსმალეთში. შემდეგ ამისა იმერეთი, გურია და სვანეთიც შეეერთ-

დნენ რუსეთსა. სოლომონ II გარდაიცვალა ტრაპიზონში 1815 წელს. ამ გვარად მოისპო თავისუფლება იმ ჟამისა, რომელიც სამი-ათასის-წლის განმავლობაში იბრძოდა მამულისა და თავისუფლებისათვის. ასურელნი ბაბილონელნი, სომეხნი, ხოსარნი, სპარსნი, მაკედონელნი, ბერძენნი, რომაელნი, არაბნი, თათარნი, მონგოლნი, კავსასიის მთის ხალხნი და ოსმალონი,—ყველა ეს ხალხები სცდილობდნენ საქართველოს დამონაგებასა, ალხრეგდნენ ველურად ბაღებს საქართველოსას, ანგრევდნენ ქალაქ-სოფლებსა, ყლეტდნენ და იტაცებდნენ ქართველთ, მაგრამ გმირ ქართველთ სისხლი და თავისი სიცოცხლე არ დაუშურებიათ მამულისათვის ს უგერებიათ თავისზედ ათ-ჯერ-ოც-ჯერ უმრავლესი მტერი. ერთის სიტყვით, როგორც გსცანით, — ისტორია საქართველოსი — არის ისტორია—ანუ უკად გსთქვათ—მოთხრობა ერთის ერცელის და დიდის ხნის შეუწყვეტლის (ომისა) ბრძოლისა და ამ შეუწყვეტელის (ომის) ბრძოლის ხსვა და ხსვაობა მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ საქართველო ებრძოდა ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მეხუთეს ს ხსვა მტრებსა...

დამატებანი

მოკლე მოთხრობა საქართველოს მოსამზღვრე ქვეყნებზე და ხალხებზედ.

1 ზოროასტრის რჯული. ზოროასტრი ჭეშტოვრებდა მე VI საუკ. ქრისტ. შობამდინ. სპარსთა სარწმუნოება ზოროასტრამდინ სავსე იყო ცრუმორწმუნებითა, რომლის აღმოსაფხვრელად და მოსასპობლად ზოროასტრმა განიზრახა ასალის რჯულის დაარსება; ამის თვის მან კარგა ხანს იმოგზაურა მრავალს ქვეყნებში და ბოლოს შეჯდა ერთს მღვიმეში, სადაც შეადგინა თვისი რჯული, რომელიც განმარტა ოცდა-ერთს წიგნში, რომელნიც იწოდებიან „ნასკად“. ზოროასტრის სწავლით, არსებობს ორი ღმერთი—კეთილი — ორმუზდი და ბოროტი—არიმანი. ამ ორს ღმერთზედ უფროობს უზენაესი ღმერთი—ზერვან-აკერანი, რომლის ნებართვით მოქმედებენ ორნი ზემოდ მოხსენებულნი ღმერთნი ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად — და სულ სხვა - და - სხვა მიზნით. ორმუზდი, როგორც ღმერთი კეთილისა, განაგებს ბუნების შეუცვლელს კანონებსა და იცავს წესიერებასა. არიმანი კი, წინააღმდეგ ორმუზდისა, არღვევს წესიერებასა- და ჭსტდიდობს ადამიანს უბედურება და ბოროტება მიანიჭოს... მაგრამ მოვა დრო, როდესაც

ორმეზდი და ჰ ბლევს არიმ ნსა და ადლეპავს წუ:დიადში; ამის შემდეგ ქ:ეუანაზედ დამყარდება ბოლოდ კეთილი.. ზორაასტრი სხვათა შორის ქადაგებს ურთი-ერთს შორის სიყვარულსა, თავმდაბლობასა, შვილთა სწავლაში აღზრდასა, ოჯახის კეთილის საქმის გაკეთებასა და სხვა...

---

2. ა'ურელნი—ჰსცხოვრებდნენ აზიაში, მდ. ტიგრის დასავლეთად, სომხითის მახლობლად. იგინი შთამომავლობდნენ ნოეს-ძის სიმის შვილის ასურისაგან. ასურეთის სასელმწიფო დააარსა ბელმა 1993 წ ქრისტ. შობამდინ. ბელის ძემ ნინმა შემოუერთა ასურეთს სომხითი, ეხლანდელი სპარსეთი და დაიმორჩილა აზიის უველა ჩრდილოეთის ხალხები. ნინის ცოლმა—სემირამიდამ განავრცო ასურეთის საზღვრები ინდოეთამდინ და მშვენიერის შენობებით შეამკო ქ ბაბილონი (1916-1874). შემდეგ ასურეთი განიეო რამდვენსამე წრილ-წკრილ სამეფოდ და ბოლოს, მე VI საუკ. ქრისტ. შობამდინ იგი დაპურობილ იქმნა სპარსთა მეფის კვიროსისაგან...

---

3 ეგვიპტელნი.—ცხოვრებდნენ აფრიკის ჩრდილოეთს ნაწილში მდ. ნილის ორივე ნაპირზედ. ეგვიპტელთ პირველ მეფედ ცნობილია მენეს — 3892 ქრ. წინ, რომელმაც აღაშენა ქ. მემფისი. ოთხასის წლის შემდეგ მეფემ ხეოპსმა აღაშენა უზარ-მაზარი გოდოლი (პირამიდა) 3000 წ. წინად ქრისტ. ეგვიპტელნი ფრიად განძლიერდნენ და შეიძინეს მრავალი მეცნიერებანი. მე XVII საუკ. ქრ. წ. ხელახლად განძლიერდნ ეგვიპ-

ტელნი შეფის სტოსისა და რამზეს II-ს (სეზოსტრის) დროს. შემდეგ ეგვიპტელნი თან-და-თან უძლურებაში შევიდნენ სხვა და სხვა ათვრიკის სალხებთან ბრძოლისაგამო და მე VI საუკ. იგი დაიპყრო სპარსთა მეფემ კამბიზმა; მე IV საუკ. ეგვიპტე დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმა, რომლის შემდეგ პტოლომეებმა აღაშენეს ქ. ალექსანდრია მდ. ნილის ხმელთა-შუა ზღვასთან შესართავთან და ეს ქალაქი შეიქმნა მთელის ხმელეთის მეცნიერების ტაძრად ს მეცნიერთა ბუდედ... 30 წ. ქრ. შობამდინ ეგვიპტე დედოფლის კლეოპატრას დროს სრულიად დაუძლურებული, დაიპყრეს რომაელთ. პირველს საუკუნოებში ეგვიპტის მღვიმე-უდაბნოები იყვნენ ადგილ-სამოსებად განდეგილ და მეუდაბნოე ქრისტიანებისა. მე VII საუკ. ქრ. შემდ. ეგვიპტე დაიპყრეს არაბთ; ბოლოს დაიპყრეს ოსმალთ და ესლა, თუმცა ეგვიპტეს თვისი საკუთარი სულთანი ჰყავს, მაგრ მ ექვემდებარება ოსმალეთს...

---

4. საბერძნეთი — მდებარეობს ევროპაში, ბალკანის ნახევარ-კუნძულზე და უკიროვს ნახევარ-კუნძულის სამხრეთი ნაწილი. ელლინები-ბერძნები უუძველესის დროდგან დასახლებულან ესლანდელს საბერძნეთში. მე XI საუკ. ქრ წინ საბერძნეთში შევიდნენ დორელნი; ამაგვ დროდგან იწყობა საბერძნეთის განძლიერება და მისგან მცირე აზიაში და დასავლეთს საქართველოში დაარსება ახალ-შენების (კოლონიებისა). ძველს საბერძნეთში თვითეული ქალაქი შეადგენდა ცალკე რესპუბლიკასა. მე-IX საუკ. ქრ. წინ. ბრძენმა ლიკურღმა შეადგინა კანონ-

ბი ანუ სჯული, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ ბერძნებსა... მე V საუკ. საბერძნეთი უფრო განძლიერდა სპარსეთთან ბრძოლის შემდეგ, როდესაც სპარ ეთი სრულიად დაემხო. ამ დროს და წინადაც საბერძნეთი იყო პირველი განათლებული, მოვაჭრე, მდიდარი და ძლიერი სახელმწიფო მთელს ქვეყანაზედ. მე IV საუკ. ქრ. წინ საბერძნეთის ქალაქებს მოუხდათ ერთი-ერთ შორისი ბრძოლა იმაზედ, თუ რომელი ქალაქი უნდა ყოფილიყო უფროსი საბერძნეთში... ამ ბრძოლაში გაერია მაკედონიის მეფე ფილიპე და დაიმორჩილა საბერძნეთი. ფილიპეს შვილმა ალექსანდრე დიდმა სრულიად დაიმორჩილა საბერძნეთი. მე II საუკ. ქრ. წინ საბერძნეთი დაიპყრეს რომაელთ და ფრიად შეაიწროეს. მე III საუკ. ქრ. შემდეგ იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა აღაშენა ქ. კონსტანტინეპოლი და რომიდამ აქ გადმოიტანა სამეფო ტახტი; ამავე დროს საბერძნეთში აღიარებულ იქმნა ქრისტიანობა სუოველთა და სახელმწიფო სარწმუნოებად. მე IV საუკ. კონსტანტინეპოლიდამ მოვიდა სამღვდელობა საქართველოში ხალხის მოსანათლავად... მე V საუკ. რომის იმპერია განიყო რამდენსამე ნაწილად ს საბერძნეთი—ბიზანტიის იმპერია დარჩა ცალკე სახელმწიფოდ ბალკანის ნახევარ კუნძულზედ. ამის შემდეგ ხალხის ზნეობით დაცემისა გამო საბერძნეთიც დაუძლურდა; და თავის სამფლობელო ნაწილები თან-და-თან გამოეცალა ხელიდგან და ბოლოს, 1453-ს წ. თვით კონსტანტინეპოლი დაიპყრეს ოსმალთ და მოსპეს სრულიად საბერძნეთის სამეფო. მე XVIII საუკ. საბერძნეთში გაიღვიძა ხალხმა და შეუდგა განთა-

ვისუფლების საქმეს. თუმცა ოსმალეთმა მრავალი ბერძნები იმსხვერპლა, მიგრამ ბოლოს, 1828 ს წ. ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა დამარცხეს ოსმალეთი და განთავისუფლეს საბერძნეთი.. ამ ჟამად საბერძნეთი მცირე საკორონოა და მდებარეობს ბალკანის ნახევარკუნძულის სამხრეთს ნაწილზედ...

---

5. ხაზარნი — ჩამოსახლებულნენ კავკასიის მთა-გრეხილის ჩრდილოეთად, მოუოლებული კასპიის ზღვიდამ — შავ: ზღვამდინ და აქედგან ილაშქრებდნენ ხან სამხრეთისაკენ — სპარსეთზე და საქართველოზე, ხან ჩრდილოეთისაკენ — რუსეთზე. ხაზართ. სხვათა შორის ალმოაჩინეს დარიალის გასავალი გზა საქართველოდგან — რუსეთისაკენ. ხაზარნი კარგა ხანს შეადგენდნენ მძლე-კრეს ხალეფოსა და შემდეგ დაუძლურებულ და დაპყრობილ-იქმნენ რუსთაგან...

---

6. სპარსეთი — მდებარეობს კასპიის ზღვის სამხრეთად. სიერცე სპარსეთისა დროთა კითარებისა-და-გვარად იცვლებოდა, აწინდელნი სპარსნი წარმოსდგნენ ფასაგარდთაგან. მე VI საუკ. ქრ. წ-ნ სპარსეთი დაიპყრა ახამენიდმა კეირუსმა, რომელმაც დაიმორჩილა მთლად მცირე აზია. კეირუსის შვილმა კამბიზმა დაიპყრა ტირი, ქაირი და ეგვიპტე; დარი-ისტასპმა-ფრაკია და მაკედონია. მაგრამ მე IV და V საუკ. ქრ. წინ სპარსეთი დაუძლურდა საბერძნეთისაგან; ასე რომ დარიუ კოდომანის დროს შინაგრის არეულობისა გამო სპარსეთის სამეფო

დაიპყრა ალექსანდრე მაკედონელმა. რომლის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის მეფეებად სელევკიდები დადგნენ. შემდეგ ამათისა, — არშაკუნიანებმა დაიპყრეს სპარსეთის სამეფო ტახტი. მე III საუკ. ქრ. შემდეგ სპარსეთის ტახტი დაიპყრეს სასანიდებმა, რომელთაც განაძლიერეს თავისი სამეფო; ასე რომ ხოსრო-ნუშრევანის დროს მე VI საუკ ქრ. შემდ. სპარსეთის საზღვრები ინდოეთამდინ და ხმელთა-შუა ზღვამდინ მიაღწევდნენ. დიდად განძლიერდა სპარსეთი ქსერქ (ხოსრო) II დროს მე VII საუკ... შემდეგ სპარსეთი დაიპყრეს არაბთ, რომელთაც ეპყრათ იგი მე XIII საუკ-მდინ. შემდეგ სპარსეთი მონგოლთ დაიპყრეს და ეპყრათ მე XV საუკ-მდინ, როდესაც სპარსეთი თურქმენებმა დაიპყრეს, რომელთ წინამძღოლი იზმაილ-სოფი ითვლება დამპარსებლად ახლანდელის სპარსეთისა. სპარსეთი განძლიერდა მე XVII საუკ. შაჰ-აბაზ I დროს და მე XVIII საუკ. ნადირ-შაჰის დროს... მე XIX საუკ. სპარსეთი თან-და-თან უძლურებაში შედის...

---

7. მაკედონელნი — შთამომავლობით ბერძენნი. ჭაბუკობენ ბალკანის ნახევარ კუნძულზედ, საბერძნეთის ჩრდილოეთად. მაკედონია, როგორც კარგი სამეფო, გამოჩნდა მე VI საუკ. ქრ. წინ; განძლიერდა ფილიპე II დროს მე-IV საუკ. და ალექსანდრე დიდის დროს (333—320) შეიქმნა ნახევარ ხმელეთის მეფეობად. შემდეგ მე II საუკ. ქრ. წინ მაკედონია დაიპყრეს რომაელთ...

8. სომეხნი — ჭალისანნი — ჰსტეოგრებდნენ (და მცირედი ეხლაც ჭსტეოგრებს) საქართველოს სამხრეთად, მცირე-აზიის შუა-გულ, რომელზედაც მოქმედნარეობენ მდინარენი: არეზი, ტიგრი, ევფრატი და სხვანი. სომეხნი შთამომავლობენ ქართლოსის ძმის ჭალისისაგან. მათი სამეფო დაიწყო მე VI საუკ. ქრ. წინ; მაგრამ სომხეთი მომეტებულს დროს უფრო ეძვემდებარებოდა თავის მოსაზღვრე სახელმწიფოებს, როგორც სპარსეთს, ასსურეთს, საბერძნეთს, რომაელებსა და სხვებსა. მე XIV საუკ. ქრ. შემდეგ სამუდამოდ მოისპო სომხითის სამეფო. სომხითს შეადგენენ: ეხლანდელი ერევნისა და განჯის გუბერნიები, არხრუმის თავრლიეი (ოსმალეთში) და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაწილი სპათსეთის ნაწილის ადერბეჯანისა ჭურმისის ტბამდე. სომეხთ მე III საუკ. მიიღეს ქრისტიანობა ტირდატ III დროს, წმ. გრიგოლ-განმანათლებელისაგან...

---

9. მაჰმადის რჯული. მაჰმადი დაიბადა არაბისტანში, ქ. ქაბაში (მექქა) 570 წ. ხუთის წლისას მშობელნი დაეხოცნენ. როდესაც გაიზარდა, მაჰმადმა შეირთო ერთი მდიდარი ქვრივი და შეიძინა სიმდიდრე. შემდეგ ცოლის შერთვისა მაჰმადმა დაიწყო ვაჭრობა და ამ ვაჭრობაში მოგზაურობის დროს გაიცნო სხვა-და-სხვა რჯულები, როგორც მაგალ. ქრისტიანობა, ძველს რჯულია, ზოროასტრისა და თვით ხომ კერპთ-მსახური იყო, როგორც ეკელა არაბები. ამ რჯულების შესწავლამ მაჰმადს აფიქრებინა სხვა, ახალის რჯულის შედგენა და

ამ რჯულზედ მოქცევა თავის თანა-შემამეულე არაბებისა. რომ უფრო ადვილად გავრცელებულიყო ეს რჯული, მაჰმადმა ისეთს საფუძველზედ დაამყარა იგი, რომელიც არაბებს მოჰსწონდათ ე. ი. ხორციელის ცხოვრების განებივრებაზედ....

თავის აზრის აღსასრულებლად მაჰმადი კარგა ხანს ატარებდა დროს ერთს გამოქვაბილს კლდეში. ამ დროს მაჰმადს გაუარდა წმინდა კაცის სახელი. უველაზედ უწინ მაჰმადი ირწმუნეს მისმა ცოლმა და ნათესავებმა: ალიმ, აბუბეკრმა, ოსმანმა და სხვებმა, რომელნიც ჰქადაგებდნენ მაჰმადის სასწაულებზე ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე. ცოტას ხნის შემდეგ მაჰმადის მხარე დაიჭირა მოელმა ქ. მედინამ, რომელშიაც მაჰმადი გაიქცა ქაბიდან, რადგანაც აქ მას მოკვლას უპირებდნენ ნათესავები (622) წ. რადგანაც მაჰმადმა სიტუვით მაინცა-და-მაინც ბევრი მორწმუნე ვერ შეიძინა, — მან მოიგონა შემდეგი ხერხი: გამოუცხადა თავის მორწმუნეთ, რომ, რადგანაც ტკბილის სიტუვით და დარიგებით წინანდელმა წინასწარმეტეველებმა ვერა გაარიგეს-რა და არც ახლა იჯერებს ხალხი ჩემს სიტუვასა, — ამის შემდეგ ცეცხლითა და მახვილით (ძალით) უნდა მოხდეს ხალხის მოქცევა და მორჯულება. მართლა ასეც მოიქცნენ: ვინც ნებით არ იღებდა მაჰმადის რჯულსა, იგი გახდებოდა იარაღის მსხვერპლად... მაჰმადმა დაიპყრა ჯერ არაბეთი, სირია, ეგვიპტე, სპარსეთი, სომხითი და ბოლოს ბალკანის ნახევარ კუნძულიც. მაჰმადის რჯულის სწავლა გამოკრებილია დაბადებიდგან, სახარებიდგან, ზენდ-ავესტიდგან და სხვად-

გან ნაწუვეტ ნაწუვეტათ; ასე რომ მის სწავლაში კვეშირი არ-კია. მაჭმადიდამ დაიწყო არაბთა განძლიერება და მათგან მრავალის ქვეყნების დაპყრობა...

---

10. ჯვროსნების ომები — ასე იწოდებიან ის გალაშქრებნი, რომელნიც გამოწვეულნი იყვნენ უდაბნოელის პეტრე ამიენელის ქადაგებით ევროპაში. მიზანი ამ ომებისა იყო პალესტინის (წმ. ადგილთა) დახსნა მაჰმადიანთაგან ეს ომები დაიწყო მე XI საუკ. და გაგრძელდა მე XIII საუკუნემდინ. სულ ექვსჯერ გაილაშქრეს ჯვაროსნებმ. პალესტინაში, პირველად 1098 წ. გაილაშქრეს ევროპიელთ ორს წყობად; პირველი მათგანი დაიღუპა: მაგრამ მეორე წყობამ, გოტფრიდ ბულიონელის წინამძღოლობით დაიპყრეს სხვა ქალაქებთან 1099 წ. იერუსალიმიც და დაარქვეს „იერუსალიმის საკორონოო“, რომლის პირველი კორონელი იყო გოტფრიდ ბულიონელი. მეორე ომი ჯვაროსნებისა იყო 1147 წ., მაგრამ ამ გალაშქრებამ ვერაფერი ნაყოფი მოუტანა იერუსალიმის საკორონოსა და 1187 წ. თვით იერუსალიმიც აღებულ-იქმნა ეგვიპტის სულთანის სალადინისაგან. ამ გარემოებამ გამოიწვია მესამე ჯვაროსნების ომი 1191 წ.; მაგრამ ევროპიელთ ჯვაროსნების წინამძღოლთ უთანხმოება მოუხდათ ურთიერთ შორის და დაბრუნდნენ ისევ ევროპაში.. მეოთხედ გალაშქრებამ იერუსალიმის მაგიერად, კონსტანტინეპოლი დაპყრობინა ევროპიელთ და ბიზანტიის იმპერიის მაგიერად დაარქვა „ლათინთა იმპერია“ 1204—1261 წ. მეხუთე გალაშქრება იყო 1228

და მ. ექ. სუ — 1248 წ. და 1292 წ. ეკრობიელთ მთლად დაჭეს რუსეთი თვისი სამეფლობელონი სპრიაში....

---

11. Мათრიები — ასე იწოდებიან ის ხალხნი, რომელნიც დრო-გამოშვებით სხვა-და-სხვა სახელ-წოდებით შუა-გულ აზიიდან გამოდიოდნენ და ილაშქრებდნენ სხვა-და-სხვა ქვეყნებზე. მე V საუკ. იგინი ჭუნნებად იწოდებოდნენ და საშინელის ატტილას წინამძღოლობით გადათელეს მთელი ევროპა თითქმის. მე XI საუკ. იგინი შემოვიდნენ მცირე-აზიაში და მიიღეს სახელ-წოდება „ოსმალთა“. მე XIII და XIV საუკ. ესინი იწოდებოდნენ მონგოლებად. მე XV საუკ. მონგოლთ წინ უძღოდათ «თემურ-ლენგი».

---

12. Ოსმალეთი. ეხლანდელის ოსმალების წინაპარნი ჭსტეოვრებდნენ კასპიის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზე. იგინი მე XI საუკ. ქრ. შემდეგ აიყარნენ თავის ძველის ბინადგან, შემოვიდნენ მცირე-აზიაში და დაემკვიდრნენ სომხითში. შემდეგ იგინი იმდენად განძლიერდნენ, რომ დაიპყრეს მთლად მცირე-აზია მე-XIII საუკ. მათ გამოუჩნდათ ერთი მამაცი მთავარი, სახელად ოსმანი, რომელსაც მიაწერენ ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსებასა და რომლისაგანაც მიიღო სახელ-წოდება თვით ხალხმა და სახელმწიფომ — «ოსმალები», — «ოსმალეთი». მურად I დროს ოსმალნი გადვიდნენ ევროპაში, 1361 წ. დაიპყრეს ქ. ადრიანოპოლი და ქმნეს თავის სატახტო ქალაქად. შემდეგ ოსმალთ სერბია და სხვა

ხლაკიანთა სახელმწიფოები დაიშურეს; 1453 წ. მაჰმედ II-მ აიღო ქ. კონსტანტინოპოლი და ამით მოისპო ბიზანტიის იმპერია და ბალკანის ნახევარ-კუნძულზე ოდესმე დიდებული და ძლევრის ბიზანტიის იმპერიის მაგიერად დაარსდა ოსმალეთი და ამასთანავე ქრისტეს ჯვარი შეიცვალა ნახევარ-მთვარედ. მე XIX საუკუნეში განთავისუფლდნენ ოსმალეთის დამოკიდებულებისაგან საბერძნეთი ს უმეტესი ნაწილი სლავიანებისა... ოსმალეთი თან-და-თან უძლურებაში შედის...

---

13. კავკასიის მთის ხალხებად იწოდებიან ის ტომნი, რომელნიც ჰსცხოვრებენ კავკასიის მთა-გრეხილის ღელე-ეურეებში და ხეობებში, როგორც მაგალითად: ოსნი, დიდო-ღეკნი, ღლიღვი, ქისტი და სხვანი...

947.922
B 189